პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და ღამის 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.: რედაქტორის . . 14 76; რედაქტორის მოადგ. 23—17; მდივნის . . . 10—58; მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა ტფილისი რუსთაველის პროსპ. № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშუადოლებზე—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადებები ღირება 20 %-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მ. „კომუნისტი"-ს ეკსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

შაბათი, 6 დეკემბერი 1930 წ.   ყოველდღიური გაზეთი   ფასი 5 კაპ. № 286 (2934)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვება.
- პოლონეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა.
- ტრამვაის კატასტროფა ლენინგრადში.
- ქარიშხალი კასპიის ზღვაზე.—დაიღუპა სამი მუშა.

დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს გარდატეხა

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 1930 წ. 4 დეკემბრის დადგენილებიდან ბამბის აკრეფის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოისმინა რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების, მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულის და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბრიგადის მოხსენებანი ბამბის აკრეფის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ. საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები საჭირო ხელმძღვანელობას არ უწევდნენ ბამბის აკრეფის მომზადებას, იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ შეაფასეს ეს უაღრესად მნიშვნელოვანი სამეურნეო-პოლიტიკური კამპანია, რომელიც წარმოადგენს ძირითად ღერძს კოლმეურნეთა, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა და საშუალო გლეხობის მასების მობილიზაციისათვის ბრძოლაში კულაკობის წინააღმდეგ, სოფლად ჩვენი კლასობრივი პოზიციების განმტკიცებისათვის და კოლმეურნეობებში ღარიბ და საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმისათვის.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 20 ნოემბრის და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებებისა და ბამბის თესვის კამპანიისათვის მუშაკების მობილიზაციისა, გადამჭრელი გარდატეხა დღემდე კიდევ მიღწეული არ არის.

დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გაატარონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ყველა პრაქტიკული ღონისძიებანი და უზრუნველჰყონ გარდატეხის მიღწევა ბამბის დამზადებაში უახლოეს ორ-სამ დღეში.

დაწესდეს ბამბის აკრეფის გეგმა თესვის კამპანიის დროს დაკონტრაქტებული რაოდენობით — 150 ათასი ტონის რაოდენობით, და წინადადება მიეცეს რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს მიიღონ ეს გეგმა სავალდებულოთ შესრულებისათვის ბამბის აკრეფის კამპანიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ დაწესებულ ვადაზე (20 დეკემბერს).

აღინიშნოს რომ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მოხდა გამოაშკარავება კულაკური და შეძლებული მეურნეობებისა, რომლებმაც თავი დააღწიეს ბამბის ჩაბარების ვალდებულების შესრულებას, აგრეთვე იმ მეურნეობებისა, რომელნიც არ ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს, აგრეთვე აღინიშნოს, რომ თესვის გეგმის ბოროტი განზრახვით არშემსრულებელნი და ბამბის გამფუჭებელნი მიცემულნი არ არიან პასუხისგებაში.

დაევალოს რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და ბამბის დამზადების კამპანიისათვის მობილიზაციით გაწვეულთ დაუყოვნებლივ მიიღონ გადამჭრელი ზომები ასეთ მეურნეობათა გამოაშკარავებისათვის იმ მიზნით, რომ სასამართლოს ხაზით პასუხისგებაში მისცენ ისინი, პირველ რიგში კულაკურ და შეძლებულ ჯგუფიდან, და მოაწყონ სასამართლოს გასვლითი სესიები და საჩვენებელი პროცესები ადგილებზე. რესპუბლიკების პროკურორებმა სასამართლოს ყველა საქმეები ბამბის გამო უნდა გაარჩიონ ერთი კვირის ვადაში მაინც.

დაევალოს პარტორგანიზაციებს მიიღონ ზომები იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა მთლიანად აკრიფონ და ჩააბარონ ბამბა, და იმ კოლმეურნეობების მიმართ, რომელნიც ბამბას მინდვრებზე სტოვებენ მიიღონ ზემოქმედების მაგარი ზომები (კრედიტების დახურვა, სასოფლო-სამეურნეო იარაღების მიცემის შეწყვეტა, უვარგის ხელმძღვანელთა პასუხისგებაში მიცემა და სხვ.).

დაევალოს ნაციონალური კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისგებაში, თვით პარტიიდან გამორიცხვამდე და სამართალში მიცემამდე, რაიონების ის ხელმძღვანელი მუშაკები, რომელნიც ამახინჯებენ კლასობრივი ხაზის გატარებას, ხელს უწყობენ კულაკს, იმედს ამყარებენ მხოლოდ თვითდინებაზე და ხელს უშლიან ბამბის დამზადებაში მოცემულ დავალებათა შესრულებას.

დაევალოს აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს პირველ რიგში განიხილოს საკითხი აგჯაბედის, ქარიაგინის და შამხორის რაიონების ხელმძღვანელობის შესახებ.

სრულიად შეუწყნარებლად ჩაითვალოს მობილიზაციით გაწვეული ზოგიერთი ამხანაგის ადგილებზე არგამგზავრება და დაევალოს რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს სასწრაფოდ გამოარკვიონ იმათი ვინაობა, ვინც თავის დროზე არ გაემგზავრა ბამბის აკრეფის კამპანიაში სამუშაოდ, და მათი საქმეები გადასცენ საკონტროლო კომისიებს პასუხისგებაში მისაცემად, თვით პარტიიდან გამორიცხვამდე.

ვინაიდან მობილიზაციის წესით გაწვეულთა შორის მუშების ერთი ნაწილი არ არის საკმაოდ კვალიფიციური, მათ შესაცვლელად და ჩამორჩენილ რაიონების მუშაკებით გაძლიერებლად მოხდეს დამატებით 75 კაცის მობილიზაცია პასუხისმგებელ საოლქო და რესპუბლიკანურ მუშაკებიდან (საოლქო მუშაკი — 15, აზერბეიჯანიდან — 60) მათ შორის 5 ქალის — კულტურულ და საყოფაცხოვრებო მუშაობის მოსაწყობად ბამბის მეურნე ქალებს შორის. მობილიზაციის წესით გაწვეული ამხანაგები ორი დღის ვადაში გაემგზავრონ ადგილებზე.

ვინაიდან ბამბის აკრეფის კამპანიის ჩატარებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს გლეხობის ფართო მასების ორგანიზაცია და მობილიზაცია, დაევალოს პარტიულ ორგანიზაციებს მიიღონ ყოველგვარი ზომები იმისათვის, რათა დაუყოვნებლივ გატარდეს ცხოვრებაში ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის 24 ნოემბრის გადაწყვეტილება ბამბის აკრეფის საქმეში მთელი შრომის უნარის მქონე მოსახლეობის ჩაბმის შესახებ.

მუშაობა ბამბის ასაკრეფად დაუკავშირდეს ღარიბ და საშუალო გლეხობის მასების ყურადღების მობილიზაციას მომავალ ბამბის თესვის კამპანიის მომზადებისათვის. ამასთან მიღებულ იქნეს მხედველობაში 1931 წლის თესვის გეგმის მთლიანად შესრულების, ყველა აგროტეხნიკურ ღონისძიებების გატარების და კოლმეურნეობებში ღარიბი და საშუალო გლეხების მასების ახალი ჩაბმის მოწყობის უზრუნველყოფის აუცილებლობა.

დაევალოს მებამბეობის მთავარი კომიტეტის რწმუნებულს დაუყოვნებლივ შეამოწმოს ფეიქრების კავშირთან და ბამბის ქარხნების რწმუნებულებთან ერთად ქარხნების მუშაობის ღირსება და მიიღოს ზომები ბამბის პროდუქციის ნორმალური გამოშვებისათვის, ბამბის დამუშავების გაუმჯობესებისა და მისი უნაკლოდ შენახვისათვის. შრომის დისციპლინის ამაღლება, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის შემდგომი განვითარება წარმოადგენს მთავარ პირობას, რომელიც უზრუნველჰყოფს აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ამიერ-კავკასიის 24 ნოემბრის გადაწყვეტილებისა, ყველა გაზეთები დღემდე არ აქცევენ სათანადო ყურადღებას ბამბის აკრეფის კამპანიას და მომავალ თესვისათვის მზადების საკითხებს.

დაევალოს გაზეთების რედაქტორებს ფართოდ და სისტემატიურად გააშუქონ ეს საკითხები (ყოველდღიურად მოათავსონ ცნობები კამპანიის მსვლელობის შესახებ, გამოჰყონ ის რაიონები, რომლებიც წარმატებით ატარებენ კამპანიას და რომლებიც უკან რჩებიან, ამხილონ ის მუშაკები, რომლებიც აფერხებენ კამპანიას და სხ.).

ბამბის დამზადება 5 დეკემბრისათვის

მებამბეობის მთავარი კომიტეტის ამიერ-კავკასიის განყოფილების ცნობებით, 5 დეკემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში შესყიდულია 53.699 ტონა ნედლი ბამბა, რაც შეადგენს სასეზონო გეგმის 43 პროც.

აზერბეიჯანში დამზადებულია 41.833 ტონა — სასეზონო გეგმა შესრულებულია 42,2 პროც., ქარხნებმა შეისყიდეს: სალიანის ქარხანამ— 4.964 ტონა — გეგმის 33,3 პროც., ალი-ბაირამლის ქარხანამ — 3.696 ტონა — 34,3 პროც., საბირ-აბადის ქარხანამ — 5.722 ტონა — 43.1 პროც., უჯარის ქარხანამ — 8.137 ტონა — 56 პროც., ევლახის ქარხანამ — 6.763 ტონა — 37,1 პროც., განჯის — 5.928 ტონა — გეგმის 57,4 პროც., აქსტაფის — 2.201 ტონა — 40,7 პროც., ნორაშენის—2.923 ტონა — 40,9 პროც. და ყარა-ჩალის საბჭოთა მეურნეობამ — 1.439 ტონა — 33,1 პროც.

სომხეთში სასეზონო გეგმა შესრულებულია 52,1 პროც., შესყიდულია 9.199 ტონა.

ერევნის ქარხანამ დაამზადა 4.992 ტონა — გეგმის 54.2 პროც.

სარდარაბადის ქარხანამ შეისყიდა 4.207 ტონა — გეგმის 49,8 პროც.

საქართველოში (შულავერის ქარხანა) დამზადებულია 2.667 ტონა, სასეზონო გეგმა შესრულებულია 32,7 პროცენტით.

ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციაზე

მოსკოვი, 5 დეკემბერი. 4 დეკემბერს შესდგა ჩინეთ-საბჭოთა კონფერენციის მეორე სხდომა.

სხდომაზე შემუშავებული იქნა კონფერენციის შემდგომი მუშაობის გეგმა და გამოიყო სამი კომისია: აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზასთან დაკავშირებულ საკითხებზე, სავაჭრო ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და დიპლომატიურ ურთიერთობის განახლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე (ადს).

შინაპარტიული მდგომარეობა და აზერბეიჯანის კომპარტიის მორიგი ამოცანები

ამხ. კიროვის მოხსენება აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ცეკას, ბაქოს კომიტეტისა და ცენტრ. საკონტრ. კომ. გაერთიანებულ პლენუმსა და ბაქოს ორგანიზაციის აქტივის 1930 წ. 28 ნოემბრის კრებაზე

ამოვფხვრათ კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთები ჩვენს ქვეყანაში

ბაქო, 4 დეკემბერი. საკითხს იმ შინაპარტიული მოვლენების შესახებ, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში უკანასკნელ დროს, თავისთავად გასაგებია, მჭიდრო და უშუალო კავშირი აქვს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საერთო მიმდინარეობასთან ამ ისტორიულ ეტაპზე.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სოციალისტური მშენებლობა თავის განვითარებაში ისეთ ტემპებს დაადგა, რომ ეს ალტაცებას იწვევს არა მარტო ჩვენში, არამედ მთელი ქვეყნის მუშებსა და მშრომელებს შორისაც. ჩვენს მიღწევებს ნება-უნებურად ჩვენი კლასობრივი მტრებიც აღიარებენ. არც გასაკვირალია: განვლილ ხუთწლედისათვის ბრძოლის რაღაც ორმა წელმა და უკვე ვამჩნევთ, რომ დასახულ ხუთწლიან გეგმას არა თუ ვასრულებთ, არამედ სახალხო მეურნეობის გარდამწყვეტი მნიშვნელობის მრავალ დარგში ვაჭარბებთ კიდეც ამ გეგმას.

შემთხვევით მოვლენად არ ჩაითვლება ის, რომ ხუთწლედის მეორე წელს მუშათა კლასის რიგებში ჩაისახა ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულების ლოზუნგი. ჩვენი მუშაობის პრაქტიკამ ხუთწლიანი გეგმის მეორე წელს გვიჩვენა, რომ სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში ხუთწლიან გეგმას არა თუ ოთხ, სამ წელიწადშიაც შევასრულებთ.

ხუთწლიანი გეგმის შესრულების ამოცანის გარშემო ჩვენ მოვახერხეთ დაგვერაზმა მუშებისა და ყველა მშრომელების ყურადღება, ამჟამად არ მოიპოვება არც ერთი მუშა, რომ მას ნათლად არ ჰქონდეს წარმოდგენილი ეს უზარმაზარი ამოცანა. ამან შეგვაძლებინა ფართო გასაქანი მიგვეცა მუშათა ინიციატივისა და მუშათა საზოგადოებრივობისათვის და დაგვერაზმა ისინი პარტიის გენერალური ხაზის გატარების გარშემო.

როდესაც ჯამს ვუკეთებთ ხუთწლიანი გეგმის მეორე წელიწადს, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ ამ წელს ჩვენ შევძელით ჩვენი მრეწველობის მთელი პროდუქციის საერთოდ 25 პროცენტით გადიდება.

მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო საქმის რაოდენობრივი მხარე, ჩვენ მუდმივი ყურადღების საგნად გავიხადეთ აგრეთვე ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების ხარისხობრივი მდგომარეობა. ჩვენ პირველ რიგში და უმთავრესად უნდა განვავითაროთ მრეწველობის ის დარგები, რომლებიც იძლევიან წარმოების იარაღსა და საშუალებებს, სწორედ ის დარგები, რომელთა წყალობითაც, ჯერ ერთი, მტკიცე საფუძველი ეყრება მთელი მრეწველობის შემდგომ განვითარებას, ხოლო მეორე—უზრუნველვყოფთ მახლობელ დროის განმავლობაში უცხოეთზე დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებას.

მიმდინარე წელს ჩვენ გავადიდეთ კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში 84 პროცენტით.

წარსულ წელთან შედარებით საშუალება არა მაქვს უფრო ვრცელი ანალიზი გავუკეთო ამ წლის ჩვენს მიღწევებს. არა მაქვს აგრეთვე საკმაო დრო იმისათვის, რომ შევჩერდე იმის დახასიათებაზე, თუ რა როლს თამაშობს ამ საკითხში ამიერ-კავკასია, კერძოდ, აზერბეიჯანი და მისი ბაქო.

მოვიყვან მხოლოდ საერთო ციფრს, რომელიც ადასტურებს იმას, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია ამ საერთო ძლევამოსილ სოციალისტურ შეტევაში არა თუ უკან რჩება, არამედ ცალკე დარგებში წინაც უსწრებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო ზრდის მაჩვენებელ საერთო და საშუალო ცნობებს. ამიერ-კავკასიის მრეწველობის საერთო პროდუქცია ხუთწლიანი გეგმის მეორე წელს 57,7 პროცენტით გაიზარდა.

არანაკლები წარმატება გვაქვს სოფლის მეურნეობაში. ჩვენ პირდაპირ მივადექით სასოფლო-სამეურნეო სექტორის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნის საკითხს. ჩვენ ფართოდ გავშალეთ მუშაობა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის და გადავიყვანეთ დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობები განსაზოგადოებულ სოციალისტურ ფორმებზე.

ჩვენ გადავედით მთლიან კოლექტივიზაციაზე და ამ ნიადაგზე გავშალეთ უდიდესი ისტორიული ბრძოლა, რომლის აზრი და მნიშვნელობაც პარტიის ყველა წევრს ჯერ კიდევ არ შეუგნია მთელი თავისი სიღრმით. ჩვენ შევუდექით კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების ამოფხვრას სოფლად. კოლექტივიზაციის საფუძველზე ვანხორციელებთ უკანასკნელი კაპიტალისტური კლასის ლიკვიდაციას ჩვენს ქვეყანაში, ვახდენთ კულაკთა კლასის ლიკვიდაციას.

შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში ძირითად და გარდამწყვეტი მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მარცვლეულის რაიონებში ეს ამოცანა—კოლექტივიზაციის ამოცანა—ჩვენ საერთოდ გადავჭერით. მარცვლეულის რაიონებში ამ მომენტისათვის კოლექტივიზაციაზე გადასულია გლეხურ მეურნეობათა 40 პროცენტზე მეტი. კოლმეურნეობებს უჭირავთ 36 ჰექტარი მიწაზე მეტი.

ამასთან ერთად ჩვენ გავშალეთ უდიდესი მუშაობა სახელმწიფო საბჭოთა მეურნეობების მარცვლეულის ამ ფაბრიკების მოწყობის ხაზით. ჩვენ ვამყარებთ ჩვენს ინდუსტრიას და მრეწველობის იმ დარგებს, რომლებიც იძლევიან წარმოების იარაღს სოფლის მეურნეობისათვის და ამ ნიადაგზე ვაწარმოებთ საბჭოთა მეურნეობის მშენებლობის საქმეს სოფლად და ვაძლევთ მას უდიდეს გაქანს. საკმარისია მოვიყვანოთ თუნდ რამდენიმე მაგალითი.

ამჟამად საბჭოთა მეურნეობებს უჭირავთ 4 მილიონ ჰექტარამდე მიწა, მომავალ წელს საბჭოთა მეურნეობებისათვის ჩვენ გვექნება 9 მილიონი ჰექტარი მიწა, 1932 წელს სახელმწიფო მარცვლეულის ფაბრიკებს საერთოდ დაეთმობათ 15 მილიონ ჰექტარამდე; ხუთწლიან გეგმაში კი ხუთწლედის დამლევისთვის გათვალისწინებული იყო საბჭოთა მეურნეობების ხაზით დახლოებით 5 მილიონი ჰექტარი.

ამგვარად, სოფლის მეურნეობის ხუთწლედის განხორციელების პრაქტიკა ამ ხაზით, სამჯერ აჭარბებს თავდაპირველ საგეგმო ვარაუდს. ეს ნიშნავს იმას, რომ 1932 წელს ჩვენ მარტო საბჭოთა მეურნეობებში გვექნება იმდენი სასაქონლო პური, რამდენიც ჩვენ შარშან წინ მთელ საბჭოთა კავშირში დავამზადეთ. ამგვარად, სოფლის მეურნეობის ძირითადი მნიშვნელობის მთავარი პრობლემა—მარცვლეულის პრობლემა — ჩვენ გადავჭერით მთლიანად, სავსებით და საბოლოოდ.

3-4 წლის წინად ბევრს ეს შეუძლებლად მიაჩნდა. მიუხედავად ამისა, ამხანაგებო, ჩვენ ეს პრობლემა ამჟამად გადავჭერით იმ ზენად, რომ მიმდინარე წლის მოსავალი საშუალებას მოგვცემს არა თუ სავსებით უზრუნველვყოთ პურით ჩვენი მუშები, ჩვენი მიწადმომქმედი რაიონები და წითელი არმია, არამედ ცოტა რამ საკმაოდ დიდი ნაწილიც) გადავსდოთ კიდეც მომავალი წლის რეზერვსა და მარაგში. მეტიც: ჩვენ წელს, როგორც თქვენ იცით, პურის ნაწილი საზღვარგარეთაც კი გაგვაქვს.

ამ საკითხის გარშემო მრავალ ჭორურ დემაგოგიას აქვს ადგილი—ვითომ ჩვენ „უკანასკნელი" დოვლათი გაგვქონდეს ჩვენი საჭიროების საზიანოდ და სხვ. ყოველივე ეს, რასაკვირველია, ჩვენი მტრების მოგონილია და წარმოადგენს „[illegible]" ჭორს, რასაც საერთო არაფერი აქვს სინამდვილესთან. ნამდვილად კი მდგომარეობა ისეთია, რომ ჩვენ, ყველა ჩვენი ძირითადი მოთხოვნილებია დაკმაყოფილების შემდეგ, რაშიაც შედის რეზერვს შექმნაც, გვაქვს საშუალება პურის ნაწილი გავიტანოთ საზღვარგარეთ, იმისთვის, რომ აღებული ვალუტით მოვახდინოთ არსებული ფაბრიკებისა და ქარხნების რეკონსტრუქცია და გაძლიერებული ტემპით შევქმნათ სოციალისტური ინდუსტრიის სულ ახალი და ახალი გიგანტები.

პრაქტიკულად ჩვენ წარმატებით ვახდენთ სოფლის მეურნეობის მეორე დიდი საკითხის—მეცხოველეობის პრობლემის გადაჭრასაც. არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ მახლობელ ორ-სამ წელიწადში ჩვენ გადავჭრით ამ საჭირბოროტო პრობლემასაც. ჩვენ, ამხანაგებო, უნდა დავემყაროთ ჩვენი პურის ბალანსს და უფრო დაჩქარებული ტემპით გადავჭრათ ჩვენი სოფლის მეურნეობის მესამე პრობლემა, პრობლემა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აქ, ამიერ-კავკასიაში; უფრო დაჩქარებით, ვიდრე აქამდე იყო, უნდა მოხდეს ტეხნიკური კულტურების განვითარება, რომლებიც შეადგენენ ჩვენი მრეწველობის ნედლეულ ბაზას.

თუ პირველი საკითხის გადაჭრაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ მარცვლეული რაიონები, მესაქონლეობისა და ტეხნიკური კულტურების საკითხში განსაკუთრებული როლი აზერბეიჯანის სოფლის მეურნეობას ეკუთვნის.

ამხანაგებო, ჩვენ სრულიად გარკვევით და ნათლად ვაღწევთ თავს იმ სიძნელეებს, რომლებიც თანა სდევენ, ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას. რა არის უმთავრესად და პირველ რიგში ასეთი მდგომარეობის მიზეზი?

პირველ ყოვლისა ის, რომ დროის ამ ისტორიულ მანძილზე, ე. ი. პროლეტარული დიქტატურის 13 წ. განმავლობაში, ჩვენ განუხრელად ვანხორციელებდით პრაქტიკაში იმ აიდეიას, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა დიდებულმა ბელადმა და მასწავლებელმა ვლადიმერ ლენინმა, ის, რომ ჩვენი პარტია იყო და არის მისი იდეების ერთგული გამტარებელი. ის, რომ ჩვენი პარტია იცავს, როგორც თვალის ჩინს, ამ ლენინური პრინციპების სიწმინდეს, ის, რომ ჩვენ ვიგერიებთ ყოველგვარი შეტევას ჩვენს პარტიაზე, როგორც „მარცხნიდან", ისე მარჯვენიდან, ის რომ, ჩვენ შეუდრეკელად და მტკიცედ მივდივართ წინ ლენინის მიერ ნაანდერძევი გზით,—აი, ეს არის, ამხანაგებო, მიზეზი ჩვენი წარმატებისა ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

ამან საშუალება მოგვცა გადავიდეთ ამჟამად გაშლილ სოციალისტურ შეტევაზე მთელი ფრონტით კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ თქვენთან ერთად შევუდექით უკლასო სოციალისტური საზოგადოების უშუალო ორგანიზაციას. ჩვენ უკვე გადავდგით ფეხი სოციალიზმის პერიოდში. ახლა ეს ნათელი ხდება ჩვენი მტრებისათვისაც კი. ერთი ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ინგლისურ ჟურნალში ასე ახასიათებს ჩვენს ხუთწლიან გეგმას:

„იმ ცვლილებათა სიდიდე და სიღრმე, რომლებსაც ახდენს მრეწველობისა, სოფლის მეურნეობის და საზოგადოებრივ ურთიერთობაში ხუთწლიანი გეგმის შესრულება, ისეთია, რომ მათთან შედარებით თვით ოქტომბრის რევოლუცია მხოლოდ დრამატიულ ეპიზოდად გვეჩვენება".

უნდა ითქვას, რომ იგი ერთგვარად მართალია. რასაკვირველია, არ შეიძლება ერთი წუთითაც კი ოდნავ დავამციროთ ან შევასუსტოთ ოქტომბრის დიდი გადატრიალების მნიშვნელობა. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ოქტომბრის ეტაპსა და იმ ეტაპს შორის, რომელზედაც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, რასაკვირველია, დიდი განსხვავებაა. მაშინ, როგორც გეხსომებათ, ჩვენ ვანგრევდით, ამასთან ვანგრევდით საბოლოოდ. ამ მხრივ ე. ი. რაც შეეხება „დანგრევას" (სიცილი), ოქტომბერში და ოქტომბრის შემდეგაც, მე ვფიქრობ, მომავალშიაც, ჩვენ კიდევ გამოვიჩენთ თავს (სიცილი, ტაში).

ამჟამად, როცა ვანხორციელებთ ხუთწლიან გეგმას, ამით ჩვენ ვქმნით იმას, რაც ჯერ კიდევ არ იცის კაცობრიობის ისტორიამ. იძულებულნი ვართ ყოველივე ეს ვაკეთოთ რამე ნიმუშის გარეშე. უნდა ვაკეთოთ ეს იმ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობა ჯერ კიდევ არ არის აღჭურვილი ისეთი კულტურით, როგორიც ჩვენთვის. მიუხედავად ამისა, თვით ჩვენი მტრების მოწმობითაც კი, ჩვენ მივაღწიეთ, უდიდეს, ჯერ არნახულ წარმატებებს. ამას მივაღწიეთ ჩვენ ჩვენი სოციალისტური სისტემის არსებობის დროს (გამოტოვებულია)... ჩვენ შეუდრეკელად მივდივართ წინ, მსოფლიო კაპიტალიზმი კი მიდის დაღუპვისაკენ.

მე-16 პარტყრილობამ მოგვცა მსოფლიო კაპიტალიზმის მდგომარეობის შეფასება ამ ეტაპზე. კაპიტალისტური სისტემის არსებობის თვითეული დღე და თვითეული საათი ამ შეფასების სისწორის მეტსა და მეტს დამამტკიცებელ საბუთს იძლევა.

მსოფლიო კაპიტალიზმს უფრო და უფრო ღრმად და ფართოდ ედება უდიდესი კრიზისი. ამ რამდენიმე ხნის წინად ყველაზე უფრო ძლიერ, ყველაზე უფრო „მძლავრ" კაპიტალისტურ ქვეყანაში—ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში—თავი იჩინა საფინანსო კრიზისმა. ჩვენ მაშინვე ვამბობდით, რომ ამერიკის კაპიტალიზმს მოელის არა მარტო საფინანსო, არამედ საერთო-სამეურნეო კრიზისი? რას ვხედავთ ახლა? ჩვენ ვხედავთ, რომ კრიზისმა მოიცვა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატების სახალხო მეურნეობის ყველა ძირითადი დარგები. ის არ დაკმაყოფილდა მრეწველობით და გავრცელდა სოფლის მეურნეობაზედაც და, გარდა ამისა, მან თანდათან იწყო გადასვლა დიდ ბრიტანეთზე და ევროპის დანარჩენ ქვეყნებზე.

ამჟამად პირდაპირ უნდა ითქვას, რომ არ მოიპოვება არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც ასე თუ ისე არ მოსდებოდეს ეს კრიზისი, ამასთან კრიზისი დღითიდღე ღრმავდება. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგები მუდმივად ამცირებენ წარმოებას 30-40 პროცენტით და მეტადაც. ჩვენ კი 24 პროცენტით გავადიდეთ საერთო პროდუქცია წარსულ წელს. მაგრამ უნდა ითქვას სიმართლეც კაპიტალისტური სისტემის შესახებ: ამ ეტაპზე იგი ისე მაგრად ირღვევა, რომ მისი დაქსაქსვა და დაწილადება ალაგ-ალაგ ხდება გაცილებით უფრო დიდი ტემპით, ვიდრე ჩვენი სახალხო მეურნეობის ზრდა (სიცილი).

იმპერიალისტური ომის შემდეგ, რომელმაც შეარყია მთელი კაპიტალისტური სისტემა, სხვადასხვა ადგილას გაჩნდნენ იმის მქადაგებლები, რომ ეს ისტორიული შენჯღრევა თურმე კაპიტალიზმის აყვავების ახალ შესაძლებლობას იძლევა.

ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰუვერმა გამოიგონა იმავე შეერთებული შტატების კაპიტალიზმის შემდგომი აყვავების მთელი თეორია. ეს თეორია იმდენად ფართოდ იქნა გავრცელებული, რომ, მაგალითად, ამხ. ბუხარინიც მოექცა მისი გავლენის ქვეშ თავის „მოწესრიგებული კაპიტალიზმი"-ს თეორიაში. ჩვენ ვხედავთ, რა „მოწესრიგებულ" სტადიას განიცდის კაპიტალისტური სისტემა. ჩვენ ვხედავთ, თუ დღითი-დღე როგორ ირღვევა იგი.

როგორც საპნის ბურთი, ისე სკდება და ირღვევა ჰუვერის სხვადასხვა „თეორია", და ამერიკული კაპიტალის თვით ქურუმებმაც კი ამ რამდენიმე ხნის წინად ამხილეს ჰუვერი, რომელიც აღიარეს „მემარცხენე" უკლონისტად კაპიტალისტურ სისტემაში (სიცილი). განა შენ არ იყავი, რომ, მსგავსად ტროცკისა, აღგვითქვი კაპიტალისტური განვითარების რაღაც ზესთაბუნებრივი ტემპები. ბუხარინისთვის საჭირო იყო ამის მოხსენება, ეს ეპიზოდი არ არის, ეს არ არის დროებითი მოვლენა და კაპიტალისტური სისტემის დროებითი გრიპი.

ისინი თვითონ ამბობენ, რომ აქ ისეთი კრიზისია, რომელიც 20-30 წელს გაგრძელდებაო. ჩვენ თქვენთან ერთად ყოველივე უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ დავეხმაროთ მათ ამ პროცესის დაჩქარებაში (სიცილი), მდგომარეობა, ამხანაგებო, მართლაც სავალალოა (სიცილი). შეუძლებელია დამშვიდებით ვუყუროთ იმას, თუ 20—30 წლის განმავლობაში როგორი ტანჯვისა და ტკივილების ალში იქნება გახვეული კაპიტალისტური სისტემა. ყოველმხრივ უნდა ვიზრუნოთ, რომ ევროპისა და ამერიკის მუშებთან ერთად „განვკურნოთ" ეს სისტემა ბევრად უფრო ადრე (სიცილი. ტაში). მეც ასე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენ ამას გავაკეთებთ და საქმეც იქამდე მივიყვანთ, რომ ისინი მთელი 30 წლის გამავლობაში კვნესოდნენ (სიცილი). თქვენ კი უბრალოდ ადამიანურად უნდა შეიგნოთ, რომ ეს არაფრად არ ვარგა (სიცილი. ტაში).

მეორე ბურჟუაზიული ეკონომისტი აცხადებს, რომ „შეუძლებელია თავი ქვიშაში ვმალოთ"-ო, „უნდა ვაღიაროთ, ნათლად წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს წინაშე წამოიჭრა არა საკონიუნქტურო კრიზისი, არამედ მთელი სისტემის კრიზისი"-ო.

აბსოლუტური სიმართლეა. პირდაპირ მარქსისა და ლენინის მიხედვით არის დაწერილი (სიცილი) და სავსებით ეთანხმება კომინტერნისა და ჩვენი პარტიის ყველა დადგენილებებს. ხომ გაიგეთ, ბოლოს, სათ მიდის საქმე (სიცილი).

ჩვენ გვაბრალებდნენ იმაში, რომ ადვილად გვეხერხება პროპაგანდისა და აგიტაციის წარმოება კაპიტალიზმის საზიანოდ. ახლა ჩვენი მტრები უკვე ხვდებიან, რომ საქმე ეხება არა დროებით შეფერხებას, არამედ იმას, რომ მთელი კაპიტალისტური სისტემა და მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო ამჟამად ჩადგა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ დაღუპვას უქადის, მას.

მომაკვდავი კლასები უბრძოლველად არ გვნებდებიან

გასაგებია, რომ დიდი წინდაუხედაობა იქნებოდა იმაზე ფიქრი, თითქოს ჩვენი სოციალისტური მშენებლობა ჩაივლის და ამჟამადაც მიმდინარეობს თავგამოდებული და სასტიკი წინააღმდეგობის გარეშე, გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის გარეშე. სწორედ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ჩვენ თანდათან ვუახლოვდებოდით უკანასკნელ დაბრკოლებას, რომელიც ჩვენ უნდა გადავლახოთ, ჩვენი მტრები მეტ გაცოფებას ეძლევიან. როდესაც ეს ხალხი ასე ახასიათებს მთელ კაპიტალისტურ სისტემას, როდესაც ისინი ასე მჭერმეტყველურად ახასიათებენ ჩვენს მიღწევებს, უნდა გავიგოთ, თუ რას განიცდიან ისინი, რა საშინელ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან, როდესაც ხედავენ ჩვენს წარმატებებს და იმ მდგომარეობას, რომელშიაც ამჟამად კაპიტალისტური მსოფლიო იმყოფება.

ყოველივე ეს ერთად აღებული წარმოშობს ახალ და ახალ მახინჯებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ეს განსაკუთრებით ძლიერ იჩენს თავს ამ უკანასკნელ დროს, როდესაც არ გამართლდა ჩვენი მტრების ის იმედი, რომ ჩვენი ხუთწლიანი გეგმა ფიქცია აღმოჩნდებოდა, როდესაც ჩვენ თანდათან უფრო თავგამოდებით გავშალეთ სოციალისტური შეტევა მთელ ფრონტზე, ამას არ შეეძლო არ გამოეწვია სათანადო გამოხმაურება კაპიტალისტურ მსოფლიოს მხრივ.

დაწყებული დაგმილი საპარლამენტო პოლიტიკოსებით და დამთავრებული რომის პაპით, ჩვენს წინააღმდეგ დაირაზმა ყველა, ჩვენს წარმატებებს და ჩვენს წინსვლას არ შეეძლო არ გამოეწვია მათი სურვილი—ეხლავე, დაუყოვნებლივ, ვიდრე გვიან არ არის, სცადონ ჩაშალონ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

როდესაც ჩვენ მედგრად შევუდექით კაპიტალიზმის უკანასკნელი ნაშთების ამოფხვრას, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას, მაშინ კულაკების ხმა გაიგონეს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში. ეს ხმა გაიგონა მთელმა ბურჟუაზიულმა მსოფლიომ. დაიწყო დაუცხრომელი მუშაობა ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი ყველა ძალების დარაზმვისა და შეკავშირებისათვის. დაიწყო იერიში მთელ ფრონტზე, დაიწყეს ნიადაგის მოსინჯვა, რომ სადაც კი შესაძლებელი იყო, ძირი გამოეთხარათ საბჭოთა კავშირისათვის.

გასაგებია, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნითაც შეტევა კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ არ შეიძლებოდა ჩატარებულიყო დაუბრკოლებლივ და მშვიდობიანად.

ჩვენს მუშაობას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია უსასტიკესი წინააღმდეგობა ყველა კლასობრივი მტრების მხრივ. ამას საკმაოდ მჭერმეტყველურად მოწმობენ მავნებლობის ფაქტები, რომლებიც ჩვენ სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში აღმოვაჩინეთ.

თავისთავად მავნებლობა ახალი საქმე არ არის, მას, როგორც ეხლა გამოირკვა, ადგილი ჰქონია ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის დასაწყისიდანვე. ხოლო განსაკუთრებით ენერგიულად და თავგამოდებით ეს მუშაობა მავნებლებმა გაშალეს სწორედ უკანასკნელ დროს ჩვენი მრეწველობის ყველა დარგებში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში. თავისთავად გასაგებია, რომ უცხოეთის კონტრ-რევოლუციას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო არ დაკავშირებოდა ჩვენს შინაურ კონტრ-რევოლუციას.

მავნებელთა ყველაზე მხეცური და საშიშარი ბანდა, ეგრეთ წოდებული „სამრეწველო პარტია", რომლის პროცესიც ამჟამად მოსკოვში მიმდინარეობს, უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებული იყო არა მარტო თეთრგვარდიელთა ემიგრაციასთან, არამედ უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის მმართველ წრეებსა და გენერალურ შტაბთან, აგრეთვე ინგლისის იმპერიალიზმის წრეებთან.

უნდა ითქვას, რომ მთელი ეს სისტემა, რომელიც იწყება ხუცესით და კულაკით, გადადის მავნებლებზე, ხოლო შემდეგ რიაბუშინსკზე, გუჩკოვზე და სხვებზე, დასრულ აღწევს პუანკარემდე, ბრიანამდე, დეტერდინგამდე და სხვ.,—მთელი ეს სისტემა მჭიდრო და სრულებითაც არა შემთხვევით ჯაჭვს წარმოადგენს.

შემთხვევითი როდია, რომ ყველა ძალები ირაზმებოდნენ ჩვენს წინააღმდეგ სწორედ 1930 წელს—ხუთწლედის მესამე წელს. ეს გადამწყვეტი წელიწადია. ამრიგად, როგორც ხუთწლიანი გეგმის მნიშვნელობა ისე მისი რაობა გვესმის არა მარტო ჩვენ, არამედ ბურჟუაზიულ ეკონომისტებსაც, ისინიც გაუგებარებლად შეთანხმდნენ იმაზე, რომ ეს წელი მართლაც გადამწყვეტია. მთელმა ამ ანგარიშმა იმპერიალისტები და ჩვენი მტრები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო სწორედ 1930 წელს შეეცადნენ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის საქმის თუ დამხობას არა, საფუძვლიანად შეფერხებას მაინც.

ლენინი ამბობდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოიპოვება ყველა ძირითადი პირობა სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის, მაგრამ არის ერთი მეტად დიდი საფრთხე, ერთად-ერთი საფრთხე, რომელსაც შეუძლია შეაფერხოს, ხოლო განსაზღვრულ პირობებში, დროებით დაამხოს კიდეც, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის საქმე—ეს საფრთხეა ინტერვენცია. თქვენ გახსოვთ ჩვენი დავა ზინოვიევთან, ტროცკისთან და კამენევთან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის შესაძლებლობის შესახებ. ეხლა ამ დავას ეძლევა ახალი გაშუქება, ახალი დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ როგორ სცდებოდა ეს ხალხი. ამ მხრივ მე განსაკუთრებით გირჩევთ თვალყური ადევნოთ იმ ჩვენებას, რომელსაც იძლევიან პროცესზე რამზინები, ლარიჩევები და სხვ., რომლებიც მოუთხრობენ სასამართლოს, თუ რატომ სთვლიდნენ საჭიროდ დაეკავშირებიათ თავიანთი მავნებლური მუშაობა ინტერვენციის მოწყობასთან სწორედ 1930 წელს.

თავიანთ ჩვენებაში ისინი აცხადებენ, რომ თავიანთ თანამოაზრეებს უცხოეთში ეუბნებოდნენ: „მხედველობაში იქონიეთ, რომ ჩვენი ძალები საკმაო აღარაა საქმის გადასაწყვეტად. ჩვენ ყოველნაირად დაგეხმარებით, გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ძირი გამოუთხაროთ საბჭოთა ხელისუფლებას, ავაფეთქოთ იგი, დავეხმაროთ ინტერვენტებს და სხვ., მაგრამ საბჭოთა კავშირში ბოლშევიკებთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი მაინც ინტერვენტებს უნდა ეკუთვნოდეთ".

მართლაც, საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის შიგნით ძირითადი გადამწყვეტი პოზიციები ამჟამად მთლიანად და სავსებით უჭირავს მუშათა კლასს. და არავითარ შინაგან ძალას, არავითარ შინაგან კონტრრევოლუციას არ ძალუძს დაგვამხოს, არა თუ დაგვამხოს, არამედ თუნდაც ოდნავ დაგვახევინოს უკან სოციალისტური მშენებლობის იმ პოზიციებიდან, რომლებიც ჩვენ გვეჭირავს. მართლაც, მხოლოდ ინტერვენცია, მხოლოდ საერთაშორისო იმპერიალიზმი წარმოადგენს ამჟამად საფრთხეს ჩვენი სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის.

ყოველივე ამის მიუხედავად, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მხრიდან გარემოცულნი ვართ მტრული ატმოსფეროთ, მიუხედავად იმისა, რომ მავნებლობის მოკალათებულნი არიან ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა საფეხურებში, ჩვენ მაინც განუხრელად დღითი-დღე და ყოველ საათში მივდივართ წინ და ვსძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებებს ჩვენს გზაზე (ტაში).

მემარჯვენე-„მემარცხენე" ბლოკს იერიში მიაქვს პარტიაზე

ჩვენ განუწყვეტლივ ვამოძრავებთ ახალ და ახალ ძალებს, რომლებიც ითვისებენ ყოველ ახალ ამოცანას. თუმცა უდიდესი ენერგიით და ყველა ძალების დაძაბვით ხოლო ზოგჯერ შეცდომებითაც, მაგრამ ამ ამოცანებს ჩვენ საერთოდ და უმთავრესად მაინც სწორად ვსწყვეტთ. მიუხედავად ამისა, ერთი წუთითაც არ შეიძლება დავივიწყოთ ჩვენი უდიდესი მუშაობის სიძნელეები და სირთულენი. ეს სიძნელენი უმთავრესად წარმოსდგებიან იქიდან, რომ ჩვენ ვიზრდებით და შეუჩერებლივ მივდივართ წინ.

საიდანაც არ უნდა წარმოსდგებოდნენ, რითაც არ უნდა აიხსნებოდნენ სიძნელენი, ყოველი სიძნელე, ყოველი დაბრკოლება მაინც იწვევს, განსაკუთრებით იმ გარდატეხის პერიოდში, რომელშიაც ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით, ერთგვარ მერყეობას და ქანაობას მუშათა კლასის და ჩვენი პარტიის ზოგიერთ ფენაში. ეს, ამხანაგებო, პირდაპირ უნდა ითქვას.

როდესაც ჩვენ მთელი ბოლშევიკური სიმტკიცით შევუტიეთ კულაკს და ყელში ვწვდით მას, ბუნებრივია, რომ მან დაიღმუვლა, და ეს კულაკური ღმუილი ჩვენ გაიგონეთ ფაბრიკებშიაც და ქარხნებშიაც და, თუმც ეს ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ეს კულაკური ღმუილი გაიმეორეს ზოგიერთმა ჩვენმა ამხანაგებმაც. ამასთან არა, როგორც იტყვიან, „უბრალო" წევრებმა,—სრულებითაც არა,—არამედ გაიმეორეს ისეთმა ამხანაგებმა, რომლებსაც ძალიან დიდი პარტიული ადგილები ეჭირათ და რომლებიც ამ კულაკურმა ღმუილმა დააფრთხო. მართალია, მათ მოეჩვენათ, რომ ღმუოდა არა კულაკი, არამედ ღმუოდა მთელი სოფელი, კულაკს ბანს აძლევდა საშუალო გლეხი და ხელს უწყობდა ღარიბი გლეხი. აქედან მათ ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ ჩვენი პოლიტიკა უნდა გარდაიქმნასო. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ კულაკი ღმუოდა **ხოლო კულაკის ღმუილი ისეთ ფაქიზ ყურამდეც** კი აღწევდა, როგორიც არის ბუხარინის ყური (სიცილი).

და ამ უკანასკნელ დროს, ეხლანდელი ისტორიული გარდატეხის პერიოდში ზოგიერთ ამხანაგს, ზოგიერთ ჯგუფს მოეჩვენა, რომ ეს გარდატეხის პერიოდი ჩვენს ძალღონეს არ შეეფერებოდა, ეს იმიტომ, რომ, თუ მთელ ყურადღებას მიაქცევ მხოლოდ დაბრკოლებებს, ინტერვენტებს და სხვ., შეიძლება მართლა მოგეჩვენოს, რომ, „დიპლომატიურად" თუ ვიტყვით, „დროა ავიკრათ გუდანაბადი". ამას ემატება ლაპარაკი იმაზე, რომ იქ ხორცი არ ეყოთ, იქ ხელფასის გაცემა შეაფერხეს, სადღაც რაღაც მოსდის ფულის ნიშნებს, ყველგან იმას ვერ იყიდი, რაც გინდა და სხვ. თუ ყოველივე ეს ჩამოსთვალე და სხვა ყველაფერი დაივიწყე, დაივიწყე თუ რატომ ხდება ეს, შეიძლება მართლაც რყევა გამოიჩინო.

მართლაც ასე გამოვიდა, ზოგიერთ ამხანაგი და, პირველ ყოვლისა, ამხ. სირცოვი პანიკურმა შიშმა მოიცვა. ჯერ შეუმჩნევლად, ხოლო შემდეგ უფრო და უფრო აშკარად დაჰკარგა მან პერსპექტივები და მთელი ყურადღება მიაქცია დეფექტებსა და ნაკლს: ველარ გაუძლო სიძნელეებს, დააგროვა ისეთი ამბები, რომლებმაც არა თუ თავბრუ დაახვიეს, არამედ მარჯვნისაკენ გადახარეს (სიცილი).

დროზე რომ გავეფრთხილებით, დროზე რომ მოემართა ჩვენი გამოცდილი პარტიული მკურნალებისათვის, იქნებ როგორმე მოხერხებულიყო მისი გამოსწორება. მე ვფიქრობ, რომ სწორედ თავისი მუშაობის ხასიათის გამო, იმ ვითარების გამო, რომელიც არსებობს მთელ რიგ დაწესებულებებში, კერძოდ, საბჭოთა დაწესებულებებში, მავნებლური გარემოცვის გამო, გამოვიდა ისე, რომ ის, რაც პარტიული ინსტანციებიდან გამომდინარეობდა, სირცოვის ერთ ყურში შედიოდა და მეორე ყურიდან გადიოდა, ხოლო რაც მეორე ბანაკიდან გამომდინარეობდა ის რჩებოდა სირცოვის **ყურში და მტკიცედაც რჩებოდა.**

იქ ეს კაცი თანდათან შეუდგა ჩვენი საერთო პარტიული დებულებების რევიზიას, სხვანაირი თვალსაზრისით დაიწყო გარემოს ხედვა.

აქედან გამომდინარეობენ, ამხანაგებო, ის დებულებები, რომლებამდეც ის დაქვეითდა და რომლებსაც აქ დამსწრეთა უდიდესი უმრავლესობა კარგა იცნობს, მით უმეტეს, რომ სირცოვი განმარტოებული არ დარჩენილა.

მხედველობაში მყავს ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი ამხ. ლომინაძე. ამ კაცმა სხვა გზებზე დაიწყო ფორხილობა, ამასთან არა დღეს, არამედ ბევრად უფრო ადრე. თქვენ გეხსომებათ, რომ ჩვენი პარტიის ისტორიაში ლომინაძე დროგამოშვებით ხმას აძლევდა უმთავრესად ეგრედწოდებული „მომემარცხენე" გამოსვლების სასარგებლოდ ზოგიერთ საკითხში: გლეხობის საკითხში, ღარიბ გლეხთა საკითხში, თვითკრიტიკის საკითხში და სხვა.

მაშინ იგი ხმამაღლა გამოსთქვამდა თავის უკმაყოფილებას ანტიპარტიულ დებულებათა შესახებ. თავის დროზე მას სათანადო ადგილი მიუჩინეს და იგი თითქოს გამოსწორდა. მაგრამ ეხლა საქმე ცოტა სხვანაირად მოხდა. ამხანაგ ლომინაძესაც, დაახლოებით ჩვენი პარტიის მე-16 ყრილობის წინ, დაებადა ეჭვი ჩვენი პარტიული პოლიტიკის ძირითად საკითხებში, მან წამოაყენა ამოცანა ჩვენი ძირითადი დებულებების გადასინჯვის შესახებ.

როდესაც ამხ. ლომინაძემ დაიწყო ყოველივე ამის გადასინჯვა, მას „ეჭვი" შეეპარა, მეტის-მეტად ხომ არ ვაჭარბებთ, მეტის მეტად დიდ ამოცანებს ხომ არ ვისახავთ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში, მეტის მეტად დიდი თამასუქები ხომ არ გავეცითო. ლომინაძემ პირდაპირ განაცხადა, რომ როდესაც მან გაიგო, ვითომ ცენტრალური კომიტეტი კაპიტალური მშენებლობის ფრონტის შეზღუდვის გზას ადგება, მაშინ იგი დამშვიდდა, „აი ეს კი სწორია; რაკი პარტია ამ გზას დაადგა. ეს იმას ნიშნავს, რომ შეცდომა შეიგნეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა შეითვისა ის, რასაც ლომინაძე უფრო ადრე მიხვდა, რაკი ცენტრალურ კომიტეტში გადასწყვიტეს კაპიტალური მშენებლობის და კაპიტალურ დაბანდებათა ფრონტის შეზღუდვა, მე თქვენ გეთანხმებით, ეს ჭეშმარიტად ბრძნული პოლიტიკა არის"-ო.

მემარჯვენე გადახრის პლატფორმაზე

მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვერავითარი ლომინაძე და, საერთოდ, ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ პარტია ზღუდავს კაპიტალური მშენებლობის ფრონტს. ეს სწორედ ის დებულებაა, რომელსაც იცავდნენ მემარჯვენენი, როდესაც იბრძოდნენ პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ და ცდილობდნენ თავზე მოეხვიათ ჩვენთვის მშენებლობის კაპიტალური ფრონტის შეზღუდვის აუცილებლობა.

ჩვენი პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. პრაქტიკა იმას მოწმობს, რომ ეს ფრონტი წლითი-წლობით ფართოვდება. ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, ეს ყველამ მშვენივრად ვიცით, ამ ხაზით სწორედ მემარჯვენეებმა მოაწყეს იერიში პარტიის წინააღმდეგ. თქვენ გახსოვთ ბუხარინის „თეორია" „ვიწრო ადგილებთან" მუშაობის შეფარდების შესახებ, მისი ფილოსოფია „მომავლის აგურების" შესახებ, რომელზედაც მან ეხლა,—ეს კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ,—ხელი აიღო.

ამრიგად, ლომინაძემ გაიმეორა არა ჩვენი დებულებანი. მან ისესხა თავისი დებულებანი მემარჯვენე ბანაკიდან. არა ნაკლებ საინტერესო დებულება წამოაყენა ლომინაძემ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის დიქტატურის ორგანოების—საბჭოების დახასიათებისას, იგი ლაპარაკობს „ბატონურ-ფეოდალურ დამოკიდებულებაზე მუშათა და გლეხთა საჭიროებებისა და ინტერესებისადმი".

ყველამ იცის, რომ ეს არის მტრების ლექსიკონი და არა ჩვენი პარტიის ენა საბჭოთა აპარატის დახასიათებაში. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა სახელმწიფო აპარატს მრავალი ნაკლი აქვს, იგი ძალიან დაავადებულია ისეთი სენით, როგორიც არის ბიუროკრატიზმი, მაგრამ მისი ისე დახასიათება, როგორც ამას ლომინაძე სჩადის, ჩვენს პარტიულ შეხედულებებს არ ეგუება.

როდესაც ამ ადამიანებმა თანდათან შეუტოპეს თავიანთ შეცდომებში, ბუნებრივია, რომ ისინი იქამდე მივიდნენ, რომ სრულიად არასწორად მოეჩვენათ მთელი ჩვენი პარტიული ხელმძღვანელობა. ამ მხრივ წარმატებას იჩენდა სირცოვიც, რომელიც თავის ეხლანდელ მსჯელობაში გულახდილად აცხადებს, რომ მას ეჩვენებოდა, ვითომ ცენტრალური კომიტეტი აღარ იყო ის კოლექტივი, რომელიც უნდა ყოფილიყო; ვითომ ხელმძღვანელობა გადაიქცა კარჩაკეტილ ჯგუფად, რომელიც მოკალათებულია სადღაც კრემლში, თუ კრემლის რომელიღაც ოთახში. ისეთმა მოვლენებმაც კი ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, როგორიც არის „მაგნიტოსტროი"-ს, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის, „დნეპროსტროი"-ს და სხვ. ბუმბერაზების გაშლა, ეჭვი გამოიწვია, მეტი რომ არ ვსთქვათ, ახლად გამოჩეკილ ოპოზიციონერთა გონებაში.

სირცოვი მაგალითად, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანას მხოლოდ „მაკეტს" უწოდებს, ე. ი. აშკარად დახცინის მას და ამბობს, რომ „ეს სატრაქტორო მაკეტი პოტიომკინის არც ერთ სოფელს არ ჩამოუვარდებაო".

საქმე იმაშია, რომ სტალინგრადის ქარხანა ახალი ქარხანაა, რომელშიაც ჩვენ გამოვიყენეთ ევროპისა და ამერიკის მთელი თანამედროვე ტეხნიკა, ამიტომ გასაგებია, რომ არც ისე ადვილია მისი დამთავრება. ამასთან დაკავშირებულ სიძნელეებს სირცოვის თვალში ბევრად უფრო გადამწყვეტი როლი ეძლევა, ვიდრე თვით მთელ ქარხანას. კაცს ეჭვი შეაქვს ისეთ რეალურ სინამდვილეშიაც კი, როგორიც არის ეს ახალი გიგანტები, ადარებს მათ პოტიომკინის სოფელს, რომელიც საჭიროა „ყველაცას გულის მოსაგებად" და სხვ. ამ საქმეზე შეჩერება როგორღაც უხერხულადაც კი მიმაჩნია. აიღეთ, მაგალითად, ისეთი მოვლენა ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში, როგორიც არის მუშათა კლასის აქტიობა. მუშათა კლასის ინიციატივისა და აქტივობის გარეშე, რა თქმა უნდა, არავითარ სოციალისტურ მშენებლობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. სოციალისტური შრომის ახალი ფორმები ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებში აღტაცებას ჰგვრიან ყველას, ვისაც ოდნავ მაინც შეგნებული აქვს სოციალისტური მშენებლობის მნიშვნელობა და სიდიადე. ისინი კი მხოლოდ უნდობლობას იჩენენ ამ ახალი მოვლენებისადმი ფაბრიკებს და ქარხნებში.

„ჩვენში ისე დაწესდა,—ამბობს სირცოვი,—რომ ყოველ ნამდვილად საუცხოვო აზრს განხორციელების პროცესში აუცილებლად უნდა დაერთოს ერთგვარი დამატება, როგორც ტალახიან გზაზე ჩექმას ტალახი ედება. ამას ჩვენ ვხედავთ სოციალისტურ შეჯიბრებისა და დამკვრელობაში. მუშათა კლასის თითქმის ყოველი დადებითი შემოქმედებითი იდეა რაღაც ავტომატიური წესით აუცილებლად მახინჯდება, რაც იმედს უკრუნებს მუშათა მასებს".

სირცოვი ვერ გამოურკვევია: „რა არის აქ მეტი, დადებითი თუ უარყოფითი?".

ისინი ვერ ხედავენ იმ ძირითად, მთავარ და ახალ მოვლენას მუშათა კლასში, რასაც ჩვენ ფაბრიკებში ვხედავთ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ ამას ვერც ტროცკი ხედავს. იმას, რაც ჩვენს აღტაცებას იწვევს,—სოციალისტურ შეჯიბრებას, დამკვრელობას, შემხვედრ სამრეწველო-საფინანსო გეგმას და სხვ.,—ტროცკი შემდეგნაირად ახასიათებს: „ისეთ პირობებში, როდესაც მუშათა დემოკრატია ფაქტიურად არ არსებობს, პროლეტარიატის ნებისყოფით და ინიციატივით წამოყენებული ყოველი აუცილებელი ღონისძიება ხორციელდება დამახინჯებული ფორმით, რასაც ზოგჯერ უფრო მეტი ზიანი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა".

იმაში, რასაც გვეუბნება ახლად გამოჩეკილი ოპოზიცია სირცოვ-ლომინაძის „მემარცხენე" მემარჯვენე ბლოკი, არსებითად ახალს ვერაფერს ვხედავთ. ყოველივე ეს გამოთრეულია მემარჯვენე ოპორტუნისტების არსენალიდან, ყოველივე ეს ჩვენთვის ძალიან კარგად არის ცნობილი, საკმაოდ სრულად და საფუძვლიანად არის „დამუშავებული" ჩვენ მიერ.

მემარჯვენე-„მომემარცხენო" ბლოკის თვალთმაქცები

პარტიისა და მუშათა კლასის მოღალატენი არიან

ამ ოპოზიციისათვის დამახასიათებელია მისი ფორმები. იმ ადამიანებმა, რომელთაც ჩვენ პარტიაში საპასუხისმგებლო ადგილები ეჭირათ, საჭიროდ არ დაინახეს ისეთი საკითხების გამო, რომლებიც მათ აღელვებდა, მიემართათ პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის. არა, ისინი წინააღმდეგ მოიქცნენ. ისინი თავიანთ ჯგუფში იდუმალად, კარჩაკეტილად აკოწიწებდნენ კონსპირატიულ ოპოზიციას ჩვენი პარტიის წინააღმდეგ; ამ ხნის განმავლობაში მათ შექმნეს საკმაოდ მტკიცე ჯგუფური დისციპლინა. ამაში დავრწმუნდით მაშინ, როცა ამ ჯგუფის არსებობა გამოაშკარავეს.

ნუსინოვი, კავრაისკი და სხვები, როცა ისინი არალეგალურ ანტიპარტიულ, ფრაქციულ მუშაობაში ამხილეს, ყველაფერს უარყოფდნენ, რამდენი არ არწმუნეს ისინი, რამდენი არ გააცნეს მათ პარტიული გადაწყვეტილებანი, გამოტანილი ასეთი შემთხვევების გამო, თვით იმ საკითხის გამო, რომ პარტიის ყოველი წევრი აბსოლიუტურად ვალდებულია უთხრას სიმართლე ცენტრალურ პარტიულ ორგანოებს, — მათზე არავითარი არგუმენტი არ მოქმედებდა.

ის ადამიანები, რომელნიც ჩვენთან ერთად მხარდამხარ მუშაობდნენ, რომელნიც არაფრით არ გვაგებინებდნენ იმას, რომ ეჭვი ეპარებათ გენერალური ხაზის და ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებების სისწორეში, ის ადამიანები, რომელნიც ფიქრობდნენ (განსაკუთრებით ეს ეხება სირცოვს), რომ ჩვენი პარტია და ცენტრალური კომიტეტი იმდენად სცდებოდნენ თავიანთ პოლიტიკაში, იმდენად დამღუპველ პოლიტიკას აწარმოებდნენ, რომ რევოლიუციის კრიზისი, სოციალისტური მშენებლობის კრიზისი აუცილებელია,— ეს ადამიანები დადუმებულნი და გაჩუმებულნი იყვნენ პარტიის წინაშე.

პირიქით, თავიანთ გამოსვლებში, ოფიციალურ გამოსვლებში ისინი ერთგულებას უცხადებდნენ ც. კ-ს და ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზს, ამავე დროს კი პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის ზურგს უკან ისინი დამარღვეველ არალეგალურ მუშაობას აწარმოებდნენ. ასეთ პრაქტიკას, ასეთ ყოფაქცევას პარტია თვალთმაქცობას უწოდებს. ეს არის ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის დიქტატურის ნამდვილი ღალატი.

ასეთი ყოფაქცევის სხვანაირი კვალიფიკაცია არ შეიძლება. ლომინაძე, რომელსაც ეჭირა დიდად საპასუხისმგებლო თანამდებობა— ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მდივნის თანამდებობა, შეჰპირდა პარტიას, რომ უზრუნველჰყოფდა პარტიული ხაზის გატარებას აქ, ამიერ-კავკასიაში. მან მოითხოვა მხოლოდ ერთი რამ— მიეცათ მისთვის საიმედო და მტკიცე თანაშემწენი, რომელთან ერთადაც იგი შესძლებდა ხელიხელ გადაბმულ მუშაობას და ფოლადისებური ორგანიზაციის შექმნას აქ, ამიერ-კავკასიაში, მით უმეტეს, რომ მანამდე ამიერ-კავკასიის ორგანიზაციაში, როგორც თქვენ, იცით, ადგილი ჰქონდა ცალკე უარყოფით მოვლენებს.

ცენტრალური კომიტეტი ენდო მას, ლომინაძე ჩამოვიდა აქ და ფორმალურად გამოვიდა პარტიის გენერალურ გადაწყვეტილებათა ნიშნით, ხოლო იდუმალად, ფარულად, სარგებლობდა რა ც. კ-ის ნდობით, აწყობდა არალეგალურ მუშაობას, აყენებდა თავის კაცებს, მიმართავდა ყოველგვარ საშუალებას თავის ოპოზიციონურ შეხედულებათა გასატარებლად და სხვ. ამასვე სჩადიოდა სირცოვი.

როგორ იბრძოდა ლომინაძე და მისი ჯგუფი

ბაქოს და მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციის ხელში ჩასაგდებად

ის ადამიანები, რომლებმაც ლომინაძის მიერ ნაკარნახევ გამოსვლებსა, დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებში ოპორტუნიზმის ელემენტები შენიშნეს, პოლიტიკურად პირდაპირ ჯვარს აცვეს.

მე ვგულისხმობ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის „შესანიშნავ" მიმართვას, რომელიც გამოშვებულ იქნა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ცნობილი მიმართვის შემდეგ, როდესაც ბაქოელებმა შენიშნეს, რომ სწორედ ამ მიმართვაში ჩვენი პარტიული ძირითადი და უდაო დებულებების ნიშნით ცდილობენ აშკარა ოპორტუნისტული დებულებების გაპარებას (გავიხსენოთ თუნდაც მუშათა რეალური ხელფასის საკითხი, როდესაც ამტკიცებდნენ, რომ მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა უარესდებაო და სხვადასხვა),—ეს ამხანაგები პოლიტიკურად პირდაპირ ჯვარს აცვეს, დაუნდობლად ესხმოდნენ მათ და ყოველნაირად ცდილობდნენ მათი სახელის გატეხას.

აქ, ამიერ-კავკასიაში მუშაობის ერთ-ერთ ძირითად პირობას, ერთ-ერთ ძირითად ამოცანას, რომელიც ამიერ-კავკასიის კომუნისტური პარტიების წინაშე სდგას, წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება. ამ დებულებას, რომელსაც სიტყვით იზიარებდნენ ლომინაძე და მისი თანამოაზრენი, პრაქტიკულად მათ ისეთი მიმართულება მისცეს, რომ ჩვენი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ნამდვილ და ჭეშმარიტ დამცველებს ამ საკითხში ოპორტუნისტებად აცხადებდნენ და ჯვარს აცვამდნენ.

დიდი წინასწარმეტყველება არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ, ვინიცობაა, ჩვენ დროზე არ ამოგვეჩინა სირცოვ-ლო-

(დასასრული იხ. მეორე გვერდზე)

ბიბლიოთეკა

ამხ. კიროვის მოხსენება

მინაძის ანტი-პარტიული ფრაქციული ბლოკი, თუ რა დიდი განსაცდელის გადატანა მოუხდებოდა აზერბეიჯანს, კერძოდ ბაქოს ორგანიზაციას, ვინაიდან ლომინაძეს მშვენივრად ესმოდა, რას მოასწავებდა თავისი გავლენის უზრუნველყოფა ბაქოში, რას ნიშნავდა ბაქოს ორგანიზაციის დაპყრობა.

აღებული იყო ისეთი გეზი, რომ პირველ რიგში ამიერ-კავკასიისა და ბაქოს დაპყრობის შემდეგ შესაძლებელი გახდებოდა ამ თვალთმაქცობის საკმაოდ მძიმე ბაგაჟით გამოცხადება პარტიის ცენტრალური კომიტეტის თუ არა, მორიგ, ყოველ შემთხვევაში შემდგომ პლენუმზე მაინც, „ზოგიერთი" მოთხოვნის წარდგენა და ამით, უეჭველია, დაბრკოლებების შექმნა პარტიის შიგნით.

მაგრამ ჩვენ ეს დროზე აღმოვაჩინეთ და ვამხილეთ. ახლა ჩვენთვის საჭიროა, რომ ყოველივე ეს სიტყვა-სიტყვით შევიგნოთ და გავაკეთოთ ყოველივე იმისათვის, რომ ახლო მომავალში აღმოვფხვრათ ჩვენს ორგანიზაციაში იმის ოდნავი ნაშთიც კი, რის დათესვასაც ცდილობდნენ ლომინაძე და მისი ჯგუფი.

ამხანაგებო! თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხში—ახალი ბლოკის საკითხში—ჩვენ ერთი წუთითაც არ შეგვიძლია დავივიწყოთ მემარჯვენეთა ყოფაქცევა. ჩვენ სრულიად გულახდილად ვთვლით დამნაშავეთ ამ ახალი ოპოზიციის ჩამოყალიბებაში მემარჯვენე გადახრის ყოფილ ბელადებს.

მე-16 პარტყრილობამ, როგორც თქვენ გეხსომებათ, გამოიტანა სრულიად გარკვეული დადგენილება მემარჯვენეთა შესახებ. ჩვენ წინადადებას ვაძლევდით მათ არა სიტყვით, არამედ საქმით ჩვენთან და მთელ პარტიასთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებულებს ებრძოლათ პარტიის გენერალური ხაზისათვის ყოველი ჯურის გადახრებისა და ოპოზიციების წინააღმდეგ ჩვენს პარტიაში, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ.

გადის თვეები, მაგრამ მემარჯვენეები ხდუმან. ისინი ხდუმან მავნებლური ჩვენებების დროსაც კი, რომელთა საგრძნობი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია და რომლებიც მოწმობენ, რომ მავნებლებს თავიანთ მუშაობაში გარკვეული გეზი ჰქონდათ აღებული მემარჯვენეებზე. მავნებლები სავსებით გარკვევით ცდილობდნენ „დახმარების" აღმოჩენას მემარჯვენეებისათვის მათ ბრძოლაში პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ. მათ ეკისრებ კიდევ ვალდებულება იმ მხრივ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მემარჯვენეები დაამარცხებდნენ მე-16 პარტყრილობაზე პარტიის ახლანდელ ხელმძღვანელობას, რადგან მემარჯვენეები არც მაგდენად მაგარ ხერხემლიანები არიან, დახმარებოდნენ მათ ორგანიზაციულად განემტკიცებინათ ეს გამარჯვება თუნდ პარტიის ცალკე გამჩენილი ხელმძღვანელების „ჩამოშორების" საშუალებით.

ყველაფერი ეს იციან მემარჯვენეებმა, ყოველივე ამის შესახებ კითხულობენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ღრმად ხდუმან.

შეგვეკითხებიან—რა კავშირი აქვს ყოველსავე ამას ლომინაძესთან და სირცოვთან? პირდაპირი კავშირი აქვს. როდესაც ოპოზიციის ბელადები ხდუმან, ჩვენ სრულიად კანონიერად გვებადება აზრი—ის ადამიანები, რომლებიც ფორმალურად და არა ფაქტიურად განიარაღდნენ, ხომ არ რჩებიან ძველ პოზიციებზე, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც.

ყველა ის ელემენტები, რომლებიც თუ დღეს არა, ხვალ შეეცდებიან ბრძოლას ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, აუცილებლად მიიხედავენ ამ ლიდერებისაკენ და ჩასთვლიან მათ მომავალ უკვე ოფიციალურ ოპოზიციონურ ლიდერებად. ასეთმა დუმილმა არ შეიძლება არ ასაზრდოოს და არ დანერგოს ისეთი ტაქტიკა, რომელსაც ჩვენ თვალთმაქცობას ვუწოდებთ.

განა საჭიროა ლაპარაკი იმის შესახებ, ამხანაგებო, რომ სირცოვ-ლომინაძის ამ ახლად მოვლენილ ბლოკს საერთოდ, რასაკვირველია, არავითარი „ამინდის" გამოწვევა არ შეეძლო და არ შეუძლია.

მაგრამ საქმე მარტო სირცოვი და ლომინაძე როდია. საქმე იმაშია, რომ ის ობიექტური ძალები, რომლებიც ხშირადასხვადასხვა გადახრებსა და ოპოზიციებს იწვევენ, რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებიან. პარტია სწორედ მოიქცა, როცა მან დროზე მიაქცია სერიოზული ყურადღება ამ საქმეს და გადაჭრით და მტკიცედ შეუტია ლომინაძეს, სირცოვსა და მათ თანამოაზრეებს.

თავისთავად ცხადია, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც ლომინაძე ჰგზავნიდა აქ, ამიერკავკასიაში, არ ჰქონდა საფუძველი ნდობით არ აღჭურვა ის, რომელსაც აქაც სრულიად გულღიად, პოლიტიკური პურ-მარილით შეხვდნენ. იგი მართავდა აქ და უძღვებოდა საქმეებს ყოველივე თვითკრიტიკისა და რაიმე დაბრკოლების გარეშე, ამავე დროს კი აბამდა ოპოზიციონურ ქსელს. ამას ვერავინ ვერ ამჩნევდა, თუმცა კი უნდა შეემჩნიათ.

თბილისში უნდა შეემჩნიათ ეს უფრო ადრე, ვიდრე ბაქოში, ვინაიდან თბილისში ამის შემჩნევა ბევრად უფრო ადვილი იყო, რადგან არსებობდა საშუალება ლომინაძის ყოველდღიური მუშაობისათვის თვალყურის სადევნებლად. ყოველივე ის, რაც მოხდა და რაც ასე მოულოდნელად დაგვატყდა თავს, ის, რომ ამიერ-კავკასიაში ურთიერთობა პარტიულებს შორის ხშირად განიზომება არა მარტო იმით, თუ რამდენად ეს თუ ის ამხანაგი მტკიცე და გამობრძმედილია პარტიულ საქმეებში, არამედ იმით, ბოდიშს ვიხდი გულახდილობისათვის, თუ რამდენად მეგობრობს ის ამა თუ იმ ამხანაგს—ყოველივე ეს, ამხანაგებო, ძალიან ცუდი მოვლენაა. ამ გარემოებამ ძალიან დიდი როლი ითამაშა კერძოდ ლომინაძის საქმეში.

მან კი ამით საუცხოვოდ ისარგებლა. მან მოისყიდა ამხანაგები ამ მეგობრობით, მოისყიდა იმდენად, რომ ის ადამიანები, რომლებსაც საკმაოდ კრიტიკულად უნდა ემუშავნათ, პირში შესცქეროდნენ ლომინაძეს და დამშვიდებით აწერდნენ ხელს იმაზე, რასაც იგი ურჩევდა, იმის ნაცვლად, რომ ხანგამოშვებით კრიტიკულად შეემოწმებიათ ის აზრი, რომელსაც იგი აქ ატარებდა, მაგრამ ასე არ ხდებოდა.

ასეთი დამოკიდებულების გამო ფიქრობდნენ, რომ ლომინაძე „ჩვენი ბიჭია", ასი პროცენტით „კავკასიელი". ჩვენ მას ვიცნობთ იმ დროიდან, როცა იგი პოლიტიკურად ბალღი იყო და რომ საერთოდ, როგორც ამბობენ, „გულღია" ადამიანია. მან ცენტრალურ კომიტეტშიაც განაცხადა, რომ თუ მას შეიძლება რაიმეში ბრალი დასდონ, მხოლოდ იმაში, რომ ერთგვარ „გაბედულ" დამოკიდებულებას იჩენდა ცენტრალური კომიტეტის მიმართ.

თუ სანამდე მივყევართ ამას, გვრჩენებს ლომინაძის გამოცდილება, გაბედულობა—ეს გარეგნული საქციელი, „გულახდილობა" და სხვა—უფრო მეტად ასუსტებდა იმ ამხანაგების ყურადღებას, რომლებიც ლომინაძესთან ერთად მუშაობდნენ. და აი, მივედით ის, რასაც ხედავთ.

როცა მთელი ეს ისტორია გამომჟღავნდა, ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელობა, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი სრულიად დაიბნა, რაც აღიარებულ იქნა ა.-კ. სამხარეო კომიტეტის და სამხარეო საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმზე. ყოველივე ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ იმის ნაცვლად, რომ ორგანიზაცია სწორ გზაზე დამდგარიყო, დაიწყეს მსჯელობა იმაზე, თუ როგორ მოხდა, რომ ლომინაძემ გაგვაცრუა. რადგან მდგომარეობა სხვა ორგანიზაციებში არ იყო ისეთი მტკიცე, როგორც აქ, ბაქოში, კერძოდ არ იყო მტკიცე საქართველოსა და სომხეთში, ამიტომ შეიქმნა ის პირობები, რომლებსაც ჩვენ უკვე რამდენიმე კვირაა ვარკვევთ. დავდივართ უჯრედიდან უჯრედში და ჩვენი პარტიული აზროვნება წესრიგში მოგვყავს, რაც უსათუოდ აუცილებელია. მაგრამ მე მინდა ვსთქვა, რომ უფრო მეტი წარმატებით შეიძლებოდა ყველაფრის გაკეთება, რომ ადგილი არ ჰქონოდა დაბნეულობას. ეს განწყობილება გადაედო კომკავშირს, რომელიც,—აქვე უნდა აღვნიშნო,—დიდ ხანს იყო უხელმძღვანელოდ. ამან გავლენა მოახდინა პრესის ორგანოებზე და სხვა.

ეხლა თითქოს საქმე სათანადოთ ეწყობა. მე ვფიქრობ, რომ უახლოეს დროში მდგომარეობა საბოლოოდ გამოსწორდება და ამ.-კავკასიის ორგანიზაციები სათანადოთ გაიწმინდებიან ლომინაძის იდეოლოგიის ყოველგვარი ნაშთებისაგან.

პარტიის გენერალური ხაზისათვის, ნავთისა და ბამბისათვის

იმ ამბებს, რომლებიც ამიერ-კავკასიის ორგანიზაციაში მოხდა უკანასკნელ დროს, არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა ორგანიზაციების მუშაობაზე პარტიის გენერალური ხაზის ნამდვილად გასატარებლად მათ ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში.

გულახდილად უნდა განვაცხადო რომ მე აქ ხუთი წელიწადია არ ვყოფილვარ და როცა დავინახე, რა კეთდება საქართველოში, სომხეთში და აზერბეიჯანში, განსაკუთრებით ბაქოში, დავრწმუნდი, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ისეთი თავბრუდამხვევი მუშაობა შესრულებულა, რომ ჩვენი მეურნეობის ცალკე დარგებს პირდაპირ ვეღარ ვცნობილობ.

მაგრამ ჩვენ ბოლშევიკები აღარ ვიქნებით, თუ ამით „დავკმაყოფილდებოდით" მე უკვე აღვნიშნე, თუ რა როლი ენიჭებათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს ჩვენი განვითარების ახლანდელ ეტაპზე. ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოება, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები აღმოსავლეთის ქვეყნების მეზობლები არიან.

როგორც გეხსომებათ, აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მეორე დღეს ლენინი ამბობდა, რომ ეს ქვეყანა ყოველმხრივ უნდა ვაქციოთ სანიმუშო რესპუბლიკად აღმოსავლეთის ხალხებისთვის, ეს იქნება საუკეთესო აგიტაცია, საუკეთესო პროპაგანდა ჩვენი საქმისათვის მთელ ამ მრავალ მილიონიან აღმოსავლეთში.

მიღწევები, რა თქმა უნდა, უფრო მეტია არა მარტო მეურნეობაში, არამედ კულტურის განვითარებაშიაც აქ, აზერბეიჯანში. დღეს მაცნობეს, რომ გასულ წელს კულტურული მშენებლობისათვის აზერბეიჯანში დაიხარჯა, არც მეტი, არც ნაკლები, 40 მილიონი მანეთი. წელს განზრახულია დაიხარჯოს 75 მილ. მან. ან 80 მილ. მან. ეს იმ დროს, როცა მუსავატელები წელიწადში ხარჯავდნენ ერთ მილიონ მანეთს, ხოლო მეზობლად მყოფმა სპარსულმა აზერბეიჯანმა შარშან დახარჯა 220.000 მანეთი ამ საქმისათვის, (სიცილი). ეს ისეთი მასშტაბია, რომელიც თავის თავად ლაპარაკობს.

მიღწევები უდავოა. მეურნეობის და კულტურის ზრდა სწრაფი ტემპით სწარმოებს, მაგრამ დღითი-დღით იზრდება აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უყენებს მთელი საბჭოთა კავშირი, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს და, კერძოდ, აზერბეიჯანს. ეს უნდა გვახსოვდეს. და აი აქ მე მსურს რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმ მთავარ ამოცანებზე, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე. უდიდესი მნიშვნელობა ჩვენთვის და მთელ საბჭოთა კავშირისათვის აქვს ნავთს. გავეცნოთ უკანასკნელ ცნობებს, კერძოდ, ნავთის ამოღებას განსაკუთრებულ კვარტალში და ამ კვარტალის განვლილ დროში—1 ოქტომბრიდან 24 ნოემბრამდე. მე მომცეს ცნობა, რომ ამ პერიოდში ნავთის ამოღება უდრის 92,6 პროცენტს, ბურღვა—82,7 პროც. დრო არ მქონდა დაწვრილებით გავრკვეულიყავი ისეთ საკითხებში, როგორიცაა პროდუქციის თვითღირებულება და სხვა. მე ვიცი, რომ მეტად მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ჩვენს ნავთის მრეწველობას და რომ აქ ბევრს დეფექტს აქვს ადგილი საერთო მდგომარეობასთან დაკავშირებით. დიდი სიძნელეებია ნავთის მრეწველობის მომარაგების საქმეში—ყოველივე ეს უდაოდ სწორია.

მაგრამ მე თქვენ ყურადღებას მივაქცევ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ გადაწყვეტილებაზე ნავთის მრეწველობის საკითხის შესახებ. აქ ყველაფერი გათვალისწინებულია, აქ სავსებით გარკვეული დავალებებია მოცემული მრეწველობის სხვა დარგების შესახებაც, რომლებმაც უნდა მოამარაგონ მთელი ჩვენი ნავთის მრეწველობა, კერძოდ, აზერბეიჯანისაც. მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში მტკიცედ არის აგრეთვე ნათქვამი, თუ რა ევალება, მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა, მთელი აზერბეიჯანის პარტიულ ორგანიზაციას და, უწინარეს ყოვლისა, ბაქოს ორგანიზაციას ნავთის მრეწველობის განვითარების საქმეში. აქ საჭიროა ამერიკული ტემპები. მე არა ვარ სპეციალისტი ნავთის მრეწველობის საქმის, მაგრამ ნება მიბოძეთ ვსთქვა, რომ მე, მაგალითად, ვნახე ნავთის პროდუქტების გადამუშავების ახალი საშუალებების ნაწილები, ყველა ეს კრეკინგები და სხვა. მე ვნახე ნავთის მუშაკების ხელით გაკეთებული სისტემები და უნდა განვაცხადო, რომ ეს სისტემები თავისთავად მარტივია და ისინი სრულიად არ მოითხოვენ განსაკუთრებული მასალის მომარაგებას, მაგრამ არ ვახდენთ ამას საკმაო სისწრაფით. საჭიროა ეს გავაკეთოთ უფრო სწრაფად და გაბედულად.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებით, ნავთის მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანები სავსებით უნდა შეითვისოს მთელმა ორგანიზაციამ, ეს ამოცანები უნდა დაისვას მთელი ყოველდღიური მუშაობის ცენტრში და ეს ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ.

მეორე საკითხი ეხება ბამბას. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მთავარ ყურადღებას აქცევს ამჟამად ბამბას. ბამბის საკითხის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ამხანაგების სპეციალური ჯგუფი გამოგზავნა აქ. ყოველივე ეს ტყუილად უბრალოდ როდი ხდება. ყოველივე ეს ცალკე აღებული უკვე თავისთავად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ამ დარგში საქმე ვერ არის კარგად. ჩვენ მომავალი წლისათვის საფეიქრო მრეწველობის პროგრამა იმგვარად შევადგინეთ, რომ ვფიქრობთ სრულიად ავიღოთ ხელი უცხოეთიდან ბამბის შემოტანაზე, თუ უცხოეთის ბამბას გამოვიწერთ, გამოვიწერთ ჩვენს ბამბაზე გადაცვლით, რათა საბჭოთა საფეიქრო მრეწველობის ზოგიერთი ხარისხის ქსოვილების ღირსება გავაუმჯობესოთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ბამბის პროგრამა უნდა შევასრულოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, და შევასრულოთ უახლოეს დროში. ამ საკითხის გარშემო დარაზმულია აზერბეიჯანის ცენტრალური კომპარტიის კომიტეტი და აზერბეიჯანის სახკომსაბჭო, მაგრამ, ამხანაგებო, ამოცანის ირგვლივ მთელი საზოგადოებრიობაც უნდა დავრაზმოთ.

ერთ-ერთ იმის მიზეზს, რომ ჩვენში სუსტად მიმდინარეობს ბამბის აკრეფა, წარმოადგენს ჩვენი მუშაობის ძალზე ჩამორჩენა აზერბეიჯანის სოფელში— პარტიული, საბჭოთა კოოპერატიული და სხვა ხასიათის მუშაობა ჩამორჩა სოციალისტური მშენებლობის საერთო ტემპებს და ამოცანებს. მეტიც: თვითკრიტიკის წესით პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ახლოს ვერ მივედით ამ სოფელთან, ვერ მივედით ისე, როგორც საჭიროა.

აი, ამხანაგებო, ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ვკრეფთ ბამბას აქ, აზერბეიჯანში. ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად, პირველ დეკემბრისათვის უნდა აგვეკრიფა 85 პროც., ფაქტიურად კი სულ აკრეფილია 16 ნოემბრის ცნობების მიხედვით) 85 პროც., ღარიბ გლეხებს შორის ავკრიფეთ ბამბა—43,5 პროც., საშუალო გლეხებს შორის— 33,3 პროც., კოლმეურნეობებში — 25,8 პროც.. მძლავრებულ გლეხებში 0,9 პროცენტი და კულაკების მეურნეობაში—0,1 პროც. ნუ თუ ამხანაგებო, აზერბეიჯანის კულაკებს ბამბის მხოლოდ ერთი მეათასედი ნაწილი აქვთ? არავინ ამას არ დაიჯერებს. აი, ამხანაგებო, ამგვარად არის საქმე მებამბეობის ფრონტზე.

ამჟამად ყველა უნდა დაირაზმოს ამ გადაუდებელი ამოცანის ირგვლივ. მთელი რიგი ღონისძიებებისა უკვე მიღებულია. აზერბეიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივის თანახმად, 20—25 დღეში ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას. ეს ასე უნდა მოხდეს, რადაც უნდა დაგვიჯდეს (ტაში).

ეს არა მარტო ბაქოს და მთელი აზერბეიჯანის ამოცანაა, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ამოცანაც არის. უნდა შევიგნოთ, რომ ყოველი ტონა აუკრეფავი ბამბა ნიშნავს საბჭოთა ვალიუტის დახარჯვას, ბამბის გამოწერაზე უცხოეთიდან. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა ზომების მიღება სადღაც სხვა ადგილზე, რომელიმე მანქანის ან დაზგის ყიდვაზე უარის თქმა, რომელიც ჩვენ აუცილებლად გვჭირდება. აი რას ნიშნავს ჩვენთვის ამჟამად ბამბა. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი ამ ამოცანას სახავს ყველა რაიონებში, სადაც კი ბამბა მოიპოვება.

ამხანაგებო, მე უკვე ვილაპარაკე იმის შესახებ, თუ რა როლი უნდა ითამაშოს აზერბეიჯანმა ნედლეულის დარგში მთელი საბჭოთა კავშირისათვის. ჩვენ აქ გვაქვს არა მარტო ბამბა, არამედ ახალი წამოწყებაც და ამბობენ რომ არც თუ ცუდი წამოწყება ეს—კენაფის გაშენება. კენაფი საფეიქრო მრეწველობისათვის დიდი დამხმარე ნედლეული იქნება. ამხ. ბუნიატ-ზადემ მარდაკანის სადგურზე მაჩვენა მეტად დიდი და მეტად ხელსაყრელი საქმის დაწყება—კაუჩუკიანი მცენარეების გაშენება. გაივლის ცოტა დრო და ეს კაუჩუკი ნავთის შემდეგ მეორე ადგილს დაიჭერს: „ნავთი, შემდეგ კაუჩუკი". თქვენ იცით, როგორ ბუმბერაზებს ვაშენებთ, ვთქვათ, ნიჟნი ნოვგოროდში, ათასი მანქანა და ავტომობილი ათი ათასობით დამზადდება ყოველწლიურად. მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგები მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კაუჩუკთან და რეზინასთან. ჩვენ დიდძალ კაუჩუკს ვიწერთ უცხოეთიდან, საკუთარი კაუჩუკი არა გვაქვს.

ჩვენ ვცდილობთ თავი დავაღწიოთ უცხოეთისაგან დამოკიდებულებას, ვლაპარაკობთ ომის საფრთხეზე და სხვა. თუ, მაგალითად, ხვალ ომი დაიწყო და კაუჩუკის შემოტანა შესწყდა ჩვენს ქვეყანაში, მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდებით. კაუჩუკი უდიდეს როლს თამაშობს. კაუჩუკის პრობლემა რაც შეიძლება მალე უნდა გადაიჭრას, როგორც ბუნებრივი კაუჩუკის, ისე სინთეტიური, ხელოვნური კაუჩუკის ხაზით. ის, რაც წინასწარ შევიტყვე აქ კაუჩუკის შესახებ, მოწმობს იმას, რომ საქმე, როგორც სჩანს, სავსებით სწორი და აბსოლუტურად საიმედოა. ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციონ არა მარტო იმ ორგანიზაციებმა, რომლებთაც ეს ევალებათ, არამედ აგრეთვე აზერბეიჯანის ყველა მუშაკებმა, ვინაიდან ამ პრობლემას საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ თუ ნამდვილად გვსურს პარტიის გენერალური ხაზის გატარება, ეს ხაზი უნდა განვახორციელოთ ყოველდღიურ პრაქტიკაში მუშაობის ყოველ დარგში.

მე მინდა შევჩერდე კიდევ ორ უდიდეს პრობლემაზე, რომლებიც დასახულია აზერბეიჯანის წინაშე. ეს არის ალუმინის პრობლემა—ჩვენი დაშქესანის პრობლემა. ალუმინი ჩვენთვის, ამხანაგებო, ისეთივე აუცილებელი ხდება, როგორც ჰაერი. თქვენ იცით, თუ რა როლს თამაშობს ალიუმინი საავტომობილო და სხვა მშენებლობაზე.

ჩვენ ამჟამად ვაშენებთ ალიუმინის ქარხანას ლენინგრადში; ერთი წლის შემდეგ იგი მოგვცემს ალიუმინს, მაგრამ არა იმდენს, რამდენიც ჩვენ გვჭირდება. ქარხანა შენდება უკრაინაშიაც. იგი ამუშავდება ლენინგრადის ქარხანასთან ერთად. მაგრამ ჩვენი ქვეყნის დაკმაყოფილებას ესენი მაინც ვერ შესძლებენ. აქ კი ამ ცოტა ხნის წინად აღმოჩენილ იქნა ალიუმინის საბადოები, რომლებმაც ყველა ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიიქციოს დაშქესანის პრობლემაზე. ამ პრობლემას თქვენ ჩემზე უკეთ იცნობთ.

გავაძლიეროთ მუშაობა აზერბეიჯანის სოფელში, განვამტკიცოთ ა.-კ. ფედერაცია

ჩვენმა მთავარმა დასაყრდენმა ამიერ-კავკასიაში—ბაქოს ორგანიზაციამ სათანადოდ უნდა მოაგვაროს მუშაობა სოფლად, რომ ეხლა, ჩვენი არსებობის ათი წლის შემდეგ, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ დაგვიძლევია ისეთი მოვლენები აქ აზერბეიჯანში, როგორიც არის ბანდიტიზმი, ამის მოთმენა შეუძლებელია.

აქვე უნდა ვთქვა, რომ სოფლის აღდგენისა და მისი სათანადოდ მოწყობის ამოცანა ყველა ორგანიზაციების ამოცანაა. პირდაპირ უნდა გითხრათ ის, რაც აქ მაცნობეს იმათ, ვინც ახლოს სდგას ამ საქმესთან. ჩვენში დღემდე მოიპოვება ისეთი ადგილები სოფლად, სადაც არა თუ არავითარი კომუნისტური პარტია არა სჩანს, სადაც ჯერ კიდევ ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლებაც არ არის. აი როგორი მდგომარეობაა.

უნდა მოვთხოვოთ სოფლად მუშაობის გაძლიერება არა მარტო იმ ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ ამ საქმეზე მუშაობენ, არამედ მთელ ჩვენს ორგანიზაციასაც. ბაქოს მუშების დაუხმარებლად ამ საქმის გაუმჯობესება არ შეიძლება. უმოკლეს ვადაში თვით სოფლის მუშაკებს ვერ აღზრდი, რამდენიმე კვირაში იქ მტკიცე რევოლიუციონერებს ვერ შექმნი. ამ მხრივ საჭიროა ბაქოს ორგანიზაციის დახმარება.

ჩვენ აგრეთვე დიდი ყურადღებით უნდა შევამოწმოთ იმ დაკავშირებულ ორგანოების მუშაობა, რომელთა დახმარებითაც პარტია ახორციელებს ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის დიქტატურას. ძალიან სერიოზულად უნდა განვამტკიცოთ და შევამოწმოთ ყველა საბჭოთა ორგანოების მუშაობა, დიდი ყურადღებით უნდა გადავათვალიეროთ პროფკავშირების და კოოპერაციის მუშაობა. მუშათა მომარაგების საკითხები უშუალოდ დაკავშირებულია კოოპერატიული ორგანოების მუშაობის მოგვარებასთან.

სოფლად მუშაობა მჭიდროდ დაკავშირებულია კოოპერატიულ ორგანიზაციებთან. და ეს ბერკეტი სათანადოდ უნდა გამოვიყენოთ.

არ შემიძლია არ დავამთავრო ჩემი სიტყვა იმ საკითხებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჩვენს საერთო ამოცანასთან—ამიერ კავკასიის ფედერაციის განმტკიცებასთან. გაკვრით უკვე ვთქვი, თუ რა მერყეობა მოხდა ამ ხაზით. ტყუილად კი არ ვიმტვრევდით თავს ამ რამდენიმე წლის წინად ამ საკითხის ირგვლივ გამართულ კამათში. პირდაპირ უნდა ითქვას: ზოგჯერ დიდი სიძნელით გვიხდებოდა ფედერატიული არსებობის ფორმის ჩამოყალიბება აქ ამიერკავკასიაში.

გასულ წლის ნოემბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს მისცა დირექტივა — გაეძლიერებიათ თავიანთი მუშაობა ფედერაციის განმტკიცების ხაზით. ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციამ თავისი განვითარების პირველი სტადია უკვე განვლო. მშვიდობა ხალხთა შორის აქ დამყარებულია და პოლიტიკური ფორმები უკვე ველარ აკმაყოფილებენ იმ საჭიროებებს, რომლებიც ფედერაციის წინაშე წამოიჭრა. მუშათა კლასის დიქტატურა აქ უზრუნველყოფილია. პარტიის ცენტრალური კომიტეტი გასული წლის ნოემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნავდა, რომ ფედერაციის განმტკიცებისათვის საჭიროა შესვლა მეორე სტადიაში. ეს არის ამიერ-კავკასიის მეურნეობის ენერგიული და ნამდვილი განმტკიცება. დიდად სამწუხაროდ, ცენტრალური კომიტეტის ეს გადაწყვეტილება ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულია უფრო ფორმალურად, ვიდრე არსებითად. ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭო და მიწადმოქმედების კომისარიატი დაარსდნენ, მაგრამ ამ ორგანიზაციების მუშაობა ჯერ კიდევ არ მოწმობს იმას, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა შესრულებულია. ამ საკითხზე, ამიერ-კავკასიის ფედერაციის საკითხზე, აქ მეტად ბევრი რამ არის დამოკიდებული და პირველ რიგში, თუ გსურს ნამდვილად განვახორციელოთ პარტიის გენერალური ხაზი ნაციონალური საკითხის, ნაციონალურ გადახრებთან, დიდმპყრობელობასთან და ადგილობრივ ნაციონალიზმთან ბრძოლაში—ამიერკავკასიის ფედერაციის განმტკიცება და ნამდვილი ორგანიზაცია ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ამ გადახრებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ხოლო იმისათვის, რომ ეს ფედერაცია ძლიერი იყოს, ეხლა უკვე დროა მტკიცედ დავადგეთ ამიერ-კავკასიის მთელი სახალხო მეურნეობის განმტკიცების გზას. მე ვლაპარაკობდი ბამბაზე, კაუჩუკის შემცველ მცენარეებზე, ნავთზე და დაშქესანის ალიუმინზე, მაგრამ ავიღოთ, მაგალითად, განჯა. გაივლის კიდევ ხუთი წელი და ჩვენ განჯის რაიონში გვექნება ახალი უდიდესი კულტურული სამეურნეო ცენტრი. ეს სავსებით უეჭველია.

განჯას ახლავე აქვს ახალი ფაბრიკები და ქარხნები და დაახლოვებით 100.000 მოსახლეობა. ხოლო თუ ამას დავუმატებთ ახლო მდებარე ალიუმინს, რკინის მადანს და სხვას, აქ, აღმოსავლეთში, მართლაც გაიზრდება ახალი ნამდვილი გიგანტი, ყველა ეს პრობლემები არა რესპუბლიკანური, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის პრობლემებია. რატომ? იმიტომ, რომ ალიუმინს და დაშქესანს, კაუჩუკის შემცველ მცენარეებს და სხვას. ეხლა უკვე საკავშირო მნიშვნელობა ეძლევა. ისინი მოითხოვენ უდიდეს სახსრებს, უდიდეს ყურადღებას და სხვ. თუ გვსურს მათი გაძლიერება, უნდა წავიდეთ მეურნეობის განმტკიცებისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების ხაზით.

ლენინიზმისათვის შეურიგებელი ბრძოლით

და ა.-კ. ფედერაციის ავანგარდში—ახალი გამარჯვებებისაკენ

რამდენიმე სიტყვა კიდევ ბაქოს ორგანიზაციის როლის შესახებ. ბაქოს პროლეტარიატი მოწინავე ორგანიზაციაა ამიერ-კავკასიაში, ხოლო ბაქოს ორგანიზაცია ხელმძღვანელი ორგანიზაციაა აზერბეიჯანის ორგანიზაციაში. ეს აბსოლუტურად სწორია. აქედან სამი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. თვითკრიტიკის წესით უნდა ვსთქვათ, რომ რატომღაც ბაქოს პროლეტარიატი მეტისმეტად განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა მხოლოდ ბაქოს და მხოლოდ ნავთს.

ბაქოს პროლეტარიატმა ეხლა უნდა გააფართოვოს არა მარტო თავისი ჰორიზონტი, არამედ თავისი გავლენაც. ასე მაგალითად, მე ვფიქრობ, რომ ბაქოს პროლეტარიატმა ისე უნდა მოაგვაროს საქმე, რომ საშუალება ჰქონდეს უფრო ახლოს დაუკავშირდეს აზერბეიჯანის სოფელს. ამისი გზა მრავალია. არა მარტო საშეფო საზოგადოებათა ხაზით, არამედ სახალხო მეურნეობის განვითარების ხაზითაც, რომელიც თავდაპირველად მიმართული უნდა იყოს თუნდაც მხოლოდ იქეთკენ, რომ ვთქვათ, დააკმაყოფილოს ბაქოს მუშების სასურსათო საჭიროებანი.

ნუთუ დრო არ არის რევოლიუციონურად და სათანადოდ დავაყენოთ თუნდაც ის საკითხი, რომ შესწყდეს ბაქოსათვის საჭირო ბოსტნეულის 75 პროცენტის ჩრდილოეთიდან შემოტანა? ნუთუ, ამხანაგებო, არ შეიძლება ჩრდილოეთიდან შემოტანილი ეს 75 პროც. ბოსტნეული ავანაზღაუროთ აქ, აზერბეიჯანის სოფელში? მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ ბაქოს მუშები ხელს მოჰკიდებენ ამას და უშუალოდ დაუკავშირდებიან აზერბეიჯანის მინდვრებსა და ბოსტნებს, ეს იქნება ჩვენი პირველი რეალური მუშაობა ჩვენი სოფლის გაძლიერებისათვის საბჭოების ხაზით, კოოპერატივის ხაზით და სხვ.

მე ვფიქრობ, ბაქოს პროლეტარიატი და ბაქოს ორგანიზაცია იმდენად ჯანსაღია, რომ მან გადაჭრით და ნამდვილად უნდა გააფართოვოს თავისი გავლენა მთელ აზერბეიჯანზე, მეტსაც ვიტყვი, მთელ ამიერ-კავკასიაზე.

ამხანაგებო, ხელმძღვანელი როლი იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელობა თანდათან გააფართოვოთ, გავავრცელოთ ცხოვრების ყველა დარგებზე, კერძოდ აქ, ამიერ-კავკასიის ფედერაციაში. ამ ბოლო დროს, უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, ბაქოს ორგანიზაციამ ითამაშა ის როლი, რომელიც ბაქოს ორგანიზაციას სამართლიანად ეკუთვნის, რასაც, რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტი მოელოდა მისგან.

როდესაც თავი იჩინეს ლომინაძის ოპორტუნისტული მუშაობის ცოტად თუ ბევრად შესამჩნევმა ნაკადებმა, პირველი ნიშანი ამის შესახებ ბაქოელებმა მოგვცეს. ბაქოელებმა თავიდანვე პროლეტარულად აუღეს ალღო იმას, რომ აქ საქმე კარგად ვერ იყო, და განგაში ასტეხეს. სახელი და პატივი ამისათვის ბაქოელებს!

მაგრამ, ამხანაგებო, თქვენ რომ ხელმძღვანელი როლი გიჭირავთ მთელ ამიერ-კავკასიაში, ეს ზოგიერთ რასმე გავალებთ კიდეც. შინაპარტიული ცხოვრების უკანასკნელი ამბები ბაქოს ბოლშევიკებს ახასიათებენ როგორც ნამდვილ, მტკიცე ბოლშევიკებს, რომელნიც იბრძვიან ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის. მაგრამ, ამხანაგებო, თავბრუდახვევა ხდება არა მარტო კოლმეურნეობებისაგან; არამედ მხედველობაში იქონიეთ, რომ ყველა წარმატებებისაგანაც შეიძლება თავბრუდახვევა.

მე არ ვამბობ, რომ ახლა უკვე არის ეს. მხოლოდ გაფრთხილებთ, რომ ეს შესაძლებელია, და რომ ამ საფრთხისაგან თავი უნდა დავიზღვიოთ. თუ ჩვენ მართლა ვიყავით ნიშნის მიმცემნი ჩვენი პარტიის გენერალური ხაზისათვის ბრძოლაში, ჩვენ ხვალვე ენერგიული დახმარება უნდა გავუწიოთ ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და ყველა ჩვენს საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებს, რომელნიც ამჟამად სასწრაფოდ აწარმოებენ თავიანთი მუშაობის გარდაქმნას, უნდა დავეხმაროთ მათ ყოველმხრივ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუწყოთ ზემოდან ცქერა. არამედ ძმურად. ინტერნაციონალურად, რაც ყოველთვის ახასიათებდა ბაქოს და ბაქოელ პროლეტარიატს, დავეხმაროთ მათ—ობიექტიურად გადასწრან არა მარტო ბაქოს, აზერბეიჯანის, არამედ სომხეთის, საქართველოს, რუსეთის და ყოველგვარი სხვა აქ წამოჭრილი პრობლემები. ეს არის ბაქოს მუშების დიდი ამოცანა.

მხედველობაში იქონიეთ, ამხანაგებო, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია ჯერ კიდევ გამოიწვევს, და არ შეიძლება არ გამოიწვიოს, ზოგიერთი ჯგუფისა და ზოგიერთი ადგილის ერთგვარ წინააღმდეგობას. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ზოგიერთი ჯგუფი, რომელიც ეხლა ეთანხმება ფედერაციის განმტკიცების საჭიროებას მეურნეობის ხაზით და სხვ., ზოგიერთი ნაციონალისტური ჯგუფი სიტყვიერად აღიარებს ამას, ხოლო საქმით, რბილად თუ ვიტყვით, საბოტაჟს გაუწევს. ეს, ამხანაგებო, ფაქტია.

იქნებიან სხვებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ უნდა დავივიწყოთ აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ყოველივე თავისებურობა და გავსწიოთ წინ პირდაპირ, ვითომდა, „ბოლშევიკურად", ნამდვილად კი ნაციონალისტურად. პირველ შემთხვევაში ერთ ლოყას უნდა შემოვკრათ, ხოლო მეორე შემთხვევაში კიდევ უფრო მაგრა უნდა შემოვკრათ მეორე ლოყას. ეს არის უწინარეს ყოვლისა ბაქოს პროლეტარიატის და ბაქოს ორგანიზაციის მოვალეობა, არ არის სხვა ისეთი პარტორგანიზაცია, რომელიც თავისი ნაციონალური შემადგენლობით უფრო ბედნიერი იყოს, ვიდრე ბაქოს ორგანიზაცია მისი მრავალეროვნებიანი პროლეტარიატით. ზოგჯერ ეს, როგორც ვიცით, ართულებდა, გვიძნელებდა მუშაობას და სხვ., მაგრამ საერთოდ და მთლიანად ეს არის ისეთი დიდი, ისეთი ნამდვილად ინტერნაციონალური ძალა, რომელიც ხელს შეუწყობს არა მარტო ამიერ-კავკასიის ფედერაციას, არამედ მთელს საბჭოთა კავშირსაც.

დასასრულ ამხანაგებო, უნდა ითქვას— ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს საერთოდ ამიერ-კავკასიისაგან და ცალკე ორგანიზაციებისაგან არა მარტო თვითეულ ცალკე შემთხვევაში დაადასტურონ თავიანთი მზად ყოფნა ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის დაცვისათვის. ეს ცოტაა. თუ ლომინაძის ჯგუფის მომხრეებისათვის დამნაშავენი პოლიტიკურად ჯვარს უნდა ვაცვათ, ეს პოლიტიკურად სწორია, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ, თუ მეტად არა, ნაკლებად არ უნდა ვაცვათ ჯვარზე, ვთქვათ, ნავთის, ბამბის და სხვა საკითხებში დირექტივების შეგნებულად შეუსრულებლობისათვის დამნაშავენი.

ყველა ამ დარგებში ისეთი დისციპლინა უნდა შემოვიღოთ და ისეთი მოთხოვნები უნდა წარვუდგინოთ პარტიის წევრებს, რომ თვითეული დაკლებული ტონა ნავთი ან ბამბა, მინუსად ჩაგვეთვალოს ჩვენ, როგორც ბოლშევიკებს, ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებაში. აი როგორ უნდა მოვაგვაროთ საქმე. მე ვფიქრობ, საქმე ასე წავა, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა წავიდეს.

ამხანაგებო, ჩვენ ბევრ რამეს მივაღწიეთ და მეტად დიდ სიმაღლეზე ვართ. მტერი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ დასცინოდა ჩვენს დიად სოციალისტურ მშენებლობას, ეს მტერი ამჟამად უკვე ხედავს იმ ბუმბერაზ შენობას, რომელსაც ჩვენ დღითი-დღე მაღლა ვწევთ. საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში ჩვენ ამჟამად ძლიერნი ვართ არა პროპაგანდითა და აგიტაციით, არამედ ძლიერნი ვართ რეალური და კონკრეტული მუშაობით ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის.

ჩვენ ვაშენებთ სახელმწიფოს, რომელიც მსოფლიოს არ უნახავს. რა დიადიც არ უნდა იყოს ჩვენი მიღწევები, რა დიდი მიღწევებიც არ გვქონდეს, ერთი წუთითაც არ შეიძლება. განსაკუთრებით ეხლანდელ ეტაპზე, იმის დავიწყება, რომ ჩვენს წინააღმდეგ სწარმოებს უსასტიკესი ბრძოლა, რომელიც მიმართულია ჩვენი სოციალისტური მშენებლობის [illegible]. ისინი, ვისაც ჩვენ ამჟამად მოსკოვში მავნებელთა პროცესზე ვხედავთ, მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ. ესენი არიან ყველაზე გაბედულნი, თავზე ხელაღებულნი და გაუფრთხილებელნი. ნამდვილად კი ჩვენს წინააღმდეგ მთელი კაპიტალისტური მსოფლიო ირაზმება.

ამხანაგებო, გადამწყვეტი და უკანასკნელი ბრძოლა ახლოვდება.

მე ეჭვი არ შემიძლია, რომ აქ დამსწრეთა უდიდესი უმრავლესობა ამ უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლის უშუალო მონაწილე იქნება.

რათა უზრუნველვყოთ ამ ბრძოლის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტა, ჩვენ ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში პირდაპირ შეუსვენებლივ უნდა ვიმუშაოთ.

ამხანაგებო, გახსოვდეთ, რომ ხუთწლედის გამარჯვება კომუნიზმის იდეის გამარჯვებაა არა მარტო ჩვენი ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარედაც. ხუთწლედით დავამარცხებთ არა მარტო ჩვენი შინაგანი მტრების ნაშთებს, არამედ დავამარცხებთ მთელ კაპიტალისტურ სისტემას.

მაშ ხელი მოვკიდოთ მუშაობას, ხუთწლიანი გეგმის შესრულებას და, მაშასადამე, მსოფლიო რევოლიუციის განხორციელებას! (მქუხარე ტაში და ოვაციები).

სახელმწიფო ბრალმდებლის ამხ. კრილენკოს სიტყვა

საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტების პროცესზე *)

— ათი მოკლე დღე,—იწყებს ამხ. კრილენკო,—რომელიც გავიდა ამ პროცესის დაწყებიდან, ისე, როგორც თვით პროცესი, განსაკუთრებულ, მე ვიტყოდი არაჩვეულებრივ პირობებში მიმდინარეობდა. პროცესის დაწყება აღნიშნა ჩვენი კავშირის მუშათა კლასის მილიონიანი მასების გამოსვლით საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების და უმთავრეს ქალაქების ქუჩებში პროტესტით იმ პირთა მოქმედების წინააღმდეგ, რომელნიც საბრალმდებლო სკამზე სხედან. პროცესის გახსნის დღეს მუშათა კლასმა გამოთქვა თავისი აღშფოთება და ამასთან ერთად განაცხადა, რომ იგი მზადაა განაგრძოს ბრძოლა, და თუ საჭირო იქნება, იარაღით ხელში დაიცვას თავისი სოციალისტური სამშობლო, როგორც იცავდა სამოქალაქო ომის წლებში.

მაგრამ არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელნი ადევნებენ გაფაციცებით თვალყურს ამ პროცესს, არა ნაკლები ყურადღებით ადევნებდნენ და ადევნებენ თვალყურს ყოველ სიტყვას, რომელიც ამ დარბაზში გაისმის, დასავლეთ ევროპის მილიონიანი მასები და ბურჟუაზიის ყველა ფენები — დაწყებული მმართველ წრეებიდან და გათავებული უკანასკნელი იზიდატელით.

ბურჟუაზიული პრესა სავსეა უტიფარი ინსინუაციებით, ჭორებით და ცილისწამებით. იგი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირში ხდება აჯანყებები, ამბოხებანი და სხვ და ამ გზით ცდილობს ჩამოაშოროს მასების ყურადღება იმას, რაც პროცესზე მჟღავნდება.

ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ მსოფლიო ბურჟუაზიის ასეთი ყურადღება პროცესის მიმართ აიხსნება იმით, რომ ბურჟუაზიას ეშინია არ გამოამჟღავნოს პროცესმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მტრული გამოსვლების საიდუმლოებანი და ფარდა არ ახადოს მათ, ვინც ფარულად ამზადებს ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

საბჭოთა მთავრობა და სახელმწიფო ბრალდება აქ, მილიონების წინაშე გამოვიდნენ იმისთვის, რომ გამოამჟღავნონ სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის და სახელმწიფო აპარატის მავნებლური ორგანიზაციები.

— ჩვენ არ გვეშინია იმის,— ამბობს ამხ. კრილენკო, — რომ პროცესი დაანახვებს მტრებს ჩვენს სუსტ მხარეებს და დეფექტებს. ამ დეფექტების მოსასპობად საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მუშათა კლასის შემოქმედებითი ენთუზიაზმი, რომელიც თავდებია სოციალისტური მშენებლობის ძლევამოსილი განვითარებისა.

ამხ. კრილენკო პარალელს ავლებს შახტის საქმესა და „სამრეწველო პარტიის" საქმეს შორის და აცხადებს, რომ „სამრეწველო პარტიის" პროცესი არის „შახტის პროცესის განმეორება უფრო ფართო საფუძველზე".

შახტის პროცესი— აღნიშნავს იგი— იყო მარტო ქვანახშირის მრეწველობაში არსებული მავნებლობის პროცესი. აქ კი სასამართლოს წინაშე გადაიშალა სურათი მავნებლობისა მრეწველობის თითქმის ყველა უმნიშვნელოვანეს დარგებში და სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებში.

შახტის მავნებლებს მხოლოდ ცალკე შემთხვევებში ჰქონდათ კავშირი ქვა-ნახშირის საწარმოთა ყოფილ მფლობელებთან, აქ კი სასამართლოს წინაშე გამომჟღავნდა მავნებელთა არა ინდივიდუალური კავშირი საწარმოთა ყოფილ მფლობელებთან, არამედ მავნებლური ცენტრის ორგანიზაციული კავშირი მრეწველთა ცენტრთან —„სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან", რომელიც წარმოადგენს მრეწველების, როგორც კლასის გაერთიანებას და განსაზღვრულ პოლიტიკურ დაჯგუფებას.

შახტის პროცესის დროს ჩვენ გვხვდებოდა ცალკე უცხოელ მრეწველთა სახელები, აქ კი სასამართლოს წინაშე ბრალდებულნი თავიანთ საზღვარგარეთელ ინსპირატორებათ ასახელებდნენ არა მარტო სავაჭრო-სამრეწველო ცენტრალურ ორგანიზაციას, არამედ აგრეთვე უცხოეთის სახელმწიფოთა მთავრობის წრეებსაც. მათ დაასახელეს პუანკარე და საფრანგეთის იმპერიალიზმის სხვა წარმომადგენლები.

შახტის პროცესზე ლაპარაკი იყო ინტერვენციის იდეის შესახებ. აქ კი სასამართლოში გამომჟღავნდა მთელი გეგმა ინტერვენციის, რომელსაც აწყობდნენ გარედან და რომლისთვისაც ემზადებოდნენ საბჭოთა კავშირის შიგნით.

შახტის პროცესი იყო საქმე, რომელშიაც ბრალი ედებოდა ქვანახშირის მრეწველობაში მომუშავე ინჟინერებს და ცალკე სპეციალისტებს, „სამრეწველო პარტიის" პროცესმა კი გამოამჟღავნა, რომ არსებობდა კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციების —„სამრეწველო პარტიის" და „მშრომელ გლეხთა პარტიის" პოლიტიკური ბლოკი.

ამ პროცესმა გამოამჟღავნა კონსოლიდაცია საბჭოთა კავშირის და უცხოეთის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისა დაწყებული „სამრეწველო პარტიით" და „მშრომელ გლეხთა პარტიით" და გათავებული ვრანგელის თეთრებით, მილიუკოვით და მენშევიკებით.

რომ „სამრეწველო პარტიის" პროცესი წარმოადგენს შახტის პროცესის განმეორებას უფრო ფართო ნიადაგზე— ამბობს ამხ. კრილენკო— ამას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტი, რომ მავნებლები თავის მოღალატურ მუშაობაში ახალ მეთოდებს იყენებდნენ. მავნებლობას ფესვები ჰქონდა გადგმული დაგეგმვის სფეროში, მავნებლები მიმართავდნენ დივერსიის მეთოდს, არა დაქუცმაცებული დივერსიების, რომლებიც ჩვენ ვიცით შახტის პროცესიდან, არამედ განსაზღვრულ სისტემაში ჩამოყალიბებული დივერსიების, რომლებსაც აწარმოებდნენ განსაზღვრული გეგმის მიხედვით, განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ ფარგლებში. თუ შახტის საქმეში ჩვენ ვხვდებოდით ჯაშუშობას, „სამრეწველო პარტიის" საქმეში სასამართლოს წინაშე წარსდგა ჯაშუშობა პლიუს ოპერატიულ დავალებათა შესრულება. შახტის მავნებლები კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ საზღვარ გარედ გზავნიდნენ სამხედრო ხასიათის ცნობებს. „სამრეწველო პარტია კი გადავიდა სპეციალურ კონტრ- რევოლიუციონურ სამხედრო ორგანიზაციების შექმნაზე და, ბოლოს, „სამრეწველო პარტია" აწარმოებდა ინტერვენციის ტექნიკურად მომზადებას.

შემდეგ ამხ. კრილენკოს მოჰყავს ციტატა ამხ. სტალინის მოხსენებიდან საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-16 ყრილობაზე. ამ ციტატაში ამხ. სტალინი მე-15 ყრილობიდან მე-16 ყრილობამდე განვლილ დროს ახასიათებს, როგორც გარდატეხის პერიოდს. „ამხ. სტალინი მაშინ აღნიშნავდა— ამბობს ამხ. კრილენკო— რომ მსოფლიო ეკონომიური კრიზისის უმნიშვნელოვანესი შედეგებია კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გამწვავება და ომის საშიშროების გაძლიერება. ამხ. სტალინი მაშინ აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტები ცდილობენ წინააღმდეგობებიდან გამოსავალი იპოვონ საბჭოთა კავშირის ხარჯზე". „სამრეწველო პარტიის" პროცესი— აღნიშნავს ამხ. კრილენკო— საუკეთესოდ ადასტურებს იმ პროგნოზს, რომელიც მოგვცა ამხ. სტალინმა ბოლშევიკურ-მარქსისტული ანალიზის საფუძველზე".

შემდეგ ამხ. კრილენკო ეხება იმ განგაშის მიზეზს, რომელიც ბურჟუაზიულმა პრესამ ასტეხა საბრალმდებლო დასკვნის გარშემო. ცხელ კვალზე დაიჭირეს. ცხელ კვალზე დაიჭირეს გეგმის რეალიზაციის წინ— აი რა არის განგაშის მიზეზი— განმარტავს ამხ. კრილენკო,— მიზეზი იმ გესლიანი ჭორებისა, რომლებსაც ამჟამად ავრცელებს მსოფლიო ბურჟუაზია.

ამხ. კრილენკო აღნიშნავს, რომ სასამართლოს ამოცანაა შეაფასოს თუ რამდენად დიდი იყო ის რეალური საფრთხე, რომელსაც ბრალდებულნი უმზადებდნენ ჩვენს ქვეყანას, და რეალურად განსაზღვროს თვითეულ მათგანის პასუხისმგებლობა ამისთვის.

შემდეგ ამხ. კრილენკო გადადის საკითხზე „სამრეწველო პარტიის" პროცესის საერთაშორისო პოლიტიკურ მნიშვნელობის შესახებ და დაწვრილებით ეხება საერთაშორისო ბურჟუაზიის ინტერესების რთულ გადახლართვას.

— საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტს —ამბობს ამხ. კრილენკო— აუცილებლად უნდა დაერღვია ბურჟუაზიის, როგორც კლასის, როგორც მსოფლიო ჰეგემონის წონასწორობა. ეს პირველი კვანძია, რომელიც გამოაშკარავა პროცესმა.

ბურჟუაზიის, როგორც ეროვნული ფარგლებით შეზღუდული კლასის ინტერესები, მეორე კვანძია, რომელიც გამოაშკარავდა ამ პროცესზე. ამას მოწმობს საფრანგეთის, პოლონეთის და რუმინეთის ბურჟუაზიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, რომელშიაც იგი ხედავს საფრთხეს თავისი მტაცებლური მისწრაფებისათვის. განა ამ მხრივ დამახასიათებელი არ არის რუმინეთი, რომელმაც ხელში ჩაიგდო ბესარაბია?

მესამე კვანძს წარმოადგენს ბურჟუაზიის ჯგუფური ინტერესები და მისი ინტერესები, რომელნიც დაკავშირებულნი არიან მრეწველობის ცალკე დარგებთან. არის ნავთის მრეწველობის ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს დეტერდინგი და არის აგრეთვე ჩვენი ქვეყნიდან განდევნილ ყოფილ რუს მესაკუთრეთა გაერთიანება. და ისინი, თავისთავად ცხადია, ვერ შეურიგდებიან საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტს.

არის კიდევ სხვა კვანძები, რომლებიც გამოაშკარავდა პროცესზე— ინჟინრობის იმ ნაწილის ინტერესები, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციამდე ხელმძღვანელ როლს თამაშობდა და რომლის ხელში იყო მთავარი თანამდებობანი სახელმწიფო აპარატში, უნდა დაშორებოდა პროლეტარულ ქვეყნის ინტერესებს. თავი იჩინა პირადმა ინტერესებმა. განა ეს ცხადათ არ სჩანს, მაგალითად, ფედოტოვის, კუპრიანოვის და კალინიკოვის მაგალითიდან, რომელთაც ჰქონდათ დიდი საკუთრება და ამავე დროს ხელმძღვანელობდნენ მსხვილ საწარმოებს?

და ბოლოს, პროლეტარიატის დიქტატურის არსებობის ფაქტს უნდა შეელახა იმ პირთა კერძო ინტერესები, რომელთაც მრეწველობის მმართველ- გამგეობასთან არ ჰქონიათ კავშირი, მაგრამ ჩაყენებული არიან ისეთ პირობებში, რომლებმაც დაარღვიეს მათი წინანდელი ცხოვრების პირობები და პერსპექტივები.

შემდეგ ამხ. კრილენკო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ძირითად თვალსაზრისს, რომლითაც უნდა იქნას განხილული ეს პროცესი, განსაზღვრავს ბრძოლას ჩვენი ქვეყნის საგარეო უშიშროებისათვის, ბრძოლა სოციალისტური მშენებლობის დამშვიდებით განგრძობის შესაძლებლობისათვის, ბრძოლა იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასმა შესძლოს თავისი სახელმწიფო შენება ისე, როგორც მას სურს და ესმის. ამ მუშაობას მავნებლურმა ორგანიზაციამ პირდაპირი საფრთხე შეუქმნა. ეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მაშინაც კი, როცა ვარჩევთ ამ საქმეში თვითეული ბრალდებულის როლს.

შემდეგ ამხ. კრილენკო გადადის იმის გამოკვლევაზე, თუ როგორი იყო ბრალდებულთა ხვედრითი წონა მავნებლური მუშაობის განვითარების პროცესში.

— მავნებლობა—ამბობს იგი— კლასობრივი ბრძოლის მეთოდს წარმოადგენს. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მავნებლობა ერთდროულად დაიწყო ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში და შემდეგ გაიჩინა თავისი მთლიანი ხელმძღვანელი ცენტრი.

— მოწმე კრასოვსკის სიტყვებიდან სჩანს —ამბობს ამხ. კრილენკო,— რომ ტრანსპორტზე მავნებლური მუშაობა დაიწყო არა 1923 წელს, არამედ უფრო ადრე. იგი დამოუკიდებლად წარმოიშვა გზათა ინჟინრებს შორის და 1928 წლის დასაწყისში შეუერთდა ცენტრალურ მავნებლურ ორგანიზაციას.

— ეს —შენიშნავს ამხ. კრილენკო— თითქოს ბრალდებულთა სასარგებლოდ ლაპარაკობს; ობიექტიური სიმართლის ამ ნაწილს მე არავითარ შემთხვევაში არ უარვყოფ და მხედველობაში მივიღებ იმის განსაზღვრის დროს, თუ რამდენად წარმოადგენენ სოციალურ საშიშროებას ბრალდებულნი.

ამხ. კრილენკოს მოჰყავს მთელი რიგი ცნობები, რომელნიც მოწმობენ, რომ მავნებლობა სამხედრო, საფეიქრო, ნავთის და ქვა-ნახშირის მრეწველობაში და აგრეთვე წყალთა მეურნეობაში წარმოიშვა სწორედ ისევე, როგორც ტრანსპორტზე, ე. ი. დამოუკიდებლად, ჯერ კიდევ ცენტრალური ორგანიზაციის დაარსებამდე. ამ მხრით ბრალდებულნი არ არიან მავნებლობის საფუძვლის ჩამყრელნი, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, ისინი მავნებლობის შემკრებნი და კონდენსატორები არიან. მათ, ასე ვსთქვათ, შეათანხმეს მრეწველობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე მავნებლების მუშაობა. ამ ფაქტიდან გამომდინარეობს მთელი რიგი დასკვნები. ამ ფაქტით პირველ ყოვლისა აიხსნება მავნებლური ორგანიზაციის წყობა ვერტიკალისა და ჯგუფური პრინციპის მიხედვით. ერთი დარგის მავნებლებმა არაფერი იცოდენ მეორე დარგის მავნებელთა მუშაობის შესახებ. გაერთიანებული ცენტრალური მავნებლური ორგანიზაციის დაარსების გამო საჭირო გახდა მავნებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ორგანოებში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მავნებლების მთავარი ტერიში მიმართული იყო სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხელში ჩაგდებისაკენ. სწორედ ამიტომ ორგანიზაციისათვის უდიდეს საკითხს წარმოადგენდა [illegible] მიმხრობა.

— მავნებლური არალეგალური ორგანიზაციისათვის —აღნიშნავს ამხ. კრილენკო— დამახასიათებელია ის, რომ ეს ორგანიზაცია შეიჭრა სახელმწიფო მექანიზმში. ნაწილობრივ ამას ხელს უწყობდნენ ობიექტიური პირობები, იმ ქვეყანაში, სადაც ფართოდ ვითარდება მსხვილი სამანქანო ინდუსტრია, სადაც ხელმძღვანელ ლოზუნგს წარმოადგენს „კაპიტალისტურ ქვეყნებთან გათანასწორება და მათთვის გასწრება". ტეხნიკისა და ეკონომიკის მხრით, ასეთ ქვეყანაში ინჟინრობას, თავისთავად ცხადია, უმნიშვნელოვანესი როლი უნდა ეთამაშა წარმოების ტეხნიკურ ხელმძღვანელობის მხრით. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ობიექტიურად ჩვენ გვერდს ვერ აუვლით ინჟინრობის ამ ფენას, ინჟინრობას ძველი გაგებით, როგორც ტეხნიკური ინტელიგენციის განსაკუთრებულ ფენას. ჩვენი ახალი ინჟინრები, წითელი ინჟინრები, რომელნიც მუშათა წრეებიდან გამოდიან, აი ის ძალა, რომლის დახმარებით ჩვენ ავაშენებთ ახალ ცხოვრებას. მაგრამ სანამ კადრების პრობლემა საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, ჩვენ ჯერ კიდევ გვიხდება საქმის დაჭერა ისეთ ინჟინრობასთან, რომელიც გაჟღენთილია ძველი ჩვეულებებით და შეხედულებებით.

— მე ოდნავადაც არ ვფიქრობ იმის მტკიცებას, —ამბობს ამხ. კრილენკო,— რომ ინჟინრობა მთლიანად —ეს არის რამზინის მსგავსი ხალხი მაგრამ ამავე დროს მე ვერ შევამცირებ იმათ მნიშვნელობას, რომელნიც მავნებლობას ეწეოდენ წარმოებაში. მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ჩვენებაში მოხსენებული 2 ათასი ინჟინერით ამოიწურებოდნენ ის კადრები, რომლითაც შეეძლოთ დაყრდნობოდნენ საინჟინერო წრეში რამზინები. ამხ. კრილენკო გესლიანი ირონიით ახსენებს რამზინის „თეორიას" ინჟინერთა მთავრობის შესახებ. მას ეს „თეორია" მიაჩნია ლაყბობად, საპნის ბუშტად.

ფიქრი იმაზე, რომ თუ ჩვენს ქვეყანაში მოხდა ინტერვენცია, მეფის გენერლები ლუკომსკი, მილერი, ბოგაჩევსკი, ყოფილი რუსი მრეწველნი და უცხოეთის ბურჟუაზიის ხელმძღვანელი ჯგუფი, რომელნიც დაინტერესებულნი არიან ინტერვენციით, ქვეყნის ხელმძღვანელად დასვამენ მოქ. რამზინს და მოქ. ფედოტოვს ან, მით უმეტეს, მოქ. ჩარნოვსკის,— ამაზე ფიქრი ან პოლიტიკური სისულელეა, ან პოლიტიკური თვალთმაქცობა.

ამხ. კრილენკოს თეთრგვარდიელთა გაზეთიდან მოჰყავს „სუვოროვის ხსოვნის პატივსაცემად" გამართული ზეიმის აღწერა. ამ ზეიმს დაესწრო თეთრგვარდიელი ბანდიტების ხროვა ვიღაც „დიდი მთავრების", ლუკომსკის, ბაზმაკოვის, მიტროპოლიტ ევლოგის და სხვათა მეთაურობით. ამ ქვემძრომთა გვერდით იყვნენ მათი მეგობრები—საფრანგეთის გენერლები. „ნუ თუ სამხედრო დიქტატურის ეს ოსტატები,—ირონიულად შენიშნავს ამხ. კრილენკო,— რამზინს მისცემდნენ უფლებას გამხდარიყო ქვეყნის მმართველი და ბატონ-პატრონი: მათაც ხომ ესმით აზრი სტოლიპინის ლოზუნგისა „ჯერ დამშვიდება, ხოლო შემდეგ რეფორმები" —ისინი ჯერ მოაწყობდნენ საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას და დამსჯელ ექსპედიციებს, ხოლო შემდეგ ეტყოდნენ რამზინს— „გაეთრიე აქედან, მონავ!"

ასევე გესლიანათ დასცინის ამხ. კრილენკო სახელმწიფო კაპიტალიზმის მნიშვნელობის თავისებურად გაგებას რამზინის წრეში. განა რიაბუშინსკები დასთანხმდებოდნენ, რომ სახელმწიფოს ხელში დარჩენილიყო ფაბრიკები და მრეწველობის ძირითადი დარგები? ერთად ერთი მიზანი, რომელსაც ისახავდნენ მრეწველნი, არის კაპიტალიზმის რესტავრაცია.

შემდეგ ამხ. კრილენკო ეხება „სამრეწველო პარტიის" პოლიტიკურ პროგრამას და „სამრეწველო პარტიას" ახასიათებს, როგორც მსხვილი სამრეწველო კაპიტალის აგენტურას.

შემდეგ ამხ. კრილენკო ეხება საკითხს მამხილებელი საბუთების შესახებ. ამ პროცესისათვის სახელის გატეხის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს,— ამბობს ამხ. კრილენკო,—კითხვა: „რაღა პროცესია ეს, რომელზედაც ყველა ბრალდებულნი აღიარებენ თავიანთ დანაშაულს? რაღა მამხილებელი საბუთები შეიძლება არსებობდეს ასეთ პროცესზე?"

ერთ-ერთ ძირითად მამხილებელ საბუთს, რომელიც ამ პროცესს ახასიათებს, წარმოადგენს სწორედ ბრალდებულების მიერ დანაშაულის აღიარება.

— განა შეიძლება, —კითხულობს ამხ. კრილენკო,— თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ იმის ობიექტიური შესაძლებლობა, რომ ის პირები, რომელნიც აქ საბრალმდებლო სკამზე სხედან და რომელთაც მისცეს ჩვენება, როგორც მოწმეებმა, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან სხვადასხვა დროს, თვითეული თავის საქმეზე და თავისი დარგის მიხედვით, რომელნიც ერთსა და იმავე ჩვენებას იძლევიან მავნებლური ორგანიზაციის ფორმების, სტრუქტურის და მუშაობის მეთოდების შესახებ, რომელთა ჩვენებაც მხოლოდ ტეხნიკურ დეტალებში განირჩევა ერთმანეთისაგან,— რომ ეს პირები წინასწარ შეთანხმდნენ მიეცათ ერთნაირი ჩვენება? თავის თავად ცხადია, რომ ეს შეუძლებელია. მაშასადამე, ბრალდებულთა ჩვენება სავსებით საფუძვლიან და გადამწყვეტ მამხილებელ საბუთს წარმოადგენს.

სასაცილო იქნებოდა,— განაგრძობს ამხ. კრილენკო,— რომ მავნებლებს შეენახათ მთელი არქივები იმ დოკუმენტებისა თავიანთი მუშაობის შესახებ, რომლებზედაც შეიძლებოდეს დაყრდნობა სასამართლოს გამოძიების დროს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი დოკუმენტი ჩვენ მაინც ჩაგვივარდა ხელში. ეს დოკუმენტები არ არის შეტანილი საქმეში მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მავნებლური მუშაობის უფრო შორეულ დროს ეკუთვნიან. ეს არის ტრეტიაკოვის („სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" წევრი) მიერ ლოპატინისათვის გაგზავნილი წერილი და ამ უკანასკნელის პასუხი.

ამხ. კრილენკო უფრო დეტალურ ანალიზს უკეთებს ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებებს და ჩერდება ინჟინერ კრასოვსკის ჩვენებაზე, რომელიც სხვაზე უფრო დამახასიათებელია.

როცა კრასოვსკიმ უამბო სასამართლოს თავისი მავნებლური მუშაობის შესახებ გზათა სახალხო კომისარიატში, მან თვითონ ითხოვა დაერთო საქმეში ოფიციალური დოკუმენტი —მთავრობის კომისიის მოხსენება ორთქლმავალთა სამობილიზაციო მარაგის შემცირების შესახებ, დოკუმენტი, რომელიც ობიექტიურად ადასტურებს კრასოვსკის ჩვენებას.

კრასოვსკის სიტყვას ჩვენ შეგვეძლო არ დავუჯეროთ, მაგრამ ოფიციალურ დოკუმენტს ხომ უნდა დავუჯეროთ,—ამბობს ამხ. კრილენკო.

ეხლა დოკუმენტების შესახებ,—განაგრძობს სახელმწიფო ბრალმდებელი. საჭიროა ანალიზი გავუკეთოთ თეთრგვარდიელთა გაზეთში მოთავსებულ იაკოვლევის წერილს იმ „დოკუმენტების" შესახებ, როგორც იქ არის ნათქვამი, „რომლებსაც ეყრდნობა კრილენკო". ეს წერილი გამოქვეყნდა ერთი დღით ადრე პროცესის დაწყებამდე. სწორედ ამ წერილში ასახელებს ყალბად იმ დოკუმენტებს, რომლებითაც თითქოს სარგებლობს საბჭოთა პროკურატურა. ეს არის „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" სხდომის ოქმი, ის ანგარიში პარიზში გამართული კრების შესახებ, რომელშიაც მოხსენებულნი არიან აქ საბრალმდებლო სკამზე მსხდომი პირები, გენერალ ლუკომსკის საიდუმლო მიწერ-მოწერა საფრანგეთის გენერალურ შტაბის თანამდებობის პირებთან, ცნობილი მოღვაწეების მიწერ-მოწერა პუანკარესთან, დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძის მიერ იაპონიის გენერალურ შტაბთან დადებული შეთანხმების ასლი და სხვ. ორში ერთი: ან ასეთი დოკუმენტები არსებობენ საერთოდ, ან ისინი არ არსებობენ. მაგრამ როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დასკვნა ერთი და იგივეა: თუ ასეთი ან ანალოგიური დოკუმენტები არსებობენ, მაშინ იმ იაკოვლევის (მე ვიცი, სხვათა შორის, არსებობს თუ არა საერთოდ ასეთი იაკოვლევი) წერილი მოწმობს, რომ „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტს" ეშინიან ამ დოკუმენტებში აღნიშნული საიდუმლოებანი არ გამომჟღავნდეს პროცესზე, ხოლო თუ ასეთი დოკუმენტები არ არსებობენ, მაშინ ის მტკიცებანი, რომელსაც ეს წერილი შეიცავს, აშკარად მიზნად ისახავენ სახელის გატეხას საერთოდ ყველა დოკუმენტებისათვის, რომლითაც შეეძლო ესარგებლა საბჭოთა სასამართლოს.

შემდეგ თავის სიტყვაში ამხ. კრილენკო საკითხს, ბრალდებულთა მიერ დანაშაულის აღიარების შესახებ სვამს ამგვარად: იმისთვის, რომ ბრალდებული არ გამოტყდეს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს თავის სიმართლეში ან იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ვინმე გარედან მოვა და იხსნის მას. არც ერთი და არც მეორე რამზინსა და კომპანიას არსენალში არ მოიპოვებოდა.

— აი მაგალითად დღევანდელმა უკანასკნელმა სცენამ—ამბობს ამხ. კრილენკო,— რომელსაც მხედველობაში აქვს ბრალდებულთა დაკითხვა ზოგიერთ ბრალდებულის მიერ მავნებლურ მუშაობისათვის ფულის მიღების შესახებ—გამოამჟღავნა, რომ დაჯილდოვების სისტემა წარმოადგენდა საშუალებას, რომლის მეოხებითაც ტრიალებდა მთელი მავნებლური ბორბალი. ამიტომ რამზინის, ლარიჩევის და ჩარნოვსკის განცხადებებს იმის შესახებ, რომ ისინი „ფულს არ იღებდნენ"—არავითარი ფასი არა აქვს.

„იდეის გმირებს" მავნებელთა შორის ვერ შეხვდებით, მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ, რომ ყველა ბრალდებულებმა აღიარეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული—განაგრძობს ამხ. კრილენკო ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ აღიარება მართლაც გულწრფელი იყო. მოწმე კრასოვსკის და პროფესორ სიროცინსკის დაკითხვიდან გამოირკვა, რომ რამზინს [illegible] ჩვენებაში არაფერი უთქვამს ჩვენთვის, ჯერ ერთი, მელიორაციის დარგში არსებულ მავნებლობის შესახებ, მეორე, მავნებლობის შესახებ საფეიქრო ფაბრიკების მშენებლობაში, მესამე, ასეთივე მავნებლობის შესახებ საზღვრის მახლობლად მდებარე რკინის გზებზე. ყველა ამ მავნებლურ მუშაობის შესახებ, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის შესუსტებასთან, ინტერვენციის მომზადებასთან და სხვ. რამზინს არაფერი უთქვამს „დროის უქონლობის გამო", როგორც მან განაცხადა, არაფერი უთქვამთ ამის შესახებ აგრეთვე არც ჩარნოვსკის და არც კალინიკოვს.

თვით კრასოვსკიმ კი ჯერ კიდევ 1928 წელს გულწრფელად აღიარა ყველაფერი, გარდა იმისა, რომ იგი იყო „სამრეწველო პარტიის" ცენტრალურ კომიტეტის წევრი. ყველა ბრალდებულნი—ამბობს ამხ. კრილენკო—აღიარებდენ იმას, რის არ თქმაც მართლაც შეუძლებელი იყო, და მეტს კი არაფერს.

ამით ამთავრებს ამხ. კრილენკო ბრალდებულთა მიერ დანაშაულის აღიარების იურიდიული მნიშვნელობის ანალიზს და თავის საბრალმდებლო სიტყვაში გადადის იმ მამხილებელ საბუთების შეფასებაზე, რომელნიც დაკავშირებულნი არიან სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის მუშაობასთან, პუანკარეს მიერ სხვადასხვა პირების მიღებასთან და სხვ.

კონტრ-რევოლიუციის საზღვარგარეთელ ფაქტორებს შეადგენდნენ სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი, საფრანგეთის სამხედრო წრეები და საფრანგეთის ის პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც დაახლოვებულნი არიან მმართველ სფეროებთან—ამბობს ამხ. კრილენკო. სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის მთავარი პოლიტიკური გეზის დასახასიათებლად კრილენკოს მოჰყავს ციტატა სავაჭრო სამრეწველო კომიტეტის დეკლარაციიდან „სამრეწველო პარტიის" საქმესთან დაკავშირებით: „სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო კავშირი—ნათქვამია ამ დეკლარაციაში—კვლავ განაგრძობს დაუღალავ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, განუმარტავს კულტურულ ქვეყნების საზოგადოებრივ აზრს რუსეთში მომხდარი ამბების ნამდვილ შინაარსს, მოამზადებს სამშობლოს მომავალ აღდგენას თავისუფლებისა და უფლების საფუძველზე". სავაჭრო სამრეწველო კომიტეტის ხელმძღვანელები საბჭოთა კავშირში კონტრ-რევოლიუციონური გადატრიალების მომზადებისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კიდევ უფრო გულახდილად ლაპარაკობდნენ ბანკეტზე, რომელიც მოწვეულ იქნა ამ ორგანიზაციის ათი წლის იუბილეის აღსანიშნავად. კერძოდ ბანკეტზე გამოსულმა კარტაშევმა სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი დაახასიათა, როგორც რუსეთის ემიგრაციის არაოფიციალური საელჩო. კარტაშევის განცხადება საინტერესოა აგრეთვე იმ მხრივ, რომ იგი არაპირდაპირ ადასტურებს სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის ურთიერთობას უცხოეთის მმართველ წრეებთან, ვინაიდან როგორ შეიძლება ლაპარაკი სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტზე, როგორც საელჩოზე, თუ უცხოეთის წრეები ნამდვილად არ სცნობენ ამ საელჩოს და არ [illegible] მასთან მოლაპარაკება.

ამგვარად სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის როლის გაშუქება და მისი კავშირი საფრანგეთის მმართველ წრეებთან, რომლის შესახებ ლაპარაკი იყო ბრალდებულთა და მოწმეთა ჩვენებებში, სავსებით შეეფერება სინამდვილეს. იმას, რომ სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტი ამზადებს შეიარაღებულ ინტერვენციას საბჭოთა კავშირში, ადასტურებს აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული ცნობები რუს თეთრგვარდიელთა ალლუმების გამართვის შესახებ საფრანგეთში. თეთრგვარდიელების სამხედრო პარადები პრაქტიკულად წარმოადგენენ რეალური შეიარაღებული ძალების შეკრებას და ამ ძალების მომზადებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამხ. კრილენკო არკვევს, თუ რამდენად შეეფერება სიმართლეს ბრალდებულთა და მოწმეთა ცნობები ინტერვენციის ვადის შესახებ. კერძოდ, ამხ. კრილენკო მიუთითებს ნავთის მეფის დეტერდინგის სიტყვაზე, რომელიც მან წარმოსთქვა წელს, 11 ივნისს პარიზის არსებულ რუსული საშუალო სკოლის 10 წლის თავთან დაკავშირებით გამართულ ზეიმის დროს. ამ სიტყვაში დეტერდინგი ლაპარაკობს „რუსეთის მალე განთავისუფლებაზე", და აღნიშნავს, რომ რუსეთის ეს „განთავისუფლება" შეიძლება „რამდენიმე თვის შემდეგაც" მოხდესო. 15 ივნისს ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა დეტერდინგის პასუხი რუს ემიგრანტ სტუდენტის წერილზე. სტუდენტი მადლობას უხდიდა დეტერდინგს იმისათვის, რომ მან საშუალება მისცა განეგრძო სწავლა. ამ წერილში დეტერდინგი კვლავ ლაპარაკობს „რუსეთის განთავისუფლებაზე" რამდენიმე თვის შემდეგ. „ეცადეთ,—ურჩევს ამ სტუდენტს თავის წერილში დეტერდინგი,—ახალ რუსეთში, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ აღსდგება, ერთ-ერთი მისი საუკეთესო შვილი იყოთ". ამგვარად ბრალდებულებისა და მოწმეების მიერ 1930—1931 წლისათვის განზრახული ინტერვენციის ვადის დასახელება, როგორც სჩანს, ეთანხმება „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" და მისი ცალკე მოღვაწეობის სათანადო მტკიცებას.

ინტერვენციის მოახლოვებას მოწმობს აგრეთვე რიაბუშინსკის წერილი „აუცილებელი ომი", რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა. ამ წერილში რიაბუშინსკი აცხადებს, რომ ინტერვენციის ყოველგვარი გადადება კომერციულად არ არის ხელსაყრელი. რიაბუშინსკი ფიქრობს, რომ ინტერვენციის გადადება საშუალებას იძლევა მომავალში უფრო ნაკლები ძალებით და ნაკლები ხარჯებით განხორციელდეს იგი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ფაქტით კაპიტალისტური მსოფლიო მრავალ მილიარდს იზარალებს.

საბჭოთა კავშირში ინტერვენციის მოწყობის შესახებ ლაპარაკი სწარმოებს საფრანგეთის მმართველ სფეროებშიც. მეტად საინტერესოა დეპუტატ ფუქერის წერილი, რომელიც გუსტავ ერვეს ორგანოში გამოქვეყნდა. ფუქერი თავის წერილში მოითხოვს ქირურგიულ ოპერაციას საბჭოთა კავშირის გასაძევებლად განათლებული სახელმწიფოების წრიდან. ფუქერი—დეპუტატი, რომელიც ტარდიეს მთავრობის ჯგუფს ეკუთვნის, აცხადებს, რომ საკმარისია „მხოლოდ ორი ფაქტი—კომინტერნის პროპაგანდა და საბჭოთა დემპინგი—იმისათვის, რომ ერთა ლიგამ შორს იყოლიოს საბჭოთა კავშირი"-ო.

„ფუქერის გამოსვლა ამტკიცებს,—ამბობს ამხ. კრილენკო,—რომ განსაზღვრულ მმართველ წრეებში ქირურგიული ოპერაციის იდეიას ადგილი აქვს „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" ინიციატივისა და „სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის მუშაობის დამოუკიდებლად".

შემდეგ ამხ. კრილენკო მიუთითებს კომუნისტ დეპუტატის ბერონის გამოსვლაზე საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში, იმ გამოსვლაზე, რომელიც მოწმობს, რომ 1928 წლიდან საფრანგეთის მთავრობამ დაიწყო საბჭოთა კავშირის გარემოცვის გეგმის განხორციელება. ბერონმა თავის სიტყვაში გამოააშკარავა საფრანგეთის მთავრობის სამხედრო გეგმები და აღნიშნა, რომ საფრანგეთის მთავრობის კარნახით პოლონეთსა, რუმინეთსა, ბალტიის ქვეყნებსა და ჩეხო-სლოვაკიას შორის დადებულ იქნა სამხედრო შეთანხმება. ბერონის მხილება სავსებით ეთანხმება ბრალდებულების—„სამრეწველო პარტიის" ცენტრალური კომიტეტის წევრების ჩვენებას პოლონეთის, რუმინეთის და ლიმიტროფულ სახელმწიფოების როლის შესახებ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ ინტერვენციაში.

შემდეგ ამხ. კრილენკო გადადის პუანკარეს იმ უარყოფის შეფასებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროცესთან დაკავშირებით. პუანკარე თავის წერილში უარჰყოფს ცნობას, იმის შესახებ, რომ მას შეხვედრა და საუბარი ჰქონდა „სავაჭრო - სამრეწველო კომიტეტის" წარმომადგენლებთან. მაგრამ ცნობები იმის შესახებ, რომ პუანკარე ხვდებოდა „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" წარმომადგენლებს, სხვადასხვა წყაროებიდან გამომდინარეობენ. ამ შეხვედრათა შესახებ სიტნინმა მიიღო ცნობა კონოვალოვის, ფედოტოვის, კარპოვის, ლარიჩევის და რამზინის საშუალებით მესამე წყაროდან. დამახასიათებელია, რომ „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" დეკლარაცია, რომელიც ბრალდებულთა ჩვენებებს შეთხზულად აცხადებს, არსებითად არ უარჰყოფს „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტის" წარმომადგენლების და პუანკარეს შეხვედრის ფაქტს. თვით პუანკარეს წერილები, რომლებიც გაზეთ „ექსცელსიორ"-ში დაიბეჭდა, გაკვრით ადასტურებენ, რომ იგი სავსებით იზიარებს ბრალდებულთა ჩვენებაში აღნიშნულ ინტერვენციის გეგმას. 1930 წლის 28 თებერვლის წერილში პუანკარე მოუწოდებს—მალე დაამთავრონ „ლონდონის დაუსრულებელი კონფერენცია" და აცხადებს, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმე, „როგორიცაა: რუმინეთის და პოლონეთის საზღვრებზე მომხდარი ინცინდენტები". წერილში „საბჭოთა კავშირის ბრჭყალები" პუანკარე არსებითად მოუწოდებს ერებს გაერთიანდნენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. პუანკარეს წერილები სავსებით ადასტურებენ იმას რომ პუანკარეს ნამდვილად ჰქონდა კავშირი „სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტთან" და მისი საშუალებით „სამრეწველო პარტიასთან".

„მე ნებას მივცემ ჩემს თავს,—ამბობს ამხ. კრილენკო,—ჩემი ანალიზის ეს ნაწილი დავამთავრო ციტატით პუანკარეს უკანასკნელი წერილიდან. პუანკარე სწერს: „კმარა ხუმრობა, კმარა, დავსტოვოთ სიგიჟის ქვეყანა და დავუბრუნდეთ მიწას, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ. კმარა ხუმრობა".

ხუმრობაა, როცა ჩვენი სამხედრო ქარხნების აფეთქება მზადდება. ხუმრობაა, როცა საფრანგეთის აგენტებთან შეთანხმებას ხდიან დივერსიული და სამხედრო დავალებების შესახებ. ხუმრობაა, როცა საკითხი დგება სოციალისტური მშენებლობის შეუსრულებლობას იმ მშვიდობიან პირობებში, რომლებშიაც ჩვენ გვსურდა გვეშენებია, ვაშენებდით და გვსურს განვაგრძოთ ეს მშენებლობა. არა, ეს ხუმრობა არ არის, და ამიტომ მოწოდება ხუმრობისაკენ, ყოველივე იმის ხუმრობად ჩათვლა, რაც აქ ხდება, ეს, მეტი რომ არა ვსთქვათ, უვარგისი და არა სერიოზული პოლიტიკური ხრიკია.

რეალური ფაქტები გვაიძულებენ გამოვიყვანოთ ის დასკვნა, რომ სავსებით მართალი და დასაბუთებულია ბრალდებულთა ცნობები იმის შესახებ, რომ მათ უცხოელ ბატონებს უშუალო კავშირი ჰქონდათ საფრანგეთის ცალკე მმართველ წრეებთან პუანკარეს მეთაურობით.

ამხ. კრილენკოს საბრალმდებლო სიტყვის ამ ნაწილის მოსმენის შემდეგ სხდომა სწყდება 5 დეკემბრის დილამდე.

---

*) მოკლე ანგარიში.

საბჭოების საანგარიშო კამპანია და ამომრჩეველთა აქტივობა უზრუნველვყოთ მტკიცე ბოლშევიკური ხელმძღვანელობით

თელავის რაიონში საბჭოების საარჩევნო კამპანია სუსტად ტარდება.—ზესტაფონის პარტორგანიზაციის წევრმა პავლე რობაქიძემ დაფარა კულაკები და საარჩევნო უფლებები მიანიჭა მათ.—ფოთში საანგარიშო კრებებს ესწრება ამომრჩევლების 95 პროცენტი

> „სოფლის საბჭოების ძირითად ამოცანას წარმოადგენს კულაკთან ბრძოლა, საკოლმეურნეო მოძრაობისათვის ხელის შეწყობა და მისი გაშლა, სოფლად სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა უზრუნველსაყოფად". (მოლოტოვი)

მშრომელი გლეხობა აქტიურად ჩაება საარჩევნო კამპანიაში

(აჭარისტანი)

საბჭოების საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად და ხსენებულ კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, აჭარისტანის ყველა რაიონებში მივლინებული არიან პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებიც გაემგზავრნენ ადგილებზე და შეუდგნენ მუშაობას.

ამჟამად სოფლის საბჭოები ემზადებიან ანგარიშის ჩასაბარებლად მშრომელ გლეხობისათვის.

აჭარისწყალის თემში შესდგა პარტიულ, კომკავშირის ორგანიზაციების და სოფლის ღარიბთა ჯგუფის გაერთიანებული კრება, რომელმაც გამოიმუშავა საანგარიშო და არჩევნების კამპანიის კალენდარული ცხრილი. ამით კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მთელს მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ყველა საკითხების დამუშავებაში ღარიბმა გლეხებმა და მოჯამაგირეებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

აჭარისწყალის სოფლის საბჭომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქედის სოფლის საბჭო. შეჯიბრის პირობები ითვალისწინებენ არჩევნების საუკეთესოდ ჩატარებას.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით სოფ. კირნათში (ხულოს რაიონი) მოწვეულ იქნა ღარიბთა საერთო კრება. კრება გაეცნო კამპანიის მნიშვნელობას და კამპანიის ჩატარების ინსტრუქციას. შემდეგ დაიწყო კამათი, რომელშიაც დამსწრე გლეხებმა მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

კამათში გამოსულნი შეეხნენ მეტწილად სოფლის საჭირბოროტო საკითხებს. აღნიშნული იყო, რომ აჭარისტანის კოლმეურნეობათა კავშირი სუსტ ყურადღებას აქცევს ცენტრიდან დაშორებულ რაიონებს. რამოდენიმე ღარიბმა გლეხმა გადასწყვიტა მეთამბაქოობის ამხანაგობის დაარსება, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს, რადგან ხელმძღვანელობა არავინ გაუწია. სოფლის საბჭოც ვერ უწევს სათანადო ხელმძღვანელობას ღარიბებს. დროზე არ არის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები. საბჭოში მოკალათებული არიან ისეთი წევრები, რომლებიც მარტო თავის თავზე ზრუნავენ.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს ქედის რაიონის სოფლებშიც. პარტიის რაიონულმა კომიტეტმა ადგილებზე დაგზავნა აქტიური ამხანაგები, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ კამპანიის მოსამზადებელ მუშაობას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე კამპანიაში ღარიბი და საშუალო გლეხობა და მოჯამაგირენი ღებულობენ უახლოეს მონაწილეობას, რაც მოწმობს მას, რომ მშრომელი გლეხობა სავსებით ერკვევა საბჭოების წინაშე დასახულ ამოცანებში და ცდილობენ ხელი შეუწყოს საბჭოების ავტორიტეტის განმტკიცებას.

აჭარელი.

საბჭო ყურადღებას არ აქცევდა კოლმეურნეობას

ზესტაფონი, 2 დეკემბერი. 1-ლ დეკემბერს შესდგა კლდეეთის თემის სოფ. ცხრაწყაროს პირველ და მეორე უბნის საბჭოს ამომრჩეველთა გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრო ამომრჩეველთა 60 პროც.-ტი. მოსმენილ იქნა მოხსენება საბჭოს განვლილი მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოს სექციების მუშაობა ძალზე სუსტი იყო, ზოგიერთ სექციებში სრულიად უმოქმედობას იჩენდნენ მუშაობაში.

მომხსენებელმა აღნიშნა თავის მოხსენებაში, რომ კვალითის კოლმეურნეობაში დღესაც გაურჩეველია 25 განცხადება იმ ღარიბ და საშუალო გლეხობის, რომლებმაც ორი კვირის წინათ შეიტანეს განცხადებები კოლმეურნეობაში მიღებაზე. საბჭო ამას ყურადღებას არ აქცევს.

ეს არის აშკარათ მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრა პრაქტიკაში. სასოფლო საბჭო ხედავს, რომ აჭიანურებენ განცხადებების განხილვას კოლმეურნეობაში მიღებაზე და არ აქცევენ ყურადღებას ამ გარემოებას.

საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ ბოლო მოეღოს იმ ბიუროკრატიულ და ოპორტუნისტულ მიდგომას საკითხისადმი, როგორც ამას ზოგიერთი კოლექტივების გამგეობები ჩადიან.

ნ—ლი.

კულაკების დამცველი გარიცხულია პარტიიდან

(ტელეგრაფით ზესტაფონიდან)

დილიკაურის საწარმოო ამხანაგობის თავმჯდომარემ, პარტიის წევრმა პავლე რობაქიძემ შეცდომაში შეიყვანა საარჩევნო კომისია, დაფარა კულაკი - ყოფილი ვაჭარი და შეატანინა იგი საარჩევნო ხმის მქონეთა სიაში.

ადგილობრივმა კომუჯრედმა განიხილა პავლე რობაქიძის საქმე და იგი, როგორც კულაკების დამცველი გარიცხა პარტიიდან.

6.

როგორ ჩატარდა საანგარიშო კრება

(წერილი ხიდისთავიდან)

ხიდისთავის სას. საბჭოს 5 საანგარიშო საარჩევნო უბანში ჩატარდა საბჭოს საანგარიშო მოხსენებები, ამ 5 უბანში სულ ირიცხებოდნენ 733 ამომრჩეველი, მათში 296 ქალია. საანგარიშო კრებაზე გამოცხადდა 553 ამომრჩეველი, ე. ი. 75,8 პროც. მთელი ამომრჩევლებიდან ქალები გამოცხადდა 261 ანუ 79 პროც.

ხუთივე უბანში საანგარიშო კრება დიდი აქტივობით ჩატარდა. კამათში გამოვიდა 25 ამომრჩეველი, ამათგან 8 ქალი იყო.

ზოგიერთი საბჭოს წევრები უბანში არაფერს არ აკეთებდნენ, გზები, ხიდები და წყლის რუების გაკეთება გლეხობას უნდოდა, მაგრამ მათ საბჭოს წევრებმა ყურადღება არ მიაქციეს.

შემდეგ ლაპარაკობდნენ აჭარ აგრონომზე, რომელიც ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ხილის ბაღების მასიურ წამლობას. განსაკუთრებით აღნიშნავდა მოკამათენი ადგილობრივი კოოპერატიული მაღაზიის სუსტ მუშაობას და სხვ.

საანგარიშო კრებაზე წამოიჭრა საკითხი იმ მეურნეობათა შესახებ, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებს კერძო ბაზარზე ჰყიდიან, იმ დროს, როდესაც დადებული აქვთ კონტრაქტაცია დამამზადებელ ორგანიზაციებთან. ამომრჩევლები მოითხოვდნენ ხელშეკრულების დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემას და მათთვის სადეპოზიტო საქონლის გაცემის შეწყვეტას.

ქალებმა მეტად მწვავეთ დააყენეს საკითხი საბჭოს წინაშე ლოთობის საწინააღმდეგო ზომების მიღებაზე და კვირა დღეობით გორის ბაზარზე ღვინის გაყიდვის აკრძალვის შესახებ.

ამომრჩევლები განსაკუთრებით აღნიშნავდნენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლის შემოღებას და აღუთქვამდნენ საბჭოს ყოველგვარ დახმარებას ამ საქმის დაბოლოებისათვის.

ადგილობრივი.

საარჩევნო კრებებს ესწრება ამომრჩეველთა 95 პროცენტი

(ტელეგრაფით ფოთიდან)

ფოთის საბჭომ ანგარიშების ჩაბარება ამომრჩევლებისათვის დაიწყო 1 დეკემბერს. 1-ლ დეკემბერს საბჭომ ანგარიში ჩააბარა შავი ქვის მუშებს. ამ დღეებში ფოთის საბჭო საანგარიშო მოხსენებით წარუდგება საბჭოთა და საჯარო მუშაკებს.

საანგარიშო კრებებს ესწრება ამომრჩევლების 95 პროც., ამომრჩევლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მოხსენების გარშემო გამართულ კამათში, ამხელენ საბჭოს წარსულ მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებს და აძლევენ საბჭოს დავალებებს მომავალი მუშაობისათვის.

20 დეკემბრამდე საბჭოს საანგარიშო მოხსენება ჩატარდება 26 საარჩევნო უბანში. საარჩევნო კრებები დამთავრდება 12 იანვრამდე.

საანგარიშო და საარჩევნო კრებების უკეთ ჩატარებისათვის ჯილდოს გასაცემად ფოთის პროფსაბჭოს გადადებული აქვს სათანადო თანხები.

ქლიტი.

პარტიის წევრი შავსიელს იცავს

ზესტაფონი, 4 დეკემბერი. ზესტაფონის რაიონში საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს; არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთ თემებში ზოგიერთ პარტიის წევრების აშკარათ სამსახურის გაწევა კულაკებისა და შავსიელებისათვის.

ბოსლევის თემში პარტიის წევრმა თაყო მახათაძემ შეცდომაში შეიყვანა სასოფლო საბჭო და საარჩევნო კომისია და უფლებამოკლებულ პირს მის ძმას დავით მახათაძეს აღუდგინეს ხმის უფლება.

ეს უკანასკნელი განთქმული ვაჭარი იყო და ბევრს ეწეოდა ვაჭრობას. პარტიულმა კომიტეტმა კულაკების აგენტებს სასტიკი და საკადრისი პასუხი უნდა გასცეს.

აკ. ნიკოლეიშვილი.

საანგარიშო კამპანია გაცხოველებით ტარდება

(სტალინის რაიონი)

საბჭოების საანგარიშო კამპანია გაცხოველებით მიმდინარეობს, ანგარიშის ჩაბარება უკვე დაიწყო, — სურამის, ქვიშხეთის, ალის, ბრეთის, დირბის, გვერძინეთის, ზღუდერის, წრომის და ფლევის სასოფლო საბჭოებში.

ამ კრებებზე ამომრჩევლების საშუალო დასწრება უდრის 75—80 პროც.

საანგარიშო კრებებზე განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ კოლმეურნეობების წევრები და ახალგაზრდები. კულაკური ელემენტები და შავსიელები არაფერს არ ერიდებიან იმისათვის, რომ საარჩევნო უფლება აღიდგინონ, მიმართავენ ათასგვარ ხერხებს, ცდილობენ საბჭოს წევრების მოსყიდვას, და სხვ.

სოფ. ხცისში ერთმა შავსიელმა საბჭოს წევრებს მოაწერინა ხელი სიცრუეზე და ყალბი საბუთების შედგენით უნდოდა სასოფლო საბჭო შეცდომაში შეეყვანა და საარჩევნო უფლება აღედგინა, მაგრამ მისი ოინი დროზე იქნა გამოაშკარავებული. სოფელ ხევდურეთში კულაკებმა წისქვილის ნაწილი მოიმალეს, რათა ინდივიდუალურ დაბეგვრისაგან და შავსიიდან თავი დაეძვრინათ. ბერბელში კულაკებმა განცხადებები შეიტანეს საბჭოში, რომ თავიანთ კუთვნილ წისქვილებს საბჭოს განკარგულებაში სტოვებენ, რათა შავსიიდან თავი დაიძვრინონ.

საჭიროა მეტი სიფხიზლე, რათა ასეთი ოინებით კულაკებმა საარჩევნო უფლება არ აღიდგინონ.

ხტ—ლი.

როგორ ვატარებთ საარჩევნო კამპანიას

კასპის რაიონი

წითელ ქალაქის სასოფლო საბჭომ დაიწყო საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. გამოყოფილია საარჩევნო კომისია და დამუშავებულია საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის კალენდარული გეგმა.

საანგარიშო კამპანიის წინასწარი მუშაობა დაიწყო 20 ნოემბერს და დამთავრდა 1-ლ დეკემბერს. შედგენილია საარჩევნო სიები. საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა სია (შავი სია) სოფლის ღარიბთა კრებებზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა 25-დან —27 ნოემბრამდე. შავი სიები გადაეცა სარაიონო-საარჩევნო კომისიას. ამ სიების განხილვა - დამტკიცება საარჩევნო კომისიამ დაამთავრა. ამჟამად სიები უკვე გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე.

საანგარიშო კამპანიის საკითხები დამუშავებულია, როგორც საარჩევნო კომისიის, ისე სასოფლო საბჭოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივის კრებებზე.

საანგარიშო კამპანიისათვის სას. საბჭო დაყოფილია 20 საარჩევნო უბნათ.

წითელ ქალაქის სას. საბჭოს საარჩევნო კომისიამ არჩევნების უკეთ ჩატარებაში სოც. შეჯიბრში გამოიწვია კავთისხევის სას. საბჭოს საარჩევნო კომისია.

მ. ჯ—ლი.

მექანიკური ქარხანა

(თბილისი)

ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურ ქარხნის კომუჯრედის და კომკავშირის ორგანიზაციის წევრები უდიდეს მნიშვნელობას აძლევენ საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიას.

სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემარცხენე" ოპორტუნისტულ უპრინციპო ბლოკის და მათი ფრაქციული მუშაობის საპასუხოდ მუშები ბოლშევიკურად შეუდგნენ ამ მეტად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიის ჩატარებას.

მოწვეული იყო პარტიის და კომკავშირის უჯრედების კრება პროფაქტივთან ერთად, სადაც მოსმენილ იქნა ინფორმაციული ცნობა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის პოლიტიკური ამოცანების შესახებ.

ამავე კრებაზე არჩეული იქნა საარჩევნო კომისია 7 კაცის შემადგენლობით. შედგა საბჭოების საარჩევნო - საანგარიშო კამპანიის ჩატარების გეგმა, რომლის შესრულების საქმეშიც ჩაბმული უნდა იქნეს ფართო მუშათა მასები.

თითეულ საამქროებში მოსმენილ იქნა ცნობა საარჩევნო კომისიის მუშაობის შესახებ, საამქროებმა გამოიწვიეს ურთიერთი სოცშეჯიბრებაში, საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის საუკეთესოდ ჩატარების შესახებ, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მუშების 100 პროც. ჩაბმა კამპანიის მსვლელობაში.

თითეული საამქროს [illegible] ბრიგადები გამოყოფილი, რომლებთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქარხნის საარჩევნო კომისიასთან.

ქარხნის ორგანიზაციებს განზრახული აქვთ თავიანთ საშეფო სოფელში მუშათა ბრიგადის გაგზავნა საბჭოების საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის უკეთ ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად.

დამკვრელი.

ქორაჰესი. — საგუბარის მშენებლობა

ჟურნ. „მუშგლეხკორის" (№ 48) ოპორტუნისტული შეცდომები

თითქმის ექვსი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჟ. „მუშგლეხკორი" არ გამოსულა. მისი არსებობა მექანიკურად შეწყდა. ჟურნალის გამოსვლის ასეთი „ტემპი" არ შეეფერება ჩვენში მუშგლეხკორთა მოძრაობის ზრდის სწრაფ ტემპს. მხოლოდ მიმდინარე წლის ნოემბრის ბოლოს, ხანგრძლივი „შესვენების" შემდეგ, შესაძლებელი იქნა ჟურნალის მორიგი ნომრის გამოცემა. მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ნომერი თავისი შინაარსით ვერ სდგას სათანადო სიმაღლეზე. იგი მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მუშგლეხკორთა მოძრაობის ახალ მოთხოვნილებებს. წინააღმდეგ, მასში ისეთი ოპორტუნისტული ხასიათის შეცდომებია დაშვებული, რომ ამ ნომერს ზიანი შეუძლია მოუტანოს მუშგლეხკორთა მოძრაობას, ერთგვარი დეზორგანიზაცია შეიტანოს მის რიგებში.

ვინ არ იცის დღეს, გაშლილ სოციალისტურ მშენებლობის პირობებში, თუ როგორ იზრდება და ვითარდება მუშგლეხკორთა მოძრაობა. მუშგლეხკორთა არმია გაიზარდა რიცხვობრივად. გაძლიერდა ძირითადი საფაბრიკო-საქარხნო პრესის პოლიტიკური როლი. თუ მე-4 საკავშირო თათბირისათვის მუშგლეხკორთა რიცხვი 500 ათას უდრიდა, ეხლა იგი მილიონ ნახევრამდე აღწევს. ყოველივე ეს უტყუარი მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ მძლავრ პოლიტიკურ ფაქტორს წარმოადგენს მუშგლეხკორთა მოძრაობა დღეს სინამდვილეში. მუშგლეხკორთა მოძრაობის ასეთი ზრდის შეფასებას არ ეთანხმებიან ამხანაგები ჟ. „მუშგლეხკორის" რედაქციიდან. ისინი ამბობენ, რომ „მუშგლეხკორთა მოძრაობა დღეს ერთგვარ ჩამორჩენას განიცდისო", რომ „სამწუხაროდ მუშგლეხკორთა მოძრაობის განვითარების ტემპი დიდად ჩამორჩა სოციალისტური მშენებლობის დღევანდელ ტემპებს" (იხ. ჟ. „მუშგლეხკორი" გ. ძ. —„ხელმძღვანელობა უნდა გაძლიერდეს" და ნ. მ—ლი—„მოვაწესრიგოთ სარედ. ხელმძღვანელობა"). ლაპარაკი „მუშგლეხკორთა მოძრაობის ჩამორჩენის" შესახებ იმას ნიშნავს, რომ ვერ დაინახოთ ის ახალი პროცესები, რომელსაც მუშგლეხკორთა მოძრაობაში აქვს ადგილი, ეს იმას ნიშნავს აგრეთვე, რომ ვერ შეაფასოთ მუშგლეხკორთა მოძრაობის ზრდის ის ახალი ტალღა, რომელიც გამოწვეულია მშრომელი მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდით, მათი შრომითი ენტუზიაზმით სოციალისტურ მშენებლობის გეგმათა განხორციელების საქმეში. ეს ამხანაგები მუშგლეხკორთა მოძრაობის „ჩამორჩენას" სარედაქციო და პარტიული ხელმძღვანელობის ჩამორჩენით ხსნიან. უდავოა, რომ უაღრესად მოიკოჭლებს სარედაქციო ხელმძღვანელობა. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციებიც მუშაობის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ზოგჯერ ადგილებზე პარტიული მუშაობის სისტემაში მუშგლეხკორთა შორის მუშაობას არ ეთმობა სათანადო ადგილი. მაგრამ განა ამით აიხსნება მუშგლეხკორთა მოძრაობის „ჩამორჩენა"? რა თქმა უნდა არა. პირიქით. მუშგლეხკორთა მოძრაობის სწრაფმა ზრდამ ხაზი გაუსვა სარედაქციო და ცალკე პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ჩამორჩენას. მუშგლეხკორთა მასის აქტივობას ჩამორჩა სარედაქციო ხელმძღვანელობა. ეს უტყუარი ფაქტია. მთელი რიგი რედაქციები უაღრესად სუსტ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას აწარმოებენ მუშგლეხკორთა შორის. მათ მუშგლეხკორთა ის მასაც არ ჰყავთ კარგად შესწავლილი, რომლებიც გაზეთებში სწერენ. არ არის ნამდვილი ხელმძღვანელობა ცენტრალური გაზეთების მხრივ ძირითად საფ.-საქარხნო პრესაზე. მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია მუშგლეხკორთა აღრიცხვის საქმე და სხვ. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ამ უარყოფითი ფაქტების შესახებ. გამოვამჟღავნოთ ისინი მთელი სისრულით. ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოუღოთ მუშაობის ამ დარგის შეუფასებლობას. ან ხშირად ისედაც ხდება, რომ ბევრს ვლაპარაკობთ ხელმძღვანელობის სისუსტის შესახებ, კიდეც ვაღიარებთ ამას, მაგრამ საქმით არ ვცდილობთ გამოვასწოროთ შექმნილი მდგომარეობა, დავსახოთ კონკრეტული გზები მუშგლეხკორთა მოძრაობის კიდევ უფრო გაშლისათვის. ჩვენ ამ ხელმძღვანელობის სუსტ მხარეებზე უნდა გველაპარაკნა და არა იმაზე, რომ „ჩამორჩა" მუშგლეხკორთა მოძრაობა და სხვ. ეს შეხედულება მთლიანად მემარჯვენე ოპორტუნისტული ხასიათისაა და მას არავითარი საერთო მუშგლეხკორთა მოძრაობის სწორ შეფასებასთან არა აქვს.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მუშგლეხკორთა მოძრაობა თავის განვითარების ახალ პერიოდში იმყოფება. რეკონსტრუქტიული პერიოდის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით, მუშგლეხკორთა მოძრაობაში სრულიად ახალი ფორმები ისახება. ახალ ნიადაგზე ისმება მუშგლეხკორის როლიც სოციალისტურ მშენებლობაში. მშრომელი მასების აქტივობა იძლევა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელის სახით. მუშგლეხკორთა მოძრაობაში ცენტრალურ ფიგურას დღეს მუშგლეხკორი დამკვრელი წარმოადგენს. მუშგლეხკორთა ბრიგადები გადაიქცენ ძირითად ორგანიზაციულ ფორმად მუშგლეხკორთა მუშაობისა. საჭიროა ამ ცენტრალურ მომენტს განსაკუთრებით გაესვას ხაზი სწორი ორიენტაციისათვის. იგი იმ რგოლს წარმოადგენს, რომელსაც ხელი უნდა ჩავსჭიდოთ, რომ შესაძლებელი იქნეს მუშგლეხკორთა აქტივობის უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ „მუშგლეხკორის" 48 ნომერში ეს საკითხები მკაფიოდ და გარკვევით არაა დასმული. მთელ რიგ უმნიშვნელო და უშინაარსო მასალაში იგი იკარგება, ჟ. 48 №-ში. არ არის სწორად დასმული საკითხი ორ ფრონტზე ბრძოლის გაძლიერების შესახებ, არის მოთავსებული წერილი ვინმე „პარტმუშაკის" „შორს პარტიიდან მატყუარა გამცემლები" და მასში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი სირცოვ-ლომინაძის ანტიპარტიული, ოპორტუნისტული ბლოკის შესახებ. უაღრესად მკრთალად და თითქმის სრულიად არაფერი არ არის ნათქვამი „მემარცხენე" განწყობილებათა შესახებ. ამ გზით ჩვენ ვერ აღვზრდით მუშგლეხკორთა მასას, ვერ დავრაზმავთ მათ პარტიის გენერალური ხაზის გარშემო. შეიძლება გვითხრან, რომ მასალა წინა თვეებში იყო დამუშავებული და ახალი მომენტების გათვალისწინება არ შეგვეძლოო, მაგრამ ეს საქმის ვითარებას სრულიად ვერ სცვლის, რადგან ჟურნალის ეს ნომერი ნოემბრის ბოლოს გამოვიდა და სარედაქციო კოლეგია ვალდებული იყო დაძველებული მასალა არ გაეშვა. სარედაქციო კოლეგიის უპასუხისმგებლობათ თუ ავხსნით ასე უხეშ შეცდომას. სხვაგვარ შეფასებას მას ვერ მივსცემთ. უეჭველად საჭიროა ასეთი სარედაქციო კოლეგიის გადახალისება. ჟ. „მუშგლეხკორის" ხელმძღვანელობა ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ხშირად ჟურნალში იბეჭდება მშრალი, ყოვლად უვარგისი მასალა. ჟურნალი არა თუ არ ასრულებს მუშგლეხკორთა მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს როლს, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში შეცდომაშიც კი შეჰყავს მუშგლეხკორთა მასა.

საჭიროა ცენტრალურმა გაზეთებმა ნამდვილი ხელმძღვანელობა გაუწიონ ამ ჟურნალს და გახადონ იგი ჩვენში მუშგლეხკორთა მოძრაობის მებრძოლ ორგანოდ.

დ. დემეტრაძე.

მუშათა მომარაგება

ხელის საპნის მიღება

მიმდინარე, განსაკუთრებული კვარტალის განმავლობაში მოსახლეობისათვის ხელის საპნის ნორმის დასარიგებლად, მუშკოოპის სახელზე მიღებულია საპნის ახალი პარტია. საპონი გაუნაწილდებათ მუშკოოპის მაღაზიებს უახლოეს 3-4 დღის განმავლობაში.

საპონი საკმაო რაოდენობით მიღებული.

კალოშები და ბოტები

ამას წინათ მუშკოოპმა მიიღო და სავაჭრო წერტილებს შორის განაწილა 40.000 წყვილი კალოში და ბოტი. კალოშები და ბოტები ეძლეოდათ 1-ლი და მე-2 კატეგორიის მუშებს. ამ დღეებში მოელიან აგრეთვე დამატებით 27.000 წყვილ კალოშს და 3.000 წყვილ ბოტს.

უკანასკნელი პარტიიდან კალოშები და ბოტები დაურიგდებათ მუშა-მოსამსახურეებს.

ბოსტნეულის განაწილება

ამ დღეებში მუშკოოპი შეუდგება კარტოფილის დარიგებას მელითონეებს, ტრამვაის მუშებს, სამხედრო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს და ტრანსპორტზე მომუშავეებისათვის. კარტოფილი მიეცემათ იმათ, ვისაც მიღებული აქვს შესაფერი ორდერები.

თევზის მომარაგების საქმე გაუმჯობესდა

უკანასკნელ ხანებში მუშკოოპმა შესამჩნევად გააუმჯობესა თევზეულობის მომარაგების საქმე. ამჟამად მუშკოოპი ყოველდღიურად ღებულობს 250-300 ფუთ ახალ თევზს და ე. წ. „ცოცხალს", რითაც თბილისის მოთხოვნილება თითქმის სავსებით კმაყოფილდება.

ამასთან ერთად მუშკოოპის თევზეულობის სექცია დიდი რაოდენობით იმარაგებს დამარილებულ თევზს, რაზედაც მოთხოვნილება უფრო ზამთრის პერიოდშია. ამჟამად დამარილებული თევზი უკვე მომარაგებულია 2 თვისათვის.

საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მე-5 პლენუმი

გუშინ, საღამოს, ხელოვნების სასახლეში შესდგა საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მეხუთე საგანგებო პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ბ. ბუაჩიძის მოხსენება, საქართველოს და ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციაში შექმნილი მდგომარეობისა და პროლეტარულ მწერალთა მორიგი ამოცანების შესახებ.

მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ უკანასკნელი თვეების განმავლობაში როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის პროლეტარულ მწერალთა წრეებში სწარმოებდა გაცხოველებული დისკუსია პროლეტარული მწერლობის შემოქმედებითი საკითხების ირგვლივ. ეს დისკუსია ხშირად სცდებოდა ლიტერატურული შემოქმედების საკითხებს და უკანასკნელად მან განსაკუთრებით აშკარა პოლიტიკური ხასიათის ბრძოლის სახე მიიღო. არსებითად აქ იყო ბრძოლა ორ ხაზს შორის. პირველ ხაზს იცავდნენ ის ამხანაგები, რომლებიც მტკიცედ დგანან „ნაპოსტოველების" პოზიციაზე, როგორც პარტიის გენერალური ხაზიდან გამომდინარე პოლიტიკურ-ლიტერატურულ პლატფორმაზე, ხოლო მეორე ხაზს იცავდა ა.-კ. პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ერთი ჯგუფი ამხ. ტატულოვის და სხვ. მეთაურობით. ეს ამხანაგები პროლეტარულ მწერლობაში წარმოადგენდნენ სირცოვ-ლომინაძის მემარჯვენე-„მემარცხენეთა" უპრინციპო ჯგუფის აშკარა აგენტებს, რომლებიც სიტყვით იცავდნენ „ნაპოსტოველების" პრინციპებს, ხოლო საქმით ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მათ.

ტატულოვშჩინა წარმოადგენდა წმინდა წყლის მემარჯვენე ოპორტუნისტულ უპრინციპო ჯგუფს და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ „მოძრაობას", რომელიც ბოლშევიკურად იქნა განადგურებული.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. გ. ბუხნიკაშვილმა, ფ. ნაროუშვილმა, ა. ადამიამ, ხ. წვერავამ და სხ.

ცვლილებები ასოციაციაში

საქ. პროლეტ. მწერლების ასოციაციის წევრებათ პლენუმმა დაამტკიცა: ამხ. გაიოზ დევდარიანი, აკ. მახათაძე, ჭ. იმედაძე და ივ. ვაშაყმაძე.

ასოციაციიდან გამორიცხულ იქნა ამხ. გ. ტატულოვი.

გამგეობიდან გამოწვეულ იქნენ: ამხ. გ. კრიტიანი და ვლ. ნივეროვიჩი, როგორც ტატულოვის უპრინციპო ჯგუფის აქტიური წევრები. გამოწვეულ იქნა აგრეთვე ამხ. იონა ვაკელი.

ახალ გამგეობაში შევიდნენ: ამხ. ხ. ახულაძე, გ. ნატროშვილი, კ. კალაძე, პ. ჩხიკვაძე, კ. ბობოხიძე, ირ. აბაშიძე, ზ. ჩხეიძე და ხით ხიდისთაველი.

ასოციაციის სამდივნოში არჩეულ იქნენ: ამხ. ბ. ბუაჩიძე (პირველი მდივანი), ამხ. შ. რადიანი (მეორე მდივანი), ამხ. ს. წვერავა, ხ დოლიძე, ა. სულავა, ვ. ლუარსაბიძე და ალ. ვართანიანი.

პრეზიდიუმში შევიდნენ: ამხ. გაიოზ დევდარიანი, ს. თოდრია, ალ. მაშაშვილი, შ. ნავთლუღელი, კ. ლორთქიფანიძე. პ. სამსონიძე, კ. გორდელაძე, ჭ. იმედაძე, სანდრო ეული, პავლე ხაყვარელიძე, აკ. მახათაძე, გ. ბუხნიკაშვილი, ივ. ვაშაყმაძე, ასლანიანი და გრებენშჩიკოვი.

კანდიდატებათ—ნ. ასლამაზაშვილი, ი. პოლუმორდვინოვი და ი. ლისაშვილი.

ამხ. ვალია ბახტაძის გარდაცვალების გამო



ამხ. ვალია მუშაობის დროს

ამხ. ვალიას ხსოვნას

ვალია ბახტაძე მოკვდა...

ეს ცნობა ეკალივით ესობა გულს. ჯერ კიდევ სიცოცხლის წყურვილით აღსავსე, დაუშრეტელი ენტუზიასტი რევოლუციონერი ვალია და.. სიკვდილი! მაგრამ ეს ხომ ასეა, მისი ამხანაგები, ნათესავები, მეგობრები და შორეული ნაცნობები, რომლებიც ასე ბლომად ჰყავდა ვალიას, დღეის შემდეგ ველარ იხილავენ ვალია ბახტაძის მაღალ და ჭკვიან შუბლს, მის ცოცხალ, გონიერ თვალებს, ველარ მოისმენენ ვალია ბახტაძის ასე საამურ და ენამახვილურ საუბარს.

ამხანაგებისადმი იშვიათი ტკბილი გრძნობით აღსავსე—ხოლო მტერთან დაუნდობელი, მორალურად კრისტალური, პოლიტიკური სიმწიფით და კულტურულ განვითარებით თავის ასაკზე ბევრად წინ წასწრებული, იშვიათი მეგობრული თვისებებით დაჯილდოებული—აი როგორი იყო ვალია ბახტაძე, აი რატომ იყო, რომ ის პირველ შეხვედრისთანავე ყველას ატყვევებდა თავისადმი სიყვარულით...

ასეთია ვალია არა მარტო მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, არა მარტო მაშინ, როცა ის პარტიამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეებს ჩაუყენა სათავეში, არა—ვალია ასეთი იყო ჭაბუკობაშიაც. ჩემს მეხსიერებაში არასოდეს არ წაიშლება ჩვენი პირველი შეხვედრის ხსოვნა.

ეს იყო მაშინ, როცა ზაფხულის არდადეგებზე მერვე კლასში ახლად გადასული ვალია—გიმნაზიელი ქუთაისიდან ბათომში ჩამოვიდა. ცუგრუმელა, ქერა ბიჭი, ზედმეტად მორიდებული, სიტყვაზე ცოტა ძუნწი. ილლიაში დაჭმუჭნილი, კოზირიკ გატეხილი და ღერბჩამტვრეული ქუდი, რაიც გიმნაზიის უკანასკნელ კლასში გადასულთა დამახასიათებელი ჟანრი იყო მაშინ, მოწაფის ღარიბული ტანსაცმელი. აი, ვალია ბახტაძე ბათომის მოწაფეთა არალეგალურ წრეში, რომელთანაც ის აბამს კავშირს ქუთაისის მოწაფეთა წრეების დავალებით.

ჯერ კიდევ ბავშვმა, საყმაწვილო ასაკიდან გამოუსვლელმა ვალია ბახტაძემ პირველ კრებაზედვე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ყველაზე. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ უკვე დაწვერულვაშებული სტუდენტები, რომლებიც იმ დროს ჩვენთან მუშაობდნენ. მაგრამ ვალია ამას არც კი ამჩნევდა.

კიდევ რამდენიმე წელი და ვალია ბახტაძე, მანთაშევის ქარხნის მუშის—სამსონ ბახტაძის შვილი თავის საპატიო კლასობრივ მოვალეობას ასრულებს: ის პეტერბურგის ქუჩებზე თავგამოდებით იბრძვის თვითმპყრობელობის დასამხობად, ის უახლოეს მონაწილეობას ღებულობს მეფის მთავრობის დამხობაში.

დაიწყო რევოლუციის ცეცხლი და ვალიაც თავდავიწყებით გადაეშვა ბრძოლაში. სად არ არის ის? მაშინდელ პეტერბურგიდან დაწყებული, დასავლეთ საქართველოს და აფხაზეთის მივარდნილ სოფლებამდე, ვალია, მისთვის ჩვეული გატაცებით და თავგანწირვით ტრიალებს რევოლუციის ცეცხლის ალში. მან გაიარა ამ ბრძოლის სიამე და სიმწარე. ვალიას მებრძოლი ბუნება არაჩვეულებრივი სიღრმით განიცდიდა რევოლუციას.

ყველაზე უკეთ ამას გვიჩვენებენ ვალია ბახტაძის წერილები. ვალია ბახტაძის თვითეული სტატია მხატვრული პუბლიცისტიკის ნიმუშია. ასეთია ყოველი მისი წერილი, რა საგანსაც არ უნდა ეხებოდეს ის. და ეს იმიტომ, რომ ვალია როგორც ჟურნალისტიც, როგორც ლიტერატურული კრიტიკოსიც, განირჩეოდა თავისი განცდათა და ნააზრევის უშუალობით. ან კი როდის ისწავლა კალამის ასე ჯადოსნურად დამორჩილება შიმშილში და ჭაპან-წყვეტაში გაზრდილმა, მუდამ დევნილმა და მალულად მცხოვრებმა ვალიამ!..

ვალია ბახტაძე ბოლშევიკური დისციპლინის მტკიცე დამცველი იყო. პარტიის ინტერესები მისთვის ყოველივეზე მაღლა იდგა. ეს ვალიამ იმითაც დაამტკიცა, რომ ვალიამ მისთვის ჩვეულ გულწრფელობით და პირდაპირობით აღიარა ერთხელვე დაშვებული შეცდომები. ვალია თავი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ბოლშევიკური ცეკას ხაზის თავგამოდებული დამცველი იყო.

ვალია ბახტაძეები უღვიძებენ ქალაქისა და სოფლის მილიონიან მასებს სოციალიზმის მშენებლობისათვის თავდადებულ ბრძოლის სურვილს. პარტიაც აფასებდა მას. პარტიამაც ყოველი ზომები მიიღო, რაც კი ადამიანის განკარგულებაშია, რომ ის სიკვდილის კლანჭებიდან გამოეგლიჯა, მაგრამ ეს არ მოხდა.

განუკურნებამა სენმა წლობით აჭამა იგი. წარმოიდგინეთ მხოლოდ, ვალია ბახტაძე, რომელმაც არ იცოდა რა იყო მოსვენება, ოთხი წელიწადი ლოგინზე მიჯაჭვული! წარმოიდგინეთ მხოლოდ, დაუდგრომელი მჩქეფარე მებრძოლი ბუნების ვალია მძიმე ჯაჭვით დადებული, რომელიც მას ყელშია სწვდა და სულს უხუთავდა...

და ეს კიდევ უფრო უკლავდა გულს ვალიას ყველა ახლობლებს და მეგობრებს.

ვალია დაიწვა პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ვალია მტლად დიდი მუშათა კლასის მძიმე, მაგრამ დიდ საქმეს. განა ასეთები დავიწყებას მიეცემიან?!..

არა, ვალია არ მომკვდარა, სანამ მისი სიყვარულით აღსავსე თვითეული ჩვენგანის გული არ დადუმდება.

აკ. შუღნია.

დამკრძალავ კომისიის სხდომა

საქ. კ. პ. (ბ) ცკამ გამოჰყო ამხ. ვალია ბახტაძის დამკრძალავი კომისია.

დამკრძალავი კომისიის სხდომა შესდგა გუშინ, ნაშუადღევის 1-ლ საათზე. კომისიის დადგენილებით ამხ. ვალ. ბახტაძის ცხედარი გამოსვენებულ იქნება თავის ბინიდან (რუსთაველის პროსპ. № 10) დღეს ნაშუადღევის 4 საათზე — საქ. პროფკავშირთა მცირე დარბაზში.

დღეს, საღამოს 4 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი.

დაკრძალვა მოხდება ხვალ, 7 დეკემბერს — ვერის ახალ სასაფლაოზე, გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან ნაშუადღევის 3 საათზე.

დაკრძალვაში მონაწილეობას მიიღებენ მუშათა ორგანიზაციები, ჯარის ნაწილები და სხვა.

კომისიამ გადასწყვიტა, წინადადება მისცეს მსურველებს, გვირგვინების მაგიერ, ფული შეიტანონ სპეციალურ ფონდში ამხ. ვალია ბახტაძის სახელობის თვითმფრინავის ასაგებად.

—:—

„კომუნისტი"-ს რედაქციამ გადასდო ამ ფონდისათვის 500 მანეთი.

—:—

საქ. კ.პ. (ბ) ხონის რაიონულ კომიტეტს შეაქვს 500 მ. ამხანაგ ვალია ბახტაძის სახელობის თვითმფრინავის ასაგებ ფონდში.

ხონის რაიკომის მდივანი: ნ. ბახტაძე.

ხონის რაიაღმასკომს ამავე ფონდის გასაძლიერებლად შეაქვს 500 მ.

ხონის რაიაღმასკომის თავმჯდომარე: ლ. ნადარეიშვილი.

დაარსდა თბ. სახალხო მეურნეობის საბჭო

თბილისის აღმასკომთან დაარსდა თბილისის სახალხო მეურნეობის საბჭო, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ადგილობრივ მრეწველობის საწარმოებს.

საბჭოს განკარგულებაში უკვე არის 17 ქარხანა, გარდა ამისა, საბჭოს გადაეცემა „მკერავი", პოლიგრაფიული მრეწველობის ტრესტი, ჭურჭლეულობის, სარკის და ავეჯის მინის ქარხნები. საბჭოს წლიური პროდუქტიული ბრუნვა ნავარაუდევია 100 მილიონ მანეთის რაოდენობით.

საბჭო მომავალ წელს ააგებს რამდენიმე ახალ ქარხანას. გადაწყვეტილია 1931 წელში აგებული იქნეს ლიმონათის დიდი ქარხანა, რისთვისაც გადადებულია 400.000 მანეთი.

აიგება აგრეთვე მაკარონის და გალეტის ახალი ქარხნები. პირველი ქარხანა მოეწყობა ნავთლუღში, ხოლო გალეტის ქარხანა—კლარა ცეტკინის ქუჩაზე. ორივე ქარხნის აგება დაჯდება 950.000 მანეთი.

ვინ აფერხებს ხილ-ბოსტნეულის დამზადებას

(ა.-კ. მუშგლეხინის მასალებიდან)

ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა ხილ-ბოსტნეულის დამზადების გამოკვლევა.

გამოირკვა, რომ დამზადების საქმეს საგრძნობლად აფერხებს, როგორც საორგანიზაციო, აგრეთვე პრაქტიკულ ხასიათის დეფექტები.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციამ რომელმაც სულ ცოტა ხნის განმავლობაში განიცადა მთელი რიგი ცვლილებები, ვერ მოასწრო დროზე გამტკიცება თავისი ძირითადი ქსელი (რაიკავშირები, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობები).

სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის უჯრედებმა დამზადების ჩატარება თავისი ცენტრალური აპარატის საშუალებით. ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც დამზადებაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდნენ სასოფლო- სამეურნეო კოოპერაციის უჯრედები (გორის, კასპის და სხვ.).

დამზადების გეგმები შედგენილი იყო დიდი დაგვიანებით და არ იყო დამუშავებული ადგილებზე სოფლის აქტივის კრებებზე. ამიტომ ამ გეგმების შესრულება ადგილებს უძნელდებოდათ. ამას გარდა გეგმები ხშირად იცვლებოდა, მაგალითად, ვაშლი პირველ გეგმით უნდა დამზადებულიყო 49,5 ათასი ტონა, მეორე გეგმით—52 ათასი ტონა, ბოლოს კი—57,3 ათასი ტონა.

ყურძენი ჯერ უნდა დამზადებულიყო 9 ათასი ტონა, შემდეგ კი 6,5 ათასი ტონა, ნამდვილად კი დამზადდა—2,2 ათასი ტონა.

ასეთივე მდგომარეობა კომბოსტოს, კარტოფილის და სხვ. დამზადების მხრივ.

ხილ-ბოსტნეულის დამზადებას საგრძნობლად აფერხებდა აგრეთვე საწყობების, ტარის უქონლობა და მუშათა კადრების და სპეციალისტების უყოლობა.

კაპიტალური საწყობების მშენებლობა მთელ რიგ რაიონებში არ დამთავრდა დროზე, რის გამოც შეიქმნა ხილ-ბოსტნეულის დამზადების გეგმების ჩაშლის საფრთხე.

ამიერ-კავკასიის სამომხმარებლო კოოპერაცია არ უწევს კონტროლს საწყობების მშენებლობის საქმეს.

ისიდაც მცირე რაოდენობის ტარა არ იყო განაწილებული ზუსტად. ზვირის დამამზადებელ პუნქტს უნდა დაემზადებინა 2.621 ცენტნერი ხილბოსტნეული. მან დაამზადა მხოლოდ 611 ცენტნერი, რადგანაც იგი უზრუნველყოფილი იყო ტარით მხოლოდ 60 პროცენტით. ადგილი ჰქონდა ტარის არარაციონალურად გამოყენების მაგალითებს ცაგერში, ოზურგეთში, გვირიში და სხვ.

ძალიან მწვავედ იდგა კადრების მომზადების საკითხი. მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდიდენ არამც თუ ახალი დამამზადებელი რაიონები, არამედ გორის რაიონიც. ამიტომ ვაშლის დახარისხება მთელ რიგ რაიონებში ცუდათ სწარმოებდა.

ხილბოსტნეულის დამზადების გეგმის შესრულებას ძალიან აფერხებდა სამრეწველო საქონლის ნაკლებობა. რესპუბლიკების სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრებმა და მათ შორის ცეკავშირმაც იმის მაგიერად, რომ სასწრაფოდ მიეწოდებინათ დამამზადებელ პუნქტებისათვის სამრეწველო საქონელი, გააბეს უმიზნო მიწერ-მოწერა. მხოლოდ მთელ რიგ ღონისძიებების მიღების შემდეგ ცეკავშირმა გადაგზავნა ადგილებზე საჭირო საქონელი.

განსაკუთრებული დაუდევრობა გამოიჩინა „სოიუზხლებ"-ის აპარატმა. მან დროზე არ მოამარაგა ფქვილით, კარტოფილის, ხახვის და კომბოსტოს დამამზადებელი პუნქტები.

„სოიუზტრანს"-ის აპარატმა ვერ ჩამოაყალიბა გლეხთა ტრანსპორტი, ვერ ჩაატარა აგრეთვე განსაზოგადოებულ სექტორის ტრანსპორტის კონტრაქტაცია. გორის რაიონში „სოიუზტრანს"-მა ხელშეკრულება დადო მხოლოდ ვაშლის დამამზადებელ რაიონებში. ზაქათალის რაიონში ტრანსპორტი დღემდე ჩამოყალიბებული არ არის.

სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე დაკონტრაქტებულ ხილბოსტნეულის დამზადება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია არ აქცევს ყურადღებას საკონტრაქტოთ დარიგებულ თანხების აკრეფას. სოფლის ამხანაგობების ანგარიშწარმოება არეულ-დარეულია. დაკონტრაქტებულ პროდუქციის აღრიცხვა, გორის და ოზურგეთის გამონაკლისით, თითქმის არსად არ სწარმოებს.

არავითარი საწინააღმდეგო ზომები არ არის მიღებული ბოროტ კონტრაქტანტების მიმართ. არც ერთ რაიონში არ ჩატარდა საჩვენებელი პროცესი. ყოველივე ეს ხდება იმ დროს, როდესაც დაკონტრაქტებულ პროდუქციის დიდი რაოდენობა გადის კერძო ბაზარზე. აი ფაქტებიც: ოზურგეთის რაიონში კერძო ბაზარზე გავიდა დაკონტრაქტებულ პროდუქციის 40 პროცენტი. კასპის რაიონში დამზადებულია 13.000 ფუთი ვაშლი, 83.000 ფუთის მაგიერ. არის შემთხვევები, როდესაც პარტიული ამხანაგები და კომკავშირელები არამც თუ არ აბარებენ ზედმეტ ხილბოსტნეულს კოოპერაციას, არამედ არ ასრულებენ კონტრაქტაციის ხელშეკრულებებს.

ოზურგეთის რაიონში პარტიის წევრმა ჩხაიძემ დაკონტრაქტებული თხილი არ ჩააბარა კოოპერაციას და სხ.

ყველა ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლეგიამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც, სხვათა შორის ნათქვამია:

ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ აღმოუჩინონ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას მეტი დახმარება ხილბოსტნეულის დამზადების საქმეში.

„ზაკსელსოიუზ"-ს დაევალა მუშა ხელის რაციონალურად გამოყენება და საკონტრაქტაციო დავალიანების შეკრება. სახელმწიფო ბანკს დაევალა უზრუნველყოს დამზადებები ფულადი სახსრებით, „სოიუზხლებ"-ს მიიღოს ზომები დამამზადებელ პუნქტების ფქვილით მოსამარაგებლად და სხვ. ამასთანავე მუშგლეხინის კოლეგიამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა „სოიუზხლებ"-ის ამიერ-კავკასიის კანტორის მომარაგების სექტორის გამგეს ამხ. ხილოვიჩს.

ხილის საშრობ ფარდულების გეგმების შეუსრულებლობისათვის საყვედური გამოეცხადა „ზაკტორგსტროი"-ს ინჟ. ბოქოვს.

ბიუროკრატიზმისა, საქმის გაჭიანურებისა და სხვა ბოროტმოქმედებისათვის მოხსნილია სამსახურიდან ოზურგეთის დამამზადებელი პუნქტის გამგე ა. ღლონტი. მოხსნილია სამსახურიდან აგრეთვე ოზურგეთის პუნქტის მიმღები ადამიშვილი.

სასტიკი საყვედური გამოეცხადა ქუთაისის, სამტრედიის, კასპის სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობებს და ოზურგეთის პუნქტის დამხარისხებელ-წუნდამდებს გერ. ხიმას.

მოხსნილია სამსახურიდან წნორის [illegible] გამგე ოღანეზოვი და ზაქათალის პუნქტის გამგე ჩაკიროვი.

ხელშეკრულებების შეუსრულებლობისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში „სოიუზსპირთ"-ი და არტელი „ხის მუშა".

ა. ნ.

საყვედურის გამოცხადება

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის 1930 წლის 30 ნოემბრის დადგენილება.

ლომინაძის ჯგუფისადმი შემარიგებელი დამოკიდებულებისათვის ამხ. გეურქოვს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური გაფრთხილებით და აეკრძალოს მას საპასუხისმგებლო პარტიული მუშაობა 2 წლით.

საქ კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე იაკოვლევი

სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამოკვლევა

ა.-კ. მუშგლეხინმა რესპუბლიკურ მუშგლეხინებთან ერთად ჩაატარა ამიერ-კავკასიის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გამოკვლევა. გამოირკვა, რომ 1930 წელში მოქმედმა სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა მოკლე დროის განმავლობაში სავსებით გაამართლეს თავისი დანიშნულება, როგორც მსხვილმა სასოფლო-სამეურნეო ენერგეტიულმა ცენტრებმა.

მაგრამ უდიდეს მიღწევებთან ერთად, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობაში აღმოჩენილი იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვანი დეფექტები, რომელთა შორის აღსანიშნავია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სუსტი მუშაობა საკოლმეურნეო სექტორში, მათი სუსტად უზრუნველყოფა აგრონომებით და ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალებით, ტრაქტორების და განსაკუთრებით მსხვილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის არასრული დატვირთვა, სუსტი დისციპლინა მუშებს შორის.

ა.-კ. მუშგლეხინმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები ამიერ-კავკასიის სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

კოლხელშეკრულების დადების კამპანია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა კოლხელშეკრულებათა კამპანიის ჩატარების ახალი კალენდარული ვადები. 12 დეკემბრამდე იწარმოებს ახალი კოლხელშეკრულებების მასიური განხილვა, 12-17 დეკემბრამდე მოლაპარაკება სამეურნეო მუშაკთან და ადმინისტრაციასთან, 17-21-დე კონფლიქტების განხილვა და 21—25 დეკემბრამდე ახალი კოლექტიური ხელშეკრულებების რეგისტრაცია და გაფორმება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ კოლხელშეკრულებათა კამპანიის მოსამზადებელი მუშაობა და მუშათა ყურადღების დარაზმვა მორიგ სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანების გადაწყვეტისათვის საერთოდ დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს უმეტეს პროფკავშირებში. ზოგიერთ კავშირებში, როგორც მაგალითად, ტრანსპორტელთა, მშენებელთა და ხეზე მომუშავეთა კავშირებში კოლხელშეკრულებათა კამპანია არ არის საკმაოდ დაკავშირებული მორიგ ამოცანების გადაწყვეტასთან, კერძოდ მზადებასთან ხუთწლედის მესამე წლისათვის, რის შედეგადაც ამ კავშირებში სუსტად არის გაშლილი მუშაობა შეხვედრილი საწარმოო გეგმების შესადგენად.

ახალ კოლხელშეკრულებების დამუშავებაში ზოგიერთ კავშირის ხაზით ადგილი ჰქონდა ოპორტუნიზმის ელემენტებს. მშენებელ მუშათა კავშირმა შეადგინა კოლხელშეკრულება საამშენებლო წარმოებებისათვის და არ გაითვალისწინა მასში შრომის ნაყოფიერების გადიდების ვალდებულება; კავშირ სამუშაოდ მოჰყავდა აღრიცხვის „სიძნელე".

ზოგიერთ დაწესებულებებში (სახელმწიფო ბანკი (სტამბა „კოლექტივი") ახალი კოლხელშეკრულებების განხილვის დროს ადგილი ჰქონდა კლასობრივად მტრულ გამოსვლებს, რაზედაც კავშირის წარმომადგენლებმა სათანადო პასუხი ვერ გასცეს.

კონფერენციები რაციონალიზაციის საკითხებზე

ამიერ-კავკასიის ს. მ. ს. 1931 წლის იანვარში და თებერვალში იწვევს კონფერენციებს რაციონალიზაციის საკითხებზე მრეწველობის ცალ-ცალკე დარგების მიხედვით. ბაქოში მოწვეული იქნება კონფერენციები საამშენებლო მასალების, სამკერვალო და პოლიგრაფიულ მრეწველობაში, თბილისში—აბრეშუმის, ტყავის, მეტალურგიულ, სამთო, სატყეო და საფეიქრო მრეწველობაში.

ცალ-ცალკე კონფერენციების დამთავრების შემდეგ თბილისში მოწვეული იქნება ამიერ-კავკასიის კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში დასმულია: დანაკარგებთან ბრძოლა, პროდუქციის ხარისხის სტანდარტიზაცია, ტექნიკურ ნორმების გამომუშავების მეთოდები, მრეწველობის შინაგანი რესურსების მობილიზაცია და 1931 წ. საკონტროლო ციფრები.

კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ რაციონალიზატორები, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების დარგში მომუშავენი, გამომგონებლობის დარგში მომუშავენი, მასიურ მუშაობის დარგში მომუშავენი, სამეცნიერო-საგამოკვლევო დარგის მუშაკები, საწარმოო თათბირების წარმომადგენლები და წარმოებების ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი.

კონფერენციებზე მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე სათანადო საკავშირო გაერთიანებების რაციონალიზატორები.

საფაბრ.-საქარხ. სკოლებში მიღების შედეგები

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. ს. ჯამი გაუკეთა მასიურ პროფესიების სკოლებში და საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში შემოდგომაზე ჩატარებულ მიღებას და აღნიშნა, რომ კომკავშირის ორგანიზაციების დახმარების წყალობით დასახული გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული; გეგმით გათვალისწინებულ 2.600 კაცის ნაცვლად სკოლებში ჩაბმული იქნა 3.300 კაცი.

ამიერ-კავკასიის ს. მ. უ. საბჭომ აღნიშნა, რომ სამეურნეო ორგანიზაციები სუსტად ემზადებოდნენ მიღებისათვის; სკოლები უზრუნველყოფილი არ იყო ბინებით და მოწყობილობით, მეცადინეობა დაგვიანებით დაიწყო, მიღების დროს დაცული არ ყოფილა ნორმები სოციალური ნაციონალური შემადგენლობის მხრივ და სხვ.

შემოდგომაზე მიღებულთა შესანარჩუნებლად რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს და ამიერ-კავკასიის გაერთიანებებს წინადადება მიეცათ მიიღონ სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები სკოლების უზრუნველსაყოფად სახელმძღვანელოებით, სახელოსნოებით, საერთო საცხოვრებლებით, საინსტრუქტორო და პედაგოგიური პერსონალით და სხვ.

აზერბეიჯანის მთელ რიგ სამეურნეო ორგანიზაციებს მითითება მიეცათ მიღების სუსტად მომზადებისათვის.

ქრონიკა

ხმოვანი კინო

საქ. სახ. კინომრეწველობამ გადაწყვიტა თბილისში ხმოვან კინოს მოსაწყობათ აგოს სპეციალური, დიდი თეატრი.

ხმოვან კინოსათვის შენობის აგება მიზანშეწონილად იქნა ცნობილი რუსთაველის პროსპექტზე. ამ მიზნით აღებული იქნება რუსთაველის პროსპექტზე, საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურის გვერდით მდებარე ძველი შენობა (№ 37).

ამ შენობის გარდა აიღება აგრეთვე მისი ეზოს გასწვრივ კვალის ქუჩამდე მდებარე ყველა შენობები.

ახალი კინო-თეატრი თავისი მოცულობით ერთ-ერთი უდიდესი კინო იქნება მთელ საბჭოთა კავშირში.

დასანგრევ სახლებში მცხოვრებთათვის სახ. კინომრეწველობა აგებს ახალ საცხოვრებელ ბინებს. სახელმწიფო კინომრეწველობის შუამდგომლობა აღნიშნულ ადგილზე კინოს აგების შესახებ, თბილისის აღმასკომმა უკვე დააკმაყოფილა. შენობის აგებად მუშაობა დაიწყება 1931 წლიდან.

თვითმოქმედი მუშათა თეატრის წარმოდგენა

დღეს, პლეხანოვის სახელობის კლუბის სათეატრო დარბაზში (ლენრაიონი) საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორთან არსებულ თვითმოქმედი მუშ. თეატრი—სტუდია მართავს წარმოდგენას. დადგმ. იქნება აფინოგენოვის პიესა „ახირებული" (გადმოკეთებულია თეატრის მიერ).

წარმოდგენის შემდეგ გაიმართება დისპუტი.

სხვადასხვა

◆ გაზ. „წითელი მილიციის" გამოსაცემად თბილისის აღმასკომა გადასცა საჭირო თანხა. გარდა ამისა მილიციელთა კლუბის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადაიდო 3800 მან.

როგორ მიმდინარეობს საყოველთაო სწავლება

განათლების კომისარიატში მიღებულ ცნობებით, საყოველთაო-სავალდებულო სწავლების გატარება დასავლეთ საქართველოს რაიონებში შემდეგ სურათს იძლევა: ვანის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო სწავლება წარმატებით მიმდინარეობს. რაიონში მუშაობს 37 ოთხწლედი, რომელთაგან ოთხი წელს არის გახსნილი; ყველა ამ სკოლებში სწავლობს 5.448 კაცი, სასკოლო ჰასაკის ბავშვეთა მთელი 100 პროც. ონის რაიონში მუშაობს 43 ოთხწლედი, რომლებშიაც ჩაბმულია 3.500 ბავშვი. სკოლის გარეთ დარჩა 155 ბავშვი. ზესტაფონის რაიონში მუშაობს 42 ოთხწლედი, რომლებშიაც სწავლობს 4.803 ბავშვი, სკოლის გარეთ დარჩა 24 ბავშვი. ხარაგოულის რაიონში მუშაობს 67 ოთხწლედი, მათში სწავლობს 5.261 ბავშვი.

ბავშვთა მეგობრების საზ-ბამ და საქ. ცაკთან არსებულმა ბავშვთა კომისიამ მოაწყვეს სპეციალური ვაგონი, რომელიც დადის ა.-კ. რკ. გზ. და თავს უყრის უპატრონო ბავშვებს. ერთი თვის განმავლობაში ამ ვაგონმა 80-მდე უპატრონო ბავში მოათავსა საბავშვო სახლებში.

სურათზე: ვაგონი უპატრონო ბავშვებით თბილისის სადგურზე.

ფეხბურთი

მილიციონერები—კომუნალურ მეურნეობის მუშაკები

მილიციონერების და კომუნალური მეურნეობის მუშაკების პირველი გუნდების მორიგი კალენდარული შეხვედრა, რომელიც გაიმართა ხუთშაბათს, 4 დეკემბერს, ძალზე საინტერესო გამოდგა.

თამაში იწყება მილიციონერების შეტევით, რომლებსაც თავიდანვე ხელთ იგდებს ინიციატივა და ტაიმის ბოლომდე განაგრძობენ მოპირდაპირის სასტიკ შევიწროებას. კომუნალურ მუშაკთა მცველების ხაზის ერთ-ერთ გარღვევის დროს, მილიციონერების გუნდის მარცხენა ინსაიტ მესხს შუტის ძლიერი დარტყმით გააქვს პირველი ბურთი მოწინააღმდეგის ბადის კუთხეში. პირველმა გამარჯვებამ მილიციონერები უფრო წაახალისა და ჩქარა კლოცს გააქვს მეორე ბურთი მოწინააღმდეგის გუნდის ქიშკარში. ამის შემდეგ ერთ ხანს ძალთა თანასწორობა არ დარღვეულა, მაგრამ მალე ინიციატივა კვლავ მილიციონერებმა იგდეს ხელთ და მესხს ლამაზი დარტყმით გააქვს მესამე ბურთი მოწინააღმდეგის ბადეში. ამის შემდეგ მიღწეული შედეგები არც თამაშის მეორე განყოფილებაში შეცვლილა და ამრიგათ თამაში დამთავრდა მილიციონერების გამარჯვებით 3:0-ზე.

შემთხვევები

● დაჯახება. კახეთის ქუჩაზე, ტრამვაის ვაგონი № 121 (მარშრუტი № 9), რომელსაც მართავდა ვატმანი შალვა ჯიქია, დაეჯახა შაქრო სიხაშვილის ურემს და დაამსხვრია.

● დაპატიმრება. ჯიბგირობისათვის შეიპყრეს ვლადიმერ გორგაძე.

● თავის დაღრჩობა. თვითმკვლელობის მიზნით მუხრანის ხიდიდან მტკვარში გადავარდა გიორგი ისაკისძე ფარჯანოვი, რომელიც დაიღრჩო.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესახებ.

„სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების მოწესრიგების შესახებ" გამოცემული ა.-კფსსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ოქტომბრის 8-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა"-ს 281 №-რი 1930 წ. ოქტომბრის 17-ისა) მე-4 მუხლის თანახმად, —რათა გადაჭრით შემცირებულ იქნეს ზემოაღნიშნული ორგანოების საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები 1930 წ. ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალში და 1931 წელს, —საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედი რესპუბლიკანური მნიშვნელობის სახელმწიფო ორგანოების 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილი შტატების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცება დაეკისროს საქართველოს სსრ-ის იმ სახალხო კომისარიატებს, რომელთა გამგებლობაშიაც ეს სახელმწიფო ორგანოებია.

სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ, ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათა და საწარმოთა საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებენ აღმასრულებელი კომიტეტების ის განყოფილებანი, რომელთა გამგებლობაშიაც აღნიშნული დაწესებულებანი და საწარმონი არიან.

2. რესპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრებისა და ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შედგენილ შტატებსა და ხარჯთაღრიცხვებს დაამტკიცებენ ამ ცენტრებისა და ორგანიზაციების გამგეობანი საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან და მის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

3. მიენდოს საქართველოს სსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) თვალყური ადევნონ, რათა ამ დადგენილების 1-ლ და მე-2 მუხლებში აღნიშნული დაწესებულებების და ორგანიზაციების შტატების და ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების დროს მაქსიმალურად შემცირებულ იქნეს საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯები;

ბ) შეამოწმონ საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებისა, აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა, აგრეთვე რესპუბლიკანური და ადგილობრივი კოოპერატიული ორგანიზაციების მუშაობა 1930 წლის ოქტომბერ-დეკემბრის კვარტალისა და 1931 წლის საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირებისათვის;

გ) წარმოადგინონ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1931 წ. იანვრის 15-ისა მოხსენება შემოწმების შედეგების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ანთაძე.**

1930 წ. ნოემბრის 15.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება აცხადებს იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც მივლინებულნი იყვნენ ზემო-სვანეთის მუშაობის გასაცნობად, რომ ისინი უნდა გამოცხადდნენ ც. კ-ის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებაში ამხ. კ—კელიასთან დღეს, დილის 11 საათზე საინსტრუქტორო თათბირზე დასასწრებად.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) კადრების განყოფილება იუწყება, რომ ამხ. აფციაურის კაბინეტში (ოთახი № 51) დღეს, დილის 11 საათზე, შესდგება თათბირი, რომელსაც სავალდებულოა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: პეტროვი (საქართვ. სმუს-ი), ბრუთიანოვი (საქ. პროფსაბჭო), ხოლდეევი, ლომაძე, კარაევა, დემიტ, ფომინი (ა.-კ. პროფკავშ. საბჭო).

—:—

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება აცხადებს, რომ დაიწყო მარქსიზმისა და ლენინიზმის დაუსწრებელი კურსების განაწილებულ ადგილებზე მსმენელების მიღება. ამხანაგები, რომელთაც სურთ მარქსიზმისა და ლენინიზმის დაუსწრებელ კურსებზე შესვლა, უნდა გამოცხადდნენ ც. კ-ის პროპაგანდის სექტორში სათანადო ანკეტების შესავსებად. მიღების პირობების გაგება შეიძლება იქვე.

—:—

საქ. ალკკ ქალაქის რაიკომში დღეს, საღამოს 6 საათზე, შესდგება პროპაგანდისტების თათბირი. თათბირზე აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ პროპაგანდისა და თეორეტიული სწავლების სექტორების გამგეები, კომკავშირული პრესის რწმუნებულები და ყველა პარტსკოლების ხელმძღვანელები.

—:—

დღეს, სად. 8 საათზე, მოწვეულია საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტის კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების საერთო კრება ინსტიტუტის კლუბში. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

4 დეკემბრისთვის დანიშნულ 26 კომუნარის სარაიონო საარჩევნო კომისიის თათბირი ამხანაგების საკმაო რაოდენობის გამოუცხადებლობის გამო გადაიდო და შესდგება დღეს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (კახეთის ქ., 1), კომუჯრედების მდივნებს თავისი პასუხისმგებლობის ქვეშ ევალებათ უზრუნველყონ ამ თათბირზე 26 კომუნარის რაიონში შემავალ თბილისის საბჭოს წევრების, საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა, რწმუნებულების და თბილისის საბჭოს ანგარიშებისთვის გამოყოფილ მომხსენებლების დასწრება. დღის წესრიგშია საინსტრუქციო მოხსენება თბილისის საბჭოს ანგარიშების შესახებ.

—:—

დღეს, 2 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პროპაგანდის სექტორში შესდგება თათბირი, აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში პარტგანათლების ქსელის მუშაობის შესახებ. თათბირს უნდა დაესწრონ ფაბრიკაზე მიმაგრებული პროპაგანდისტები ამხ. კოსტრიგოვი, ტყეშელაშვილი, ესაკია, ზვიადაძე და ბეგიჯანოვი (ა.-კ. კომუნივერსიტეტი) და თუხარელი (ცენტრ. პარტსკოლა). წინადადება ეძლევა ამხანაგებს გამოცხადდნენ სათანადო მასალით.

—:—

დღეს, სად. 7 საათზე, პედაგოგიურ ინსტიტუტის სტ. კლუბში შესდგება პარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 6 დეკემბ. 2 აბ. მე-4 წარმ. **ჯამბაზები** სიმფ. კონცერტი
კვირას, 7 დეკემბერს მე-4 აბ. მე-4 წარმ. **ტოსკა**
ორშაბათს, 8 დეკემბ. მე-6 აბ. მე-4 წარმ. **აბესალომ და ეთერი**
მზადდება ვ. ა. სემიონოვის ახალი დადგმით **წითელი ყაყაჩო**
მხატვარი ირ. გამრეკელი
დაიწყო ყველა აბონიმენტების მე-4 შეტანის მიღება. ნ. 2009

ქართული სახელმწიფო დრამა მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

6 დეკემბერს მე-4 აბონემენტ. 1-ლი წარ. **კომუნა ველზე** დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე.
7 დეკემბერს 1-ად განახლების შემდეგ სახალხო ძმა ნიკო გოცირიძის მონაწ. **კაკალ გულში** დასაწ. სრულ ნახ. საათზე
8 დეკემბერს მე-5 აბონემენტ. 1-ლი წარ. **კომუნა ველზე** დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე.

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.
სპარტაკი საღამოს სეანსები I სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.
საზამთრო დარბაზი I სეან. იწყება 6-30, II—8-30, III—10-30.

ახალი მხატვრული ფილმი
საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები
ნორჩი ენთუზიასტები
(ორი დათვი)
რეჟისორი ა. თაყაიშვილი
ოპერატორი ფ. გეგელი.
სკოლებს და პიონერთა ორგანიზაციებს კოლექტიურად დასწრების დროს მიეც მათ შეღავათი
მხატვრული სურათი
აზრეკ ზაურ

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 6—30 | ორშაბათიდან 1 დეკემბრიდან სეზონის საუკეთესო სურათი **კურს-ნორდი** | რ. ლიუქს სახ. კინო (ყ. მინიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. | უცხოეთის ახალი ფილმი **უკანასკნელი მაურენა** ხტასი ნაპერკოვსკაიას მონაწილეობ. ტოთ. დადგმის მეორე კვირა.

უზუმზიარა
ნ. 2019

არტელ „წითელ კახეთის" სალიკვიდაციო კომისია
ამით აცხადებს, რომ ღვინის საწარმოო ინვალიდთა არტელ „წითელი კახეთი (ყოფ. „აგუა")" თანახმად არტელის საზოგადო კრების დადგენილებისა **ახდენს ლიკვიდაციას.** ამიტომ სალიკვიდაციო კომისია სთხოვს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირთ წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები არტელის მიმართ ამა წლის 12 დეკემბრამდე, რომლის შემდეგ, არავითარი პრეტენზიები არ იქნება მიღებული. მისამართი საქ. კოოპინკავშირი ველიამინოვის ქ. № 14. ამხ. ჩუბინაშვილს.
7925 სალიკვიდაციო კომისია.

თბილისის სახელმწ. ცირკი
შაბათს, 6-ს და კვირას 7 დეკემბერს
გრანდიოზული წარმოდგენა საუკეთესო არტისტიული ძალების მონაწილეობით საბჭოთა და უცხოეთის ატრაქციონები. კვირას, 7 დეკემბერს,
მეორე წარმოდგენა დღისით
სრული პროგრამით.
ბავშვებო! თქვენი დღესასწაულია! ანტრაქტებში ბავშვების უფასოდ გასეირნება პატარა ეტლებით, აქლემებზე, ძაღლებზე და სხვ.
ლეონიდ ივანოვის ყველა ცხოველები: მაიმუნები, თუთიყუშები და სხვ. მონაწილეობას იღებენ წარმოდგენაში.
დღისით ბავშვები უფასოდ შემოდიან, ბილეთს იძენს მხოლოდ მშობელი (ერთი 8 წლის ბავშვით ან ორი ბავშვი ერთი ბილეთით).
დღის წარმოდგენა იწყება 2 საათზე. საღამოს 8 საათზე. კასა ღია არის დილის 11 საათიდან.
ცირკთან გახსნილია გაფართოებული ცხოველების კუთხე, რომელიც ღია არის 11 ს. საღამოს 6 საათამდე. ნ. 201[illegible]

„კომუნისტი"-ს პროვინციელ ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ცხადდება:

მიმდინარე 1 დეკემბრიდან გაზეთის გავრცელების საქმე, თანახმად საქ. სახ. კომისართა საბჭოს 16/VIII-ს დადგენილებისა გადაეცა **ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, გაზეთის** გამოწერა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი ფოსტის საშუალებით. გაზეთის ღირებულება გამომცემლობის მისამართით არ უნდა იქნას გადმოგზავნილი. 0—3

საჩივრით „კომუნისტი"-ს მიუღებლობის შესახებ მიმართეთ საგაზეთო ბიუროს
ტელეფონი № 17-55 ან 23-10.
0—

ვამზადებთ მოწაფეებს:
10 წლედის და 7 წლ. დასამთავრებელ მოწმობისათვის. სდგება აგრეთვე ჯგუფები: საბუღალტრო კურსებზე, [illegible] და მუშ. ფაკებში შესასვლელად. ვასწორებთ ყველა საგნებში სუსტ მოწაფეებსაც.
პირობები გაიგება:
1. კარგარეთელის ქ. № 3-ა. 3 ნახ 4 ნახ. საათამდის. (კინო აპოლოს მახლობლად).
რუსთაველის გამზირი № 34. მე 4 სართ. შესასვლელი ეზოდან 11—1 ს. და 6—8 საათამდე.
20 2 7767

მოკლე ხანში ვამზადებ მათემატიკას: ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკა და ვამზადებ მოწაფეებს უმაღ. სასწავლებლისათვის სამხედრო აკადემიაში ყველა სპეციალობაზე პროგ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ. უნივერ., საბუღალტ. კურსებზე შვიდწლედის მოწმობაზე და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად და აგრეთ ე ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც. მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1 7 საათამდე. 7868

თვალის ექიმი მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს საღამოს 6—7 ს. კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 [illegible] № 5—90. 243

ა.-წ. 6 დეკემბერს, საღამოს 6 საათზე
მუშკოოპის გამგეობის შენობაში
(ჟორესის ქ. ოთახი № 6, საორგ. განყოფ.)
მოწვეულია
გამგეობის და სარევიზიო კომისიის პლენუმის გაერთიანებული სხდომა
დღის წესრიგი:
1. პრეზიდიუმის არჩევა.
2. სტრუქტურის სქემა.
3. მუშაობის განაწილება პრეზიდიუმის წევრებს შორის.
2—1 ნ. 2018 გამგეობა.

დაიწყო
საქართვ. სახალხო მეურნეობის
უმაღლეს საბჭოს
ცენტრალურ
აპარატის წმენდა
გთხოვთ მოგვაწოდოთ გამწმენდ კომისიას ყოველგვარი მასალები აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომლებზე შემდეგი მისამართით. თბილისი, პუშკინის ქ. № 3.
ნ. 2020 3—1 გამწმენდი კომისია.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს პარტორგანიზაციებს ძველი მებრძოლი ბოლშევიკის
ამხ. ვალია ბახტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე მუშათა სასახლიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

გაზ. „კომუნისტი"-ს რედაქცია აუწყებს პარტორგანიზაციებს, თანამშრომლებს და მკითხველებს ძველი მებრძოლი-ბოლშევიკის, „კომუნისტი"-ს პირველი რედაქტორის (1921 წ.)
ამხ. ვალია ბახტაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე მუშათა სასახლიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ჟურნ. „მნათობის" რედაქცია აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ნიჭიერი პუბლიცისტი და კრიტიკოსი, „მნათობის" ყოფილი რედაქტორი
ამხ. ვალია ბახტაძე
ნ. 2523

საქ. კომპარტიის (ბ) ქუთაისის რაიონული კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ 4 დეკემბერს გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და ძვირფასი ამხანაგი
ვალია ბახტაძე
7958

ქუთაისის ქალაქის საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი
ვალერიანე (ვალია) სამსონის-ძე ბახტაძე
7958

ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის ძველი წევრები, მისი უახლოესი მეგობრები და ამხანაგები პოლიკო და ოლია კიკალიშვილები, კორნელი ქაცარავა, ლადო ნადარეიშვილი, სერგო ზერაგია; კოლია, იპოლიტე, პოლიკარპე, გიორგი, მიშა, კორნელი, სერგო და სპირიდონ ბახტაძეები და ალექსანდრე ქუთათელაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, საუკეთესო ამხანაგი და ნიჭიერი პუბლიცისტ კრიტიკოსი
ამხ. ვალია ბახტაძე
გადასვენება ბინიდან (რუსთაველის პროსპ. № 12), პროფსაბჭოს მცირე დარბაზში დღეს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან კვირას, ნაშუადღევის 3 საათზე დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე.

ხონის რაიონის ბოლშევიკური ორგანიზაციის ძველი წევრები: ბიკენტი რუხაძე, პავლე ჯღამაძე, სოლომონ რუხაძე, კონსტანტინე ხუროძე, ირადიონ ძიძიგური, ბარაბე ეძგვერაძე, ირაკლი ბლუაშვილი, გიორგი ქვათელაძე, ილიკო ბახტაძე და აკაკი ფარცხალაძე მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი და საუკეთესო თანამებრძოლი
ამხ. ვალია ბახტაძე
გადასვენება ბინიდან (რუსთაველის პროსპ. № 12). პროფსაბჭოს მცირე დარბაზში დღეს ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება პროფსაბჭოს დარბაზიდან კვირას ნაშუადღევის სამ საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე.

ხონის რაიონის პროფსაბჭო ულრმესი მწუხარებით აცნობებს ყველა ამხანაგებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში, 4 დეკემბერს, სად. 6 საათსა და 30 წუთზე გარდაიცვალა ხონის ბოლშევიკური ორგანიზაციის ძველი წევრი, მისი აქტიური ხელმძღვანელთაგანი და პროლეტარიატის ინტერესების საუკეთესო დამცველი
ამხ. ვალია ბახტაძე
გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე მუშათა სასახლიდან დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე

საქ. კომპარტიის (ბ) გარე-კახეთის სარაიონო კომიტეტი აუწყებს ამხანაგებს, რომ 4 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პარტიისათვის თავდადებული მებრძოლი ძველი ბოლშევიკი
ვალერიან (ვალია) სამსონის-ძე ბახტაძე
3—1 7923

საქ. ალ. კ. კ. გარე კახეთის რაიკომი აუწყებს ამხანაგებს, რომ ა/წ. 4 დეკემბერს გარდაიცვალა მედგარი მებრძოლი ძველი ბოლშევიკი
ვალერიან (ვალია) სამსონის-ძე ბახტაძე
გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზე მუშათა სასახლიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3—1 7923

გარე კახეთის რაიაღმასკომი აუწყებს ამხანაგებს რომ 4 დეკემბერს გარდაიცვალა მედგარი მებრძოლი ძველი ბოლშევიკი
ვალერიან (ვალია) სამსონის-ძე ბახტაძე
გამოსვენება კვირას, 7 დეკემბერს ნაშუადღევის 3 საათზე მუშათა სასახლიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 3—1 7923

უახლოესი ამხანაგები: მიშა ბახტაძე, [illegible], ანდრო [illegible], ალექსანდრე ნადირაძე, მოსე ცინცაძე და [illegible] სვანიძე უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თავდადებული რევოლიუციონერის, მედგარი მებრძოლის, ძველი ბოლშევიკის
ვალია ბახტაძის
გარდაცვალების გამო. 2 1 ნ. 2019

პოლიევქტი ტყაბლაძე, მართა დარაბიძე და მიშა ავაშელი უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის, მედგარი მებრძოლი ბოლშევიკის
ვალია ბახტაძის
გარდაცვალების გამო 3 1 7923

ერთი ჯგუფი ამხანაგებისა: პ. სასოხიძე, ვ. ნადარეიშვილი, ს. თალაკვაძე, ი. ხუხუა, ი. [illegible], ი. ლილაშვილი და ლ. ჩანტლაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფას
ვალია ბახტაძის
უდროოდ დაკარგვის გამო.

უახლოესი მეგობრები: შ. ცაგარეიშვილი, შ. წივწივაძე, მ. გარსევანიშვილი და დ. სპირანდი ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ თავდადებული რევოლიუციონერის და ძველი ბოლშევიკის
ამხ. ვალია ბახტაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო.

შ. ტაბიძე, ლ. ლეჟავა, ა. ნუცუბიძე, გ. ძირაშვილი, ალ. ბახტაძე, ქ. ფრანგიშვილი, ი. ღლონტი, ნ. კაჭარავა, ერ. მაჭარაძე და გ. ნადარეიშვილი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ პროლეტარულ რევოლიუციისათვის თავდადებულ, საუკეთესო მებრძოლ ბოლშევიკის, ძვირფას
ამხ. ვალია ბახტაძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. 2—1 7937

კოლია დანიია ბახტაძეები, ზოსიმე, და მარო, ბებია აქით აუწყებენ ამხანაგებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ მათ დაკარგეს საუკეთესო მეგობარი, ძველი ბოლშევიკი
ვალია ბახტაძე
დაკრძალვა თბილისში ვერის ახალ სასაფლაოზე კვირას, 7 დეკემბერს. გამოსვენება მუშათა სასახლიდან დღის 3 საათზე 2 1

მარო კახეთელიძე, სიხა გაფრინდაშვილი, თამარ დარახველიძე და ვერიკო ზვედელიძე უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ მედგარ რევოლიუციონერის
ვალიას
გარდაცვალების გამო. (ე)

საფინანსო კოოპ. ინსტიტუტის 1 კურსის კოოპ. ფაკ. მე 4 ჯგუფის მსმენელები: მ. კალანდაძე, ა. ლოლაძე, ა ჯაბუა, ლ. გვარჯალაძე, გ. კოჯაია, თ. კოტალია, ვ. კოტრიკაძე, ა. ჩაჩუა, თ. კილურაძე, ა. მელუა, ს. ხუჯაძე, ნ. ძოწენიძე, ს. არუთინოვა, კ. ძიმისტარაშვილი ვგლოვობთ ჩვენი ამხანაგის ქეთოს მეუღლის
ვალია ბახტაძის
გარდაცვალებას. (შ)

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის სპეციალისტები მწუხარებით იუწყებიან ალაზანის საბჭოთა მეურნეობის დამსახურებულ სპეციალისტის
ეფრემი გრიგოლის-ძე ვარაქევის
ტრაღიკულად დაღუპვას თავის მოვალეობის შესრულების დროს ალაზანის მეურნეობაში. ნ. 2017

საბჭოთა მეურნეობების ტრესტის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ თავის მოვალეობის შესრულების დროს 3 დეკემბერს, ვერაგულად მოკლულ იქნა ალაზანის მეურნეობის მევენახე სპეციალისტი
ეფრემ ვარაქევი
ნ. 2017

საბჭოთა მეურნეობების ტრესტი იუწყება ალაზანის საბჭოთა მეურნეობის დამსახურებულ სპეციალისტ მევენახე
ეფრემი გრიგოლის-ძე ვარაქევის
ტრაღიკულად დაღუპვას თავის მოვალეობის შესრულების დროს ალაზანის მეურნეობაში ნ. 2[illegible]

გულდათუთქული მშობლები: ნიკო და ზოია და ლილი პატარიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ
მიშიკო პატარიძის
უდროოდ დაკარგვას, დაკრძალვა კვირას, 7 დეკემბერს, პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება ბინიდან ლენინგრადის ქუჩა, № 8 4 საათზე. 7 4[illegible]

სატრანსპორტო კოოპერაციის სრულიად საქართველოს და ზღვის სალაროს თანამშრომლები აუწყებენ საზოგადოებას დაუღალავ თანამშრომლის
თამარ მაღალაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე კვირას, 7 დეკემბერს, 3 ნახ. საათზე. 79[illegible]8

ღრმად დამწუხრებული: დეიდა კატო ბიძა გიორგი შვილები: ქსენია და ვალიკო დოლიძეები აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი
ლოლა გურგენიძე-მდინარაძის
გარდაცვალებას დაკრძალვა დღეს 6 დეკემბერს სოფ. ჯვარცხმაში.

ბაბუა და ბებია ივანე და ალათი, ბიძები: სიმონ, სანდრო, ვალიკო, გრიშა და სილვესტრე, ბიცოლები: თილა, პაშა, ალექსი, იულია. ქენია და თამარა ძინძაძეები უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამენ საყვარელი პატარა გოგონას
ლიანა მგალობლიშვილის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა კვირას 7 დეკემბერს სოფ. [illegible] (ნ)

დამწუხრებული მეუღლე პუპი, შვილები, თეიმურაზ, ელიოზ, მატრონე, სიძე მაქსიმე, ჯაყელი: რძლები: ოლღა, ნადია, სონია და თინა იუწყებიან
სიმონ იესეს-ძე თოიძის
გარდაცვალებას დაკრძალვა კვირას, 7 დეკემბერს, სოფელ მაკავა [illegible] 6 20[illegible]

დამწუხრებული ცოლი მაშო, და მაროუსია, ძმისწულები დათიკო, ვანო, ნინა, მარო ალექსანდრე იუწყებიან მათი აღზრდილი ბიძის
ნიკა ნადაშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა 3 დეკემბერს სოფ. ვაქირში.

საუბედუროდ მშობლები ელენე და სიმონ ტოროშელიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და ერთად ერთი [illegible]
ირუნიას
უდროოდ დაკარგვას პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე. საბჭოს ქ. № 5. 792

ამიდა ლოქსა და ბიძია გიგო საგანელიძეები შვილებით: დათიკო და ნინოთი, ბები ალათი და ეფემია დათეშიძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი
ირუნი ტოროშელიძის
უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი დღეს, საღამოს, 6 ნახ. საათზე. საბჭოს ქ. № 5. 923

ს/დ. კოლექტივის თანამშრომელთა თანაგრძნობას უცხადებენ ამავე კოლექტივის გამგეს ამხ. [illegible] პატარაიას მისი ძვირფასი დის
ნადია პატარაია-ლომიძის
გარდაცვალების გამო. 79[illegible]1

საუბედუროთ დამწუხრებული მშობლები: სიმონი და მავრა, დალი, ბაბუა და ბებია გიორგი და გვიტი, ბიძა და ძამიდა გალაქტიონი და ლუკი ბაქრაძეები; ბაბუა და ბებია გრიგოლი და მარიამი; ბიძია და ბიცოლა [illegible] და თამარა შვილით [illegible] დვალნი აუწყებენ ნაცნობთ, მეგობართ და ნათესავებს, რომ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი
პატარა ჯულიეტა
გამოსვენება დღეს, 6 დეკემბერს, 4 საათზე. [illegible] ქ. № 46 კუკიის სასაფლაოზე. 2-2 789

ა/კ. რკ. გზ. კადრების განყოფილების პროფკომი იზიარებს თბილისის პროფ-ტექნიკური კურსების უფროსის ამხ. ევგ. ნუცუბიძის მწუხარებას მისი მამის
მიხეილ დავითის-ძე ნუცუბიძის
გარდაცვალების გამო 794[illegible]

ა/კ. რკ. გზ. კადრების განყოფილების თბილისის კურსების თანამშრომლები ლ. ალანია, ა. ვაშაკიძე, ს. ტერმინასოვი, შ. ფანცულაია, ტ. დოლიძე, ნ. ჟვანია, ტ. დოლიძე, გ. ქავთარაძე, ტ. ძირიმანოვა, ქ. ლეჟავა, ნ. კვირხიძე, ნ. კალანდაძე, დ. სოლოვიოვა, ა. ტაბატაძე. ულრმესი მწუხარებით იუწყებიან უახლოესი მეგობრის, კურსების გამგის ამხ. ევ. ნუცუბიძის მამის
მიხეილ დავითის-ძე ნუცუბიძის
დაკარგვას. 7945

ა-კ. რკინის გზების კადრების განყოფილების თბილისის პროფტექნიკური კურსების ქართული ჯგუფის მსმენელები: ვ. მახარაშვილი, მ. ფანცულაია, ა. ბეჟოევი, კ. ქიქაშვილი, ლ. სონიაშვილი, შ. ბოლქვაძე, ი. მეტონიძე, ი. გელაშვილი, ა. დოლიძე, ი. დობორჯგინიძე, თ. ლობჟანიძე, ს. თევზაძე დ. აბულაძე, რ. ჯოჯუა, ლ. ლიბაძე, პ. ლალიევი, ძ. ჩიგოგიძე, მ. ლობჟანიძე, შ. სტურუა, ზ. დათაშვილი, გ. რუხაძე ვგლოვობთ კურსების უფროსის ამხ. ევ. ნუცუბიძესთან ერთად
მიხეილ დავითის ძე ნუცუბიძის
უდროოდ გარდაცვალებას 7944

ა.-კ. რკინის გზების კადრების განყოფილების თბილისის ქართული ათის თავთა ჯგუფის მსმენელები: ე. კვიციანი, მ. ჯაკობია, შ. ხუხუნი, ი. თუშქია, ლ. ბარბაქაძე, დ. ფარცვანია, პ. გადელია, ი. ჯღარკავა, ა. უჩიდია, გ. ქახიბაია, ტ. დუდელია, ა. თოდუა, ლ. ქაძაია, კ. შენგელია, ს. დუდუჩავა, ბ. ხოფერია, ვ. ხარსია და ა. ჯღანჯღავა იზიარებენ კურსების გამგის ამხ. ევგენი ნუცუბიძის მწუხარებას მისი მამის
მიხეილ დავითის ძე ნუცუბიძის
გარდაცვალების გამო. 7942

ა/კ. რკ. გზ. კადრების განყოფილების თბილისის პროფკურსების და საღამოს ტექნიკუმების მასწავლებლები აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს აღნიშნულ კურსების გამგის ამხ. ევგენი ნუცუბიძის მამის
მიხეილ დავითის-ძე ნუცუბიძის
გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. დიდი ჯიხაიშში კვირას, 7 დეკემბერს. 7941

ი. ტაბიძე, ლ. ლეჟავა, გ. ნადარეიშვილი, თ. ბახტაძე, გ. ძირაშვილი, ერ. მაჭარაძე, ალ. ბახტაძე, ნ. ღლონტი, ნ. კაჭარავა, ქ. ფრანგიშვილი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს ამხ. აკაკი ნუცუბიძის მამის
მიხეილ დავითის-ძე ნუცუბიძის
გარდაცვალებას დაკრძალვა დიდ ჯიხაიშში, 7 დეკემბერს. 792[illegible]

დამწუხრებულნი: ქმარი ქრისტეფორე, შვილი ეთერი, დედა კატო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი ძვირფასი
ლიზა იმედაშვილი პარიაულისა
დაკრძალვა კვირას 7 დეკემბერს, გამოსვენება ქალაქის პირველი საავადმყოფოდან 79[illegible]

დამწუხრებული დედა კატო, ქმარი ხრისტეფორე, შვილი ეთერი, დაი ასმათი ქმარშვილით დუდაურები და მარგო, ძმა მალაქია ცოლშვილით, დეიდები მაკრინე ცომაიასა, მატრონე ხოდია, დეიდაშვილი აბესალომ ცოჭაია ცოლშვილით და ბიძა იაშა ხოდია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი
ლიზა იმედაშვილი-პარიაულისა
გამოსვენება ქალაქის 1-ლი საავადმყოფოდან (ყოფ. არამიანცის) 7 დეკემბერს 4 საათზე. დასაფლავება ავლაბრის სასაფლაოზე. რკ. გზ. გადაღმა. 7957

დამწუხრებული: დედა კატო, მამა მიტროფანე, [illegible] გელეიშვილები იუწყებიან, რომ ბათუმის ყოფილი ქართულ-რუსული ათწლედის მასწავლებელის
ივანე (ვანო) მიტროფანეს-ძე გელეიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი სამშაბათს, 9 დეკემბერს, 4 საათზე, სამტრედიაში საკუთარ ოჯახში, სტაროსელსკის ქუჩა № 10. 6 [illegible]022

საუბედუროთ გულდათუთქულნი მამა [illegible], დედა [illegible], ბებია ელისაბედი, დები მერი და ნინა, ძმა ვანო იმედაშვილები, შვილი [illegible] სავსე
თამროს
პანაშვიდი დღეს, 8 საათზე გამოსვენება ბინიდან, [illegible] ქ. № 26 კვირას, 7 დეკემბერს, [illegible] ნახ. საათზე. ვერის ახალ სასაფლაოზე. 7-4

დამწუხრებული შვილები: ილიკო, ლავრენტი, რაფიელ, ნიკიფორე, ალექსანდრე, [illegible] ცოლშვილით, ქალიშვილი ეშა, სიძე იესე მახარაძე, და ატატო და სიძე ხარიტონ დოლიძე აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს ძვირფასი მამის და ძმის
დიანოსე გიორგის ძე მეგრელიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება დაბა ჩოხატაურში კვირას, 7 დეკემბერს. (ო)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: ლავრენტი და ანა კუპრაშვილები შვილებით ალექსანდრე, თამარა, ნინა, ბარბალე და ბოთა, ბიძა რეზო აბაზაძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 5 დეკემბერს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი სახ. კონსერვატორიის სტუდენტი
შალვა ლავრენტის ძე კუპრაშვილი
სამოქ. პანაშვიდი ყოველდღე საღ. 7 საათიდან (ლენინის რაიონი, რკინიგზის სახლი № 17). დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (შ)

ანდრო და თამარი დოლიძეები შვილით გურამით დასტირიან მ თავის საყვარელ
შალიკო კუპრაშვილის
უდროოდ გარდაცვალებას. (ჭ)

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

— მატრიკული № 377—გაც. თბილ. მედ-ტექნიკუმის მიერ—ელენე წერეთლის სახელზე. 795
— მუშკოოპის წიგნაკი № 137167—სერგო გრიგოლაშვილის სახ. 7954
— განქორწინების მოწმობა—ივანე ქვრივიშვილის სახ. 7952
— პორტმანდატი № სჩ65519—ივანე ქვრივიშვილის სახ. 79[illegible]1
— პურის წიგნაკი—ასმიკ სერსიანის სახელზე. 7950
— პურის წიგნაკი № 44965—სიმონ ტაბატაძის სახ. 7949
— კავშირის წიგნაკი № 13140—სოფრომ თოხაძის სახ. 7946
— ბავშვების პურის წიგნაკი 3 სულის—ავთანდილ ესტატეს ძე ლოჩოშვილის სახ. 7939
— პირადობის მოწმობა № 1612—სონა იოსების ასულ ჩხუტიაშვილის სახ. 7938
— პასპორტი სერგო გრიგორის ძე ქარცივაძის სახ. 793[illegible]
— პასპორტი—ელენე გრიგორის ასული ქარცივაძის სახ. 79[illegible]
— პურის წიგნაკი № 8 418—სერგო ივანოვის სახელზე. 7924
— თბილ 1-ლი ტექნიკუმის კურს დამთავრების მოწმობა—ვალერია გაგუას სახ. 793
— სასწავლო ბილეთი № 1173—ბენედიქტე მაღლაკელიძის სახ. 7922
— პურის წიგნაკი ქრისტეფორე ქველიძის სახ. 793[illegible]
— პურის წიგნაკი—ვიქტორ ვარაზაშვილის სახ. 7930
— მუშკოოპის წიგნაკი № 14108 მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაშაკიძის სახელზე. 7929
— პურის წიგნაკი—შ. ლეჟავას სახ. 7927
— პურის წიგნაკი ლიდია კეკუკოვას სახ. 7926
— გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორის მიერ გაცემული ქვითარი ალ. უტიაშვილის სახელზე, პურის წიგნაკის დაკარგვის შესახებ 7924
— პურის წიგნაკი ლიტ. „ა"—დავით ილარიონის ძე ხახუტაშვილის სახელზე. [illegible]
— განქორწინების მოწ.—ზაქარია აკოპოვის სახ. 7924
— პურის წიგნაკი № 1748—კარაპეტ მირზაშვილის სახ. 7851
— კავშირის წიგნაკი № 35151—დავით დიმიტრის ძე ჩარკვიანის სახელზე. 7918
— მუშკოოპის წიგნაკი № 26517—თამარ სურგულაძის სახ. 7934
— მუშკოოპის საწყობო წიგნაკები: 52055, 146655, 47325 ვასო, ნინა და ელისაბედ გარიბჯანიძეების სახელზე.

ტირაჟი—62.068 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904